ავტორის სტილი დაცულია

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართალი

დავით ლომინაშვილი

განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტები და თანამედროვე ქართული კანონმდებლობის გამოწვევები

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტის

პროფესორი ნანა ჭიღლაძე

თბილისი, საქართველო

2020

ს ა რ ჩ ე ვ ი

აბრევიატურები ---------- 6

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა ---------- 7

Abstract of the Dissertation - "International standards of the Right to Education and the modern challenges of the Georgian Legislature" ---------- 9

შესავალი ---------- 12

თავი I განათლების არსი ---------- 16

1.1. განათლება როგორც ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტი ---------- 17

1.2.განათლების სოციალური ფუნქცია ---------- 22

1.3. განათლების უფლება, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ელემენტი - 27

თავი II. განათლების უფლება საქართველოში (ისტორიული ასპექტები) ---------- 34

2.1. განათლების უფლება საქართველოში კონსტიტუციურ აღიარებამდე ---------- 34

2.1.1. განათლების უფლების რეალიზაციის მექანიზმები ანტიკურ საქართველოში - 34

2.1.2. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების გავლენა საქართველოში საგანმანათლებლო კერების დაარსებასა და გავრცელებაში --------- 36

2.1.3. სწავლის დაწყების ასაკი და სწავლების ფორმები საქართველოში უძველესი პერიოდიდან XI საუკუნემდე ---------- 39

2.1.4. განათლების უფლების დაცვისა და რეალიზაციის მექანიზმების შექმნის მიზნით, დავით IV აღმაშენებელის მიერ გატარებული ღონისძიებები ---------- 41

2.1.5. მონღოლების შემოსევა, აღორძინების ხანა და განათლების უფლება საქართველოში ---------- 44

2.1.6. რუსიფიკატორული პოლიტიკა, საბჭოთა ხელისუფლება და განათლების უფლება საქართველოში ---------- 49

2.1.7. ,,აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“ ---------- 55

2.2. საქართველოში განათლების უფლების კონსტიტუციური აღიარება ---------- 55

2.2.1. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით აღიარებული განათლების უფლება ---------- 55
2.2.2. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციები და განათლების უფლება ---------- 60
2.2.3. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ განათლების უფლების კონსტიტუციური აღიარება ---------- 64
თავი III. განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტები და მათი იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში ---------- 67
3.1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ---------- 68
3.1.1 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში ---------- 69
3.1.1.1 დაწყებითი და ზოგადი განათლების დაფინანსება. დაწყებითი განათლების სავალდებულობა ---------- 69
3.1.1.2 ტექნიკური და პროფესიული განათლების საყოველთაოდ ხელმისაწვდომობა ---------- 76
3.1.1.3 უმაღლესი განათლების ერთნაირად ხელმისაწვდომობა ---------- 82
3.1.1.4 განათლება როგორც ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განმტკიცებისკენ მიმართული ინსტრუმენტი ---------- 85
3.1.1.5 განათლება როგორც ყველა ხალხის, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფების ურთიერთგაგების, შემწყნარებლობის, მეგობრობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობის მშვიდობის შესანარჩუნების ბერკეტი ---------- 87
3.1.1.6 მშობელთა უპირატესი უფლება აირჩიონ თუ რა სახის განათლება სურთ თავიანთი შვილებისათვის ---------- 88
3.2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი ---------- 90

3.2.1 ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი) და ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის“ (პარიზი, 1952 წლის 20 მარტი) იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში ---------- 92
3.3. „განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ კონვენცია ---------- 98
3.3.1 ,,განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ იუნესკოს კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში ---------- 98
3.3.1.1 განათლების ხელმისაწვდომობა ---------- 100
3.3.1.2 განათლების დაფინანსება ---------- 103
3.3.1.3 ინკლუზიური განათლება ---------- 109
3.3.1.4 ეროვნულ უმცირესობების განათლების უფლებები ---------- 111
3.3.1.5 რელიგიური და პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა ------- 112
3.4. ,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი ---------- 118
თავი IV. განათლების უფლების მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობის სამართლებრივი კვლევა იურიდიული ტექნიკის კუთხით ---------- 124
4.1. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ---------- 125
4.1.1. ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების რეგულირება ---------- 128
4.1.2. ზოგადი განათლების სფეროში ძალადობის დაუშვებლობის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხები ---------- 130
4.1.3. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი ---------- 133
4.1.4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები ---------- 135
4.1.5. სამეურვეო საბჭოს წევრისა და სამეურვეო საბჭოსთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხები ---------- 136

4.2. ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ---------- 136
4.3. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ---------- 139
4.3.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურა ---------- 144
4.3.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების სამართლებრივი რეგულირება ---------- 145
4.3.3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია და აკრედიტაცია -148
4.4. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი ---------- 148
4.4.1. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების სამართლებრივი საფუძვლები ---------- 150
4.4.2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები -- 154

თავი V განათლების უფლების მარეგულირებელი თანამედროვე ქართული კანონმდებლობის გამოწვევები ---------- 158
5.1. განათლების უფლება, როგორც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს განვითარების საფუძველი ---------- 158
5.2. საქართველოში განათლების უფლების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების სისტემატიზაცია და მოქნილობის უზრუნველყოფა ---------- 167
5.3. საკანონმდებლო აქტებში განათლების უფლების დაცვისა და აღსრულების ელემენტების გამიჯვნა ---------- 172
დასკვნა ---------- 177
ბიბლიოგრაფია ---------- 180

აბრევიატურები

ა.შ. - ასე შემდეგ

აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

გვ. - გვერდი

იუნესკო/ UNESCO - გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია

იხ.- იხილეთ

მაგ. - მაგალითად

მშპ - მთლიანი შიდა პროდუქტი

რევკომი - რევოლუციური კომიტეტი

ს.- საუკუნე

სს-ში - საუკუნეები

სს რესპუბლიკა - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

სსრ - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

წ. - წელი

წწ. - წლები

ECHR - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

eLearning - ელექტრონული სწავლება

informal - ინფორმალური

LLL - მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული ლიტერატურა, პირდაპირ კავშირშია საკვლევ პრობლემასთან/საკითხებთან. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ქართულ და უცხო ენოვანი, ჯამში 368 სამეცნიერო ლიტერატურა, რომლებიც შესაძლებელია დაიყოს შემდეგ გჯუფებად:

1. **გამოყენებული ლიტერატურა** - გამოყენებულ იქნა 53 წიგნი/მონოგრაფია;
2. **საერთაშორისო აქტი** - გამოყენებულ იქნა 6 საერთაშორისო აქტი;
3. **ნორმატიული მასალა** - გამოყენებულ იქნა 246 კანონი/დადგენილება/ბრძანება;
4. **სტატიები** - გამოყენებულ იქნა 8 სტატია;
5. **დამატებითი ინფორმაცია** - გამოყენებულ იქნა 19 სხვადასხვა სახის დოკუმენტი;
6. **სასამართლოს გადაწყვეტილება** - გამოყენებულ იქნა 5 სასამართლო გადაწყვეტილება (მათ შორის სამი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება);
7. **ელექტრონული რესურსები** - გამოყენებულ იქნა 14 საიტი.

ზემოხსენებული სამეცნიერო ლიტერატურით გამოკვლეულ იქნა განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტებთან და თანამედროვე ქართული კანონმდებლობის გამოწვევებთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: განათლების უფლების არსი; განათლება როგორც ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტი; განათლების სოციალური ფუნქცია; განათლების უფლება, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ელემენტი; განათლების უფლება საქართველოში კონსტიტუციურ აღიარებამდე; განათლების უფლების რეალიზაციის მექანიზმები ანტიკურ საქართველოში; საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების გავლენა საქართველოში საგანმანათლებლო კერების დაარსებასა და გავრცელებაში; სწავლის დაწყების ასაკი და სწავლების ფორმები საქართველოში უძველესი პერიოდიდან XI საუკუნემდე; განათლების უფლების დაცვისა და რეალიზაციის მექანიზმების შექმნის მიზნით, დავით IV აღმაშენებელის მიერ გატარებული ღონისძიებები; მონღოლების შემოსევა და განათლების უფლება საქართველოში; აღორძინების ხანა და განათლების უფლება საქართველოში; რუსიფიკატორული პოლიტიკა და განათლების უფლება

საქართველოში; საბჭოთა ხელისუფლება და განათლების უფლება საქართველოში; საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით აღიარებული განათლების უფლება; საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციები და განათლების უფლება; საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ განათლების უფლების კონსტიტუციური აღიარება; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი; „განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ კონვენცია; ,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი; ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი; ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი; ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი; ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი; განათლების უფლება, როგორც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს განვითარების საფუძველი; საქართველოში განათლების უფლების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების სისტემატიზაცია და მოქნილობის უზრუნველყოფა და საკანონმდებლო აქტებში განათლების უფლების დაცვისა და აღსრულების ელემენტების გამიჯვნა.

Abstract of the Dissertation

"International standards of the Right to Education and the modern challenges of the Georgian Legislature"

The chosen research topic of the dissertation - "International standards of the Right to Education and the modern challenges of the Georgian Legislation" is undoubtedly a pressing issue. Right to education is one of the most important rights of a person, which is admitted by the international and local legal norms.

The realization of the Right to Education means: receipt of the high quality education, access to education, access to LLL (Life Long Learning) and etc, which ensures personal development and strengthening of the society in terms of economic, cultural and social dimensions.

The development of the science and the implementation of the new methods put into the agenda the issue of the compliance to international standards of right to education and access to education, which necessitates from the vital needs, pace of the life and needs overall.

The educational system is under process of constant development and consequently offers new services to the society for knowledge and awareness raising.

Subsequently, it is of utmost importance to research and understand the right to education, as one of the fundamental rights of a person and to determine its essence and importance in any given situation.

Despite the fact that right to education, actually represents the foundation of the modern Georgian legislation, at this point there is no literature, works or research, which would determine the problems of the constitutionally defined right, its historical aspects and other important issues, whereas its research would ensure the refinement of the Georgian legislation. Therefore, it is of utmost importance to develop a research, that would ensure the effective realization of the right to education of a person and subsequently, ensure the development of the educational system in accordance with the international standards for the future generations.

The aim and problems of the research are to develop a dissertation based on the in-depth analysis of the right to education, that would be orientated towards the development of the

regulatory legislation of the Georgian educational system and its compliance with the international standards.

The current dissertation consists of the introduction, five chapters, sixteen paragraphs, conclusion and the bibliography, whereas the structure of the dissertation derives from the aims of the research.

The first chapter, "Essence of Education" consists of three paragraphs and examines education as an essential attribute of life; social function of the education and right to education, as a socio-economic element.

The second chapter, "Right to education in Georgia (historical aspects) consists of two paragraphs and examines the right to education before and prior to constitutional guarantee.

The third chapter, "The international standards of the right to Education and its implementation into Georgian Legislation" consists of the four paragraphs and examines the implementation of the obligations set forth in the Universal Declaration of the Human Rights, European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and the protocols to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and International Covenant on Economic, Social and Cultural Rights.

The fourth chapter, "The legal research in terms of the juridical technique of the regulatory legislation of the right to education in Georgia" consists of four paragraphs and in terms of the juridical technique researches "Law of Georgian on General Education", "Law of Georgia on Vocational Education", "Law of Georgia on Higher Education" and "Law of Georgia on Educational Quality Enhancement".

The fifth chapter, "The challenges of the regulatory Georgian legislation of the right to education" consists of three paragraphs and examines right to education, as the foundation of the development of the modern Georgian state, the systematization of the regulatory legislation of the Georgian educational system and differentiation of the protection of the right to education and elements of execution.

The current research has been conducted using the dialectic, historical, comparative-legal, logical and analytic methods of scientific cognition.

In the concluding part of the dissertation, we summarize the results of the research, make relevant findings and consequently offer recommendations on the development of the "Georgian Code on Education and Science", that would be orientated towards the systematization of the regulatory acts of the Georgian education system and consequently lead to its deepened harmonization with international standards.

David lominashvili

შესავალი

სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა - კვლევის საგნად შერჩეული სადისერტაციო თემა - ,,განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტები და თანამედროვე ქართული კანონმდებლობის გამოწვევები“ - უდავოდ აქტუალურია. განათლების უფლება ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა, რომელიც აღიარებულია როგორც საერთაშორისო, ისე შიდა სახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმებით.

განათლების უფლების რეალიზაცია გულისხმობს: მაღალი ხარისხის განათლების მიღებას, განათლების ხელმისაწვდომობას, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას (LLL) და სხვას, რომელიც უზრუნველყოფს, პიროვნების, საზოგადოების ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების გაძლიერებას.

მეცნიერების განვითარებამ და ახალი მეთოდების დანერგვამ დღის წესრიგში დააყენა განათლების უფლებისა და მისი ხელმისაწვდომობის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი, რაც ცხოვრების მოთხოვნილებებიდან, ტემპიდან და საჭიროებებიდან გამომდინარეობს. საგანმანათლებლო სისტემები მუდმივად ვითარდება და სხვადსხვა შესაძლებლობებსა და სერვისებს თავაზობს საზოგადოებას განათლებისა და ცნობიერების ასამაღლებლად.

შესაბამისად, აუცილებელია გამოკვლეულ და შესწავლილ იქნას განათლების უფლება, როგორც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი და განისაზღვროს თითოეულ სიტუაციაში მისი არსი და მნიშვნელობა.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების უფლება, ფაქტობრივად, წარმოადგენს თანამედროვე ქართული სახელმწიფოს განვითარების საფუძველს, ფაქტიურად არ მოიპოვება ლიტერატურა, ნაშრომი ან კვლევა, რომელიც განსაზღვრავს კონსტიტუციით აღიარებული უფლების პრობლემებს, ისტორიულ ასპექტებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა შესწავლა ხელს შეუწყობდა ქართული კანონმდებლობის შემდგომ დახვეწას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ნაშრომის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის განათლების უფლებების ეფექტურ რეალიზაციას და მომავალი

თაობებისათვის განათლების სისტემის სრულყოფას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

იმისათვის, რომ საზოგადოებამ იარსებოს და განვითარდეს აუცილებელია საზოგადოებაში განათლების ხარისხის ამაღლება, განათლებამ პიროვნება უნდა მოამზადოს, მისცეს მინიმალური ცოდნა, რომელის საუძველზეც, ადამიანს ექნება შესაძლებლობა დასაქმდეს და გახდეს მოთხოვნილებადი მისი ცოდნის შესაფერის სფეროში. ადამიანმა უნდა შეძლოს მის მიერ მიღებული ცოდნის შესაბამისად დასაქმება. სწორედ ამაში დმგომარეობს განათლების სოციალური ფუნქცია. განათლების სოციალური ფუნქცია შესრულებული იქნება თუ ქვეყანაში არსებული განათლების სისტემები უზრუნველყოფენ პიროვნებისათვის ისეთი განათლების მიცემას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის.

,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 26-ე მუხლში აღნიშნულია რომ ,,განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.“[1]

კვლევის მიზანი და ამოცანებია - სამეცნიერო კვლევის საფუზველზე განათლების უფლების სიღრმისეული კვლევის შედეგად შექმნილიყო ნაშრომი, რომელიც მიმართული იქნება ქართული განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწისა და მეტი ჰარმონიზაციისკენ საერთაშორისო სტანდარტებთან.

კვლევის მეთოდოლოგია - კვლევა ჩატარებულია ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და ანალიტიკური მეთოდებით.

[1]იხ. ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ 1948 წლის 10 დეკემბერი, მუხლი 26.

სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა - დისერტაცია შედგება შესავლის, ხუთი თავის, თექვსმეტი პარაგრაფის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. მისი სტრუქტურა გამომდინარეობს კვლევის მიზნებიდან.

პირველი თავი, რომლის სათაურია ,,განათლების არსი" მოიცავს სამ პარაგრაფს და განიხილავს განათლება როგორც ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტს; განათლების სოციალურ ფუნქციას და განათლების უფლებას, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ელემენტს.

მეორე თავი, რომლის სათაურია ,,განათლების უფლება საქართველოში" (ისტორიული ასპექტები) მოიცავს ორ პარაგრაფს და განიხილავს განათლების უფლება საქართველოში კონსტიტუციურ აღიარებამდე და საქართველოში განათლების უფლების კონსტიტუციურ აღიარებას.

მესამე თავი, რომლის სათაურია ,,განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტები და მათი იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში" მოიცავს ოთხ პარაგრაფს და განიხილავს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმით, „განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ" კონვენციით და ,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტით აღებული ვალდებულებების იმპლემენტაციას საქართველოს კანონმდებლობაში.

მეოთხე თავი, რომლის სათაურია ,,განათლების უფლების მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობის სამართლებრივი კვლევა იურიდიული ტექნიკის კუთხით" მოიცავს ოთხ პარაგრაფს და იურიდიული ტექნიკის კუთხით გამოკვლეულია ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი; ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი; ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი და ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონი.

მეხუთე თავი, რომლის სათაურია ,,განათლების უფლების მარეგულირებელი თანამედროვე ქართული კანონმდებლობის გამოწვევები" მოიცავს სამ პარაგრაფს და განიხილავს განათლების უფლებას, როგორც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს

განვითარების საფუძველს, საქართველოში განათლების უფლების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების სისტემატიზაციას და მოქნილობის უზრუნველყოფას, საკანონმდებლო აქტებში განათლების უფლების დაცვისა და აღსრულების ელემენტების გამიჯვნას.

დაბოლოს, დასკვნაში ვაჯამებთ კვლევის შედეგებს, ვაკეთებთ დასკვნებს და ვიძლევით შესაბამის რეკომენდაციებს ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების კოდექსის“ შექმნაზე, რომელიც მიმართული იქნება ქართული განათლების სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების სისტემატიზაციაზე და მეტი ჰარმონიზაციისკენ საერთაშორისო სტანდარტებთან.

თავი I განათლების არსი

„განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გაძლიერებისაკენ. განათლება ხელს უნდა უწყობდეს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი და რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობას, მეგობრობას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.”[2]

,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო თანხმდებიან, ,,რომ განათლება მიმართულ იქნას ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსებების შემეცნების სრულად განვითარებისაკენ და განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას. ისინი ასევე თანხმდებიან, რომ განათლებამ ყველას უნდა მისცეს თავისუფალ საზოგადოებაში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობა, ყველა ერს, რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის განავითაროს ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა და მეგობრობა და ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების საქმიანობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.“[3]

,,ბავშვის უფლებების შესახებ” კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ,,აღიარებენ ბავშვის განათლების უფლებას და თანაბარი შესაძელბლობების საფუძველზე ამ უფლების განხორციელების თანდათანობით მიღწევის მიზნით:

ა) აწესებენ უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას;

ბ) ხელს უწყობენ საშუალო განათლების, როგორც ზოგადის, ისე პროფესიულის, სხვადასხვა ფორმების განვითარებას, უზრუნველყოფენ მის ხელმისაწვდომობისა ყველა ბავშვისათვის და აგრეთვე მიმართავენ ისეთ საჭირო ღონისძიებებს, როგორიცაა უფასო განათელბის შემოღება და, აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური დახმარების გაწევა;

---

[2] იხ. ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ 1948 წლის 10 დეკემბერი, მუხლი 26.

[3] იხ. ,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, 1966 წლის 16 დეკემბრი, ნაწილი III, მუხლი 13.

გ) უზრუნველყოფენ ყველასთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას თითოეულის უნარის საფუძველზე ყველა საჭირო საშუალების დახმარებით;

დ) უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისათვის განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას;

ე) მიმართავენ ხელშეწყობის ღონისძიებებს, რომ რეგულარულად დადიოდნენ სკოლაში და შემცირდეს იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებმაც მიატოვეს სკოლა.

მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ და განავითარებენ საერთაშორისო თანამშრომლობას განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კერძოდ, მთელ მსოფლიოში უმეცრებისა და უწიგნურობის ლიკვიდაციის ხელშეწყობის და სამეცნიერო–ტექნიკური ცოდნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ხელმისაწვდომობის გაადვილების მიზნით.“ [4]

განათლების უფლებას და მის მნიშვნელობას აღიარებს არა ერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტის მონაწილე სახელმწიფო. დიდია განათლების როლი ადამიანის ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელ, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ,,განათლება, როგორც წესი, პროფესიის დაუფლების წინა საფეხურია, ორივე ერთად კი – ცხოვრებაში ინტეგრირების შემადგენელი ნაწილი”.[5] განათლება ,,უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.“[6]

1.1. განათლება როგორც ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტი

[4] იხ. ,,ბავშვის უფლებების შესახებ” კონვენცია, 1989 წლის 20 ნოემბერი, მუხლი 28

[5]იხ. ქანთარია ბ. ,,განათლების უფლება, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ელემენტი”, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი” გამომცემლობა შპს „პეტიტი”, თბილისი, 2013, გვ.424.

[6]იხ. „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებით დამტკიცებული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

,,სოციოლოგიური თეორიის ერთ-ერთი მიმართულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ პოზიტიურ ფუნქციას ანიჭებს, რომელსაც განათლება საზოგადოებაში ასრულებს. სოციოლოგი ემილ დიურკემი ხაზს უსვამდა, რომ განათლების მთავარ ფუნქციას დომინანტი კულტურის ღირებულებების გადაცემა წარმოადგენს. მაგრამ, იმის გამო, რომ განსხვავებული საზოგადოების (და თავად ერთი და იგივე საზოგადეობაში) კულტურული მიზნები და ღირებულებები ერთმანეთისგან განსხვავდება, განათლების შინაარსიც განსხვავებულია. მაშინ როდესაც ძველი ათენის მოსახლეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხელოვნების შესწავლას ანიჭებდა, ძველ რომში კი განათლების მთავარ მიზანს სამხედრო პირებისა და სახელმწიფო მოხელეების აღზრდა წარმოადგენდა. ევროპაში შუა საუკუნეებში მთავარ ყურადღებას ქრისტიანულ სწავლებას ეთმობოდა, რენესანსის ეპოქაში კი გაიზარდა ინტერესი ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი. განათლება ხელს უწყობს საზოგადოებაში დამკვიდრებული სოციალური წესრიგის შენარჩუნებას. მაგრამ განათლება ხელს ცვლილებებსაც უწყობს. ბევრი კვლევა, რომელმაც დააჩქარა ბირთვული ენერგიის ათვისება, ამერიკული უნივერსიტეტების ფიზიკის ფაკულტეტებზე ტარდებოდა. აქედან გამომდინარე, განათლების მეოხებით, კულტურული ღირებულებები ნარჩუნდება და გადადის ერთი თაობიდან მეორეზე. ამასთანავე, ახალი ტექნოლოგიური მეთოდების დანერგვითა და არსებული ცოდნის გადაფასებით, განათლება ხელს უწყობს სოციალური ცვლილებების განხორციელებას.“[7]

განათლება იწვევს სოციალურ ცვლილებებს და არის მდგრადი განვითარების, საზოგადოებისა და გარემოს მთავარი ურთიერთმაკავშირებელი ელემენტი. განათლება აძლიერებს საზოგადოებას და უზრუნველყოფს ადამიანის ღირსეულ არსებობას ყველა ასპექტში. თანამედროვე განათლება უნდა მოიცავდეს მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებს, რომელიც აერთიანებს გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ ცოდნას.[8]

---

[7] იხ. სმელზერი ნ. ,,განათლება“ გვ.1, http://www.socium.ge/downloads/socshesavali/ganatleba_smelzeri.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.10.2018

[8]იხ. Rashika Sharma, Sylila Monteiro, Creating Social Change: The Ultimate Goal of Education for Sustainability, International Journal of Social Science and Humanity, Vol. 6, No. 1, January 2016, გვ.1, http://www.ijssh.org/vol6/621-CH381.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.10.2018

,,გერმანელი ფსიქოლოგის ვ. მეცგერის აზრით, საჭიროა, რომ განათლების პროცესმა ჩამოაყალიბოს ახალგზარდა თაობა არა მხოლოდ როგორც კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევების მცოდნე და მომხმარებელი, მისგან ყოფითი პირობების გაადვილების და სიამოვნების მიმღები, არამედ აუცილებელია, განათლების პროცესმა ყოველ ბავშვში პატარა ასაკიდანვე აღძრას შემოქმედების, არსებობის გაუმჯობესების მისწრაფება, რაც უდავოდ, იმის გარანტია მაინც იქნება, რომ ბავშვი თვითგანვითარების სწორ გზაზე დგას. ბავშვი, რომელიც განათლების გარეშე დარჩება, მას არ ექნება თვითგანვითარების, თვითრეალიზაციის და თვითპრეზენტაციის შესაძლებლობა. კარლ როჯერსი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ის ადამიანია განათლებული, რომელმაც ,,ისწავლა თუ, როგორ უნდა ისწავლოს", რომელმაც შეიძინა ადაპტირებისა და საკუთარი თავის შეცვლის უნარი, რომელმაც გააცნობიერა, რომ არანაირი ცოდნა არ არის ურყევი და უცვლელი, და მხოლოდ ცოდნის ძიების პროცესი გვაძლევს სიმყარის საფუძველს. შესაბამისად, ცოდნის/განათლების დეფიციტი ნეგატიურად აისახება ადამიანის უნარზე, ადაპტირება მოახდინოს სოციალურ გარემოში, შეიცნოს საკუთარი თავი, განსაზღვროს პიროვნული ხარვეზები და შეცვალოს ისინი".[9]

,,როგორც სოციუმი არ არსებობს კომუნიკაციის გარეშე, ისევე ნებისმიერი კომუნიკაცია ანუ საზოგადოების სხვადასხვა სტატუსის თუ პროფესიის ადამიანებს შორის ურთიერთობა ვერ შედგება განათლების გარეშე. პიროვნება ღრმა და მზარდ გამოცდილებას უნდა ფლობდეს. საზოგადოების თითოეული წევრი მეტ-ნაკლებად ერთმანეთის აზრებსა და მიზნებს იზიარებს და ყველაფრისადმი საკუთარი დამოკიდებულება აქვს. ურთიერთობის ყოველი მონაწილე, ბუნებრივია, ამ კომუნიკაციის წარმმართველი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მუდმივად ვიმყოფებით აზრთა გაცვლა-გამოცვლის, სირთულეების დაძლევისა და

[9]იხ. მშვილდაძე ა. ,,განათლება და მისი როლი ადამიანის ცხოვრებაში", 2016, 30 აგვისტო, http://intermedia.ge/სტატია/77344-განათლება-და-მისი-როლი-ადამიანის-ცხოვრებაში/89/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.10.2018

დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ვითარებაში. დროთა განმავლობაში თითოეულ ჩვენგანს ეცვლება დამოკიდებულება საკუთარი გამოცდილების მიმართ. ცოდნა და გამოცდილება კომუნიკაციის ფორმულირებას უწყობს ხელს. იცვლება მოსაზრებები და შეხედულებები მოთხოვნილებებთან დაკავშირებით. ზოგი მათ სხვებთან მიმართებაში განიხილავს. რა შედეგი მოჰყვება საკუთარი ინტერესების დაცვას? რა თვალით უყურებენ ამა თუ იმ საკითხს სხვები? როგორ დავძლიოთ პრობლემები? რა კავშირი აქვს მათ გადაჭრას სხვის ცხოვრებასთან? დავაფასოთ თუ არა დანარჩენების აზრი? ყოველდღიურობაში გავრცელებული ფრაზებისა და აფორიზმების გარდა, ადამიანებს შორის სიბრძნის და ცოდნის გაზიარების მეთოდები სხვადასხვაა. ინფორმაციის გადაცემა და ადამიანებს შორის ურთიერთობა ხელოვნებაა. სოციალური ჯგუფის წევრების ურთიერკავშირი უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაციის მატარებელია, რომელსაც სხვაგვარად ცხოვრებისეულ გამოცდილებას უწოდებენ. ყოველი ინდივიდი ცდილობს სიცოცხლის მანძილზე ამ სიბრძნის დაგროვებას. სოციალური ფენის ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპზე დაგროვილი გამოცდილება ყოველდღიურობაში აისახება.

ამრიგად, თავად სიცოცხლე სწავლის ერთი მთლიანი პროცესია, რასაც სოციუმის უწყვეტი არსებობისა და განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ცოდნის მიღება ზრდის და ანათლებს ადამიანს, ამდიდრებს მის წარმოსახვას, ნააზრევის გადმოცემაში ეხმარება და სათანადო დროს ადეკვატური შეფასების გაკეთების საშუალებას აძლევს. უფროს თაობასა და ახალგაზრდობას შორის ინფორმაციის გაცვლა ცოდნის გადაცემას ემყარება, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს სიბრძნის გაზიარების სხვადასხვა მეთოდის შემუშავების აუცილებლობას. ეს კი კომუნიკაციის ერთ-ერთი სახეა და, ბუნებრივია, თაობებს შორის ჯანსაღი დამოკიდებულების განვითარებას უწყობს ხელს.“[10]

,,,,ადამიანური კაპიტალის” თეორიის თანახმად, განათლება არ წარმოადგენს ისეთ რამეს, რასაც ადამიანი მაშინვე მოიხმარს; განათლება არის კაპიტალდაბანდება მომავლისთვის, რომელიც, როგორც ყველა კაპიტალდაბანდება, მოგების მომტანია.

---

[10] იხ. დიუი ჯ. ,,დემოკრატია და განათლება”, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2010 წელი, გვ.8.

ჯასტერის განმარტებით, ადამიანები იწყებენ ცხოვრებას, ფლობენ რა რაღაც პოტენციალს – იგულისხმება მათი ბუნებრივი შესაძლებლობები; ეს კაპიტალი იზრდება ადრეულ ბავშვობაში, სკოლის პერიოდში და მოღვაწეობის დაწყებისას, მაგრამ კაპიტალი კარგავს გაყიდვის უნარს ან საერთოდ უფასურდება, თუ ცოდნა და პროფესიონალური მომზადება არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.“[11]

,,ადამიანური კაპიტალის” თეორია ხაზს უსვამს განათლებას, როგორც ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტს და მიიჩნევს, რომ ადამიანი საკუთარ ცოდნას, საზოგადოების განვითარების კვალდაკვალა უნდა იღრმავებდეს და სწორედ მის მიერ მიღებულ ცოდნაზეა დამოკიდებული მისი შემოსავალი. ,,ამგვარი მიდგომის მიხედვით შეიძლება აიხსნას ადამიანების შემოსავლებს შორის განსხვავება, რომელიც განპირობებულია “კაპიტალდაბანდების” რაოდენობითა და ტიპით, რომელსაც ადამიანები განათლების პროცესში აკეთებენ.“[12]

ილია ჭავჭავაძის აზრით ,,ხალხის სიღარიბიდამ გამოყვანა და სწავლა და ცოდნა ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ იმათ უერთმანეთოდ მნიშვნელობა არა აქვთ რა“[13] და ,,რომ კაცი კაცად გახდეს, ამის ღონეთ მარტო ცოდნა და განათლებაა. არა ღონე არ ექნება გაუნათლებელს კაცს თავის ჯაჭვის დასამტვრეველად.“[14] ილია ჭავჭავაძე ხალხის წარმატებასა და განვითარებას სწავლა-განათლებაში ხედავდა და იმედი ჰქონდა რომ ,,ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიდგამს ფეხს; გავრცელდება სწავლა-განათლება სამშობლო ენაზედ და მით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლოდ საგვარტომო და თვითმოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია”.[15]

---

[11] იხ. სმელზერი ნ. ,,განათლება“ გვ.2, http://www.socium.ge/downloads/socshesavali/ganatleba_smelzeri.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.10.2018

[12]იხ. სმელზერი ნ. ,,განათლება“ გვ.2, http://www.socium.ge/downloads/socshesavali/ganatleba_smelzeri.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.10.2018

[13]იხ. თეთრუაშვილი ზ. ,,ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის გონებრივი განვითარების, ზნეობრივი განწმენდისა და ქონებრივი გაღონიერების შესახებ (აზრების კრებული)“ გორი 22.02.12 – 15.10.14, გვ. 93.

[14]იხ. თეთრუაშვილი ზ. ,,ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის გონებრივი განვითარების, ზნეობრივი განწმენდისა და ქონებრივი გაღონიერების შესახებ (აზრების კრებული)“ გორი 22.02.12 – 15.10.14, გვ.75;

[15] იხ. თეთრუაშვილი ზ. ,,ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის გონებრივი განვითარების, ზნეობრივი განწმენდისა და ქონებრივი გაღონიერების შესახებ (აზრების კრებული)“ გორი 22.02.12 – 15.10.14, გვ.75; გვ. 93.

,,1971 წელს ივან ილიხმა დაწერა წიგნი ,,განათლება, რომელმაც უარი თქვა განათლებაზე", რასაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა საზოგადოებაში. ილიხი აცხადებდა, რომ აუცილებელ უარი ეთქვას აუცილებელ განათლებას და რომ დამქირავებელი არ უნდა დაინტერესდეს პოტენციური მუშაკის განათლების შესახებ.

ამ მიდგომის თანახმად წყდებოდა კავშირი განათლებას, სამსახურსა და შემოსავალს შორის, რასაც ასე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფუნქციონალისტები.

ილიხი იცავდა პოზიციას, რომლის თანახმადაც განათლება სკლებში არ ავითარებდა შემეცნებით და დამოუკიდებელი აზროვნების უნარებს. პირიქით, ილიხი ამტკიცებდა, რომ მასობრივი განათლება ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ადამიანებში იწვევდა არასრულფასოვნების კომპლექსს."[16]

ვერ გავიზიარებთ ივან ილიხის პოზიციას განათლებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ადამიანის მიერ პროფესიის არჩევასა და საქმიანობაზე დიდ გავლენას ახდენს განათლება, სწორედ მიღებული განათლების შედეგად პოულობენ ადამიანები თავიანთ ადგილს საზოგადოებაში, ყალიბდებიან საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, ქმნიან ინტელექტუალურ საკუთრებასა და მატერიალურ რესურს, საზოგადოებაში იპოვებენ საქმიან რეპუტაციას, მონაწილეობას ღებულობენ სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სახელმწიფოს მართვაში. განათლება და ცხოვრება ერთმანეთისგან გაუყოფლები არიან და შეუძლებელია განვითარდეს საზოგადოების ცხოვრების დონე და დემოკრატია განათლების გარეშე.

1.2. განათლების სოციალური ფუნქცია

განათლებას სოციალური ფუნქცია აქვს. ,,განათლება სოციუმის თვითშენარჩუნებისა და განახლების საწინდარია"[17], განათლება კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდება და გადაეცემა თაობიდან თაობებს. განათლება

[16]იხ. სმელზერი ნ. ,,განათლება" გვ.3, http://www.socium.ge/downloads/socshesavali/ganatleba_smelzeri.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.10.2018

[17]იხ. დიუი ჯ. ,,დემოკრატია და განათლება", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2010 წელი, გვ.12.

განაპირობებს ქვეყნის სახელმწიფოებრივ განვითარებას. ,,სახელმწიფოებრივი და მიზანმიმართული ხასიათი განათლებისა და სწავლების პროცესმა ანტიკურ ცივილიზაციაში შეიძინა. განათლების სახელმწიფოებრივმა ხასიათმა განაპირობა მისი სოციალური საჭიროებების, სოციალური ფუნქციების განსაზღვრა. „სოციალური ფუნქცია ის როლია, რომელსაც სოციალური ინსტიტუტი ასრულებს საზოგადოების დაკვეთებთან მიმართებით“".[18] ,,განათლება, ჯონ დიუის აზრით, სოციალური პროგრესის მთავარი მექანიზმია. განათლების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა იდეების და გამოცდილების გაზიარება იქამდე, სანამ ის სოციალური კუთვნილება არ გახდება. განათლება დემოკრატიის მთავარი ინსტრუმენტი და საზოგადოების ზრუნვის უმთავრესი საგანია. ინდივიდუალური და სოციალური მიზნები ერთია, ისევე, როგორც განათლების მიზანი და პროცესი. ინდივიდუალური გამოცდილების რეკონსტრუირება მხოლოდ სოციალური კოლექტიური შეგნების ფარგლებშია შესაძლებელი.“[19]

,,ისტორია გვიჩვენებს, რომ განათლებისთვის მუდამ იყო დამახასიათებელი კულტურათა და ხალხთა ორი ძირითადი პრობლემა, სახელდობრ, ახალგაზრდობისათვის ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო ტექნიკური ჩვევების გადაცემა და აგრეთვე კონკრეტულ ხალხთა და საზოგადოებათა რელიგიური, იდეური, კულტურული და სოციალური ღირებულებების გადაცემა. ევროპაში, განმანათლებელთა ეპოქამდე, განათლება ძირითადად მშობელთა და ეკლესიის ფუნქციას წარმოადგენდა. მხოლოდ თანამედროვე, სამოქალაქო სახელმწიფოების წარმოქმნის შემდეგ გახდა განათლება საზოგადოების ზრუნვის საგანი. მე-18 საუკუნეში, განმანათლებელთა აბსოლუტიზმის პერიოდში, ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა შეეცადა დაერეგულირებინა განათლების რთული ურთიერთობები ბავშვებს, მშობლებს, ეკლესიასა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებათა მეპატრონეებს შორის, რაც ხორციელდებოდა სკოლებში სავალდებულო სწავლების და სხვა მსგავსი ღონისძიებების შემოღებით. მეცხრამეტე საუკუნეში სახელმწიფო ვალდებულება განათლების მიმართ

---

[18]იხ. ჭკუასელი ქ. ,,განათლების სოციალური ფუნქციის საკითხის განსაზღვრისათვის", GESJ: Education Science and Psychology 2018 | No.2(48), გვ.91. http://gesj.internet-academy.org.ge/en/prv_issues_en.php?b_sec=edu უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.10.2018

[19]იხ. დიუი ჯ. ,,გამოცდილება და განათლება“ https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/jon-diui.pdf გვ.266, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.10.2018

აისახა უფლებათა ეროვნულ ბილში, რომლის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გერმანიის იმპერიის 1849 წლის კონსტიტუცია. კონსტიტუციის „გერმანელი ხალხის ძირითად უფლებათა“ ბილში სულ ცოტა შვიდი დებულება ეხებოდა განათლების უფლებებს (მუხლი 152 და 158), რომელთა მიზანი იყო განათლების პროცესში ჩართული სხვადასხვა სუბიექტების ინტერესთა სამართლიანი ბალანსის მიღწევა. განათლება დადგინდა როგორც ეკლესიისაგან დამოუკიდებელი, სახელმწიფო ფუნქცია, და უზრუნველყოფდა ღარიბი ფენებისათვის უფასო განათლებაზე ხელმისაწვდომობას. იმავდროულად, ყოველი გერმანელის უფლებით - დაეფუძნებინა სკოლა და ემართა იგი და ოჯახში მიეცა განათლება ბავშვისათვის, უზრუნველყოფილი იყო როგორც მეცნიერებისა და სწავლების თავისუფლება, ასევე თითოეულის უფლება - აერჩია თავისი პროფესია და დახელოვნებულიყო ამ პროფესიაში.“[20]

განათლების სოციალური ფუნქციის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ განათლების სოციალური ფუნქციები ასახულია მთელ რიგ საერთაშორისო ხელშერულებებში/კონვენციებში და სახელმწიფოების შიდა სამართლებრივ აქტებში, რომელთა შორის აღსანიშნავია:

,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 26-ე მუხლში აღნიშნულია რომ ,,განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.“[21]

,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო შეთანხმდნენ, ,,რომ განათლება მიმართულ იქნას ადამიანის პიროვნებისა და მისი

---

[20]იხ. ნოვაკი მ. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები: განათლების უფლება“, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-0l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.2&d=HASH01b75e94e1fa8d3d8337472a.2.7 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.10.2018

[21]იხ. ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ 1948 წლის 10 დეკემბერი, მუხლი 26.

ღირსებების შემეცნების სრულად განვითარებისაკენ და განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას. ისინი ასევე თანხმდებიან, რომ განათლებამ ყველას უნდა მისცეს თავისუფალ საზოგადოებაში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობა, ყველა ერს, რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის განავითაროს ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა და მეგობრობა და ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების საქმიანობას მშვიდობის შესანარჩუნებლად."[22]

„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების" დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილების თანახმად განათლება ,,უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში."[23]

ზემოთ აღნიშნული ნორმები ცალსახად მიუთითებენ განათლების სოციალურ ფუნქციაზე, მის პრიორიტეტულობასა და სახელმწიფოებრიობაზე. ,,განათლების სახელმწიფოებრივმა ხასიათმა განაპირობა მისი, როგორც პროცესის და შედეგის სოციალური საჭიროებების, სოციალური ფუნქციების განსაზღვრა, რომელიც, თავის მხრივ, საზოგადოების კულტურის დონითაა განპირობებული. ამიტომაც მეცნიერულ ლიტერატურაში განათლება განიმარტება, როგორც - სისტემური, მეცნიერული ცოდნის შეძენის პროცესი და შედეგი. განათლება მოიაზრებს ადამიანის მიერ ცოდნის დაუფლებას და მის საფუძველზე უნარებისა და ჩვევების განვითარებას, კაცობრიობის მიერ ამა თუ იმ სფეროში დაგროვილი გამოცდილების მიზანმიმართულ შეთვისებას. მაშასადამე, განათლება საზოგადოების კულტურასთან მიმართების თავისებური და

[22]იხ. ,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტი, 1966 წლის 16 დეკემბრი, ნაწილი III, მუხლი 13.

[23]იხ. „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების" დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებით დამტკიცებული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

აუცილებელი ფორმაა, განათლების გარეშე ადამიანი ვერ გახდება საზოგადოების სრულფასოვანი წევრი.[24]

ისე, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც მნიშვნელოვანია განათლების სოციალური ფუნქციის სწორად აღქმა და განხორციელება, საქართველოში მცხოვრები პირი საზოგადოების სრულფასოვან წევრად, რომ ჩამოყალიბდეს აუცილებელია შეიქმნას ცოდნის გადაცემის და მიღების ისეთი მექანიზმები, რომლებიც სისტემური, მეცნიერული ცოდნის შეძენის საშუალება იქნება. საქართველოს ხელისუფლებამ 2004 წელს მიზნად დაისახა ,,შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.“[25] ამ მიზნით გატარებულ იქნა არაერთი რეფორმა, დაინერგა და შეიქმნა სწავლა-სწავლების ახალი მექანიზმები, მიუხედავად ამისა 2018 წელს საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულება ,,განათლების სექტორის ფუნდამენტური რეფორმა“[26] გახდა. ვინაიდან ,,აღზრდისა და განათლების პროცესის სირთულიდან გამომდინარე, განათლების სოციალური ფუნქციის აღსრულება ხარისხის თვალსაზრისით, არასდროს ყოფილა მარტივი და არც დღეს არის, მით უფრო, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიური პროცესების სწრაფი განვითარების პირობებში, საზოგადოების დაკვეთები განათლების მიმართ უსწრაფესად იზრდება.“[27]

2018 წელს საქართველოს მთავრობამ სწორად გააცნობიერა განათლების სოციალური ფუნქციის მნიშვნელობა ქვეყნის თავისუფლების, სწრაფი განვითარებისა და კეთილდღეობის საქმეში, ,,განათლების სექტორის ფუნდამენტური რეფორმა დაისახა“

---

[24]იხ. ჭკუასელი ქ. ,,განათლების სოციალური ფუნქციის საკითხის განსაზღვრისათვის”, GESJ: Education Science and Psychology 2018 | No.2(48), გვ.94. http://gesj.internet-academy.org.ge/en/prv_issues_en.php?b_sec=edu უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.10.2018

[25]იხ. „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებით დამტკიცებული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

[26]იხ. ,,თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა სამთავრობო პროგრამა 2018–2020“, ივლისი 2018, გვ.2 http://gov.ge/files/68_67099_111823_2018-2020.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.10.2018

[27]იხ. ჭკუასელი ქ. ,,განათლების სოციალური ფუნქციის საკითხის განსაზღვრისათვის”, GESJ: Education Science and Psychology 2018 | No.2(48), გვ.100. http://gesj.internet-academy.org.ge/en/prv_issues_en.php?b_sec=edu უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.10.2018

მიზნად და სამთავრობო პროგრამით ,,თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა 2018–2020“ თამამი განაცხადი გააკეთა.[28]

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის სამთავრობო პროგრამით დაგეგმილი ,,განათლების სექტორის ფუნდამენტური რეფორმა“ მოითხოვს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, არასამთავრობო დაწესებულებების, დარგის ექსპერტების, მოქალაქეთა გაერთიანებებისა და საქართველოში მცხოვრები პირების, განათლების სოციალური ფუნქციის განხორციელების პროცესის სირთულის გაცნობიერებას და ერთიან მიზანმიმართულ, წინასწარ გააზრებულ ქმედებას.

1.3. განათლების უფლება, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ელემენტი

,,ადამიანის უფლებების ევოლუციის ძირითადი ეტაპები, ტრადიციისამებრ, უფლებების თაობებად მოიხსენიება. მე-18 საუკუნიდან (აშშ-ის დამოუკიდებლობა, საფრანგეთის რესპუბლიკის შექმნა) მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე (მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი), ამ უფლებების განვითარება ცალკეული სახელმწიფოების დონეზე ხდებოდა (იხ. “ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ფუძემდებლური დოკუმენტები”). მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან ერთად, სხვადასხვა თაობების უფლებების აღიარება უკვე საერთაშორისო ან რეგიონულ დონეზე ხდება.

ადამიანის უფლებების პირველ თაობას სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები წარმოადგენს. მათი განვითარება მე-18 საუკუნეში დაიწყო, როდესაც პირველი თანამედროვე ტიპის სახელმწიფოები შეიქმნა და ადამიანებმა პიროვნული თავისუფლების, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის, არჩევანის უფლება მოიპოვეს.

[28] იხ. ,,თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა სამთავრობო პროგრამა 2018–2020“, ივლისი 2018, გვ.36-37 http://gov.ge/files/68_67099_111823_2018-2020.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.10.2018

უფლებების პირველი თაობის კონტექსში სახელმწიფოს, ძირითადად, *ნეგატიური ვალდებულება* ჰქონდა - არ შეეზღუდა მოქალაქეების უფლებების განხორციელება. პირველ თაობას მიაკუთვნებენ ისეთ უფლებებს, როგორებიცაა:

- სიცოცხლის უფლება
- ადამიანის ღირსების და უსაფრთხოების დაცვა
- სიტყვის და გამოხატვის, რელიგიის და აღმსარებლობის თავისუფლება
- შეკრების და მანიფესტაციის უფლება
- წამების აკრძალვა
- უდანაშაულობის პრეზუმფცია
- უფლება სამართლიან სასამართლოზე
- საარჩევნო უფლებები
- კანონის წინაშე თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა
- კერძო საკუთრების უფლება
- პირადი ცხოვრების უფლება

უფლებების მეორე თაობა - სოციალურ-ეკონომიკური უფლებები - მე-19 საუკუნეში აღმოცენდა და უკავშირდება ინდუსტრიალიზაციის მძიმე სოციალური შედეგების ფონზე სოციალური კეთილდღეობის და ადამიანის უფლებების ჰარმონიზების მცდელობას. მეორე თაობის უფლებები სახელმწიფოს საკმაოდ მრავალრიცხოვან *პოზიტიურ ვალდებულებებს* აკისრებს, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ევალება ამ უფლებების უზრუნველყოფისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება. სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებში მოიაზრება:

- უფლება კეთილდღეობაზე
- განათლების უფლება
- ჯანმრთელობის უფლება
- ღირსეულ პირობებში შრომის უფლება
- გაფიცვის უფლება
- საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის უფლება
- კულტურაზე წვდომის უფლება

- დასვენების და გართობის უფლება

უფლებების მესამე თაობა - კოლექტიური უფლებები - მე-20 საუკუნის 70-იან წლებში იღებს სათავეს და ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია - ჯერაც არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ამ უფლებების დეკლარირებისადმი იქნებოდა მიძღვნილი. საქართველოს კონსტიტუცია ზოგიერთ მათგანს აღიარებს, როგორც ადამიანის უფლებას (მაგ. უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება). მესამე თაობის უფლებების საფუძველს წარმოადგენს *სოლიდარობის* ცნება - ურთიერთდახმარების, ერთად მშვიდობიანი არსებობის აუცილებლობა, რაც ადამიანის უფლებების განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა. მესამე თაობაში მოიაზრებენ შემდეგ უფლებებს:

- უფლება მშვიდობაზე
- ხალხთა თვითგამორკვევის უფლება
- უფლება მდგრად განვითარებაზე
- უსაფრთხო გარემოს ხელმისაწვდომობა
- უფლება დემოკრატიულ სახელმწიფოზე."[29]

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში ეკონომიკურ-სოციალური უფლებების ძირითადი წყარო არის ,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტი, რომელიც თავის პრეამბულაში აღიარებს, რომ: შიშისა და გაჭირვებისაგან თავდახსნილი თავისუფალი პიროვნების იდეალის მიღწევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება ისეთი პირობები, სადაც ყველას შეეძლება თავისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ისევე, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობა.[30]

სოციალურ-ეკონომიკური უფლებები უზრუნველყოფენ ინდივიდთა ღირსებას, თავისუფლებასა და კეთილდღეობას, გარანტირებულს ხდიან სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ განათლების, საყოველთაო ჯანდაცვის, ნორმალური საცხოვრებელი

---

[29] იხ. ,,ადამიანის უფლებების განვითარების ძირითადი ეტაპები" https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-12 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.01.2019

[30] იხ. ,,ECONOMIC AND SOCIAL RIGHTS IN THE COURTROOM", A Litigator's Guide to Using Equality and Non-Discrimination Strategies to Advance Economic and Social Rights, London, December 2014, p.5.

პირობების, საარსებო ხელფასის, ჯეროვანი სამუშაო პირობებისა და სხვა სოციალური სიკეთეების დაცვას.[31]

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები არის ის ადამიანის უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო ადგილებთან, სოციალურ უსაფრთხოებასთან, ოჯახურ ცხოვრებასთან, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობით და საცხოვრებლის, კვების, წყლის, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობასთან.[32] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ადგენს ადამიანის უფლებათა ჩამონათვალს, რომელთაც მიეკუთვნება სოციალური (ან „კეთილდღეობის") უფლებები, რომლებიც სხვა ბევრ საკითხთან ერთად მოითხოვენ ყველა ბავშვის განათლების მიღების უზრუნველყოფას და უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილისაგან დაცვას.[33]

განათლება, როგორც კაცობრიობის ყველაზე ეფექტური იარაღი თვითგანვითარებისთვის, არის მეტად ღირებული მოვლენა. იგი იღებს ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების სტატუსს, რამდენადაც ის არის განუყოფელი ნაწილი ადამიანის ღირსებისა და აძლიერებს მას ცოდნით, სიბრძნითა და გაგების უნარით. უფრო მეტიც, მრავალასპექტიანი პროფილის გამო განათლებას ენიჭება სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლების სტატუსი. განათლება სოციალური უფლებაა, ვინაიდან საზოგადოებრივ ჭრილში, ის განაპირობებს ადამიანის პიროვნების სრულ განვითარებას. განათლება ეკონომიკური უფლებაა იმდენად, რამდენადაც იგი ხელს უწყობს ეკონომიკურ თვითდაკმაყოფილებას დასაქმების ან თვითდასაქმების გზით. ამასთან, განათლება არის კულტურული უფლებაც, ვინაიდან საერთაშორისო საზოგადოებამ განათლება მიმართა სწორედ ადამიანის უფლებების უნივერსალური კულტურის მშენებლობისკენ. საბოლოო ჯამში, თანამედროვე საზოგადოებაში,

---

[31] იხ. Dawood A. and Bulmer E. ,,Social and Economic Rights" International IDEA Constitution-Building Primer 9, 2017; p.3.

[32] იხ. ,,Frequently Asked Questions on Economic, Social and Cultural Rights" Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, Fact Sheet No.33, p.1.

[33] იხ. ,,ადამიანის უფლებები" თავისუფლების ინსტიტუტი 2005, გვ.7-8;

განათლება არის ინდივიდის, როგორც ცოცხალი არსების სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო აუცილებელი წინაპირობა.[34]

,,საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განათლების უფლებას სოციალური უფლებების კატალოგში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. როგორც სასამართლომ განაცხადა: ,,განათლების მიღების კონსტიტუციური უფლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ძირითად სოციალურ უფლებას და ცივილიზებული კაცობრიობის აღიარებულ ღირებულებას."[35]

,,განათლების უფლება სოციალური უფლებების კატეგორიაში მოიაზრება. ეს, რასაკვირველია, განპირობებულია სახელმწიფოს ვალდებულებებით, ერთი მხრივ, შექმნას განათლებისათვის საჭირო პირობები (ინფრასტრუქტურა, პროგრამების ჰარმონიზაცია, განათლების ხარისხის კონტროლი და სხვა) და, მეორე მხრივ, მისცეს ფინანსური შესაძლებლობა ნიჭიერ და ღარიბ ფენებს, მიიღონ შესაბამისი განათლება."[36]

,,კატარინა ტომაშევსკის, გაერო-ს საგანგებო მომხსენებლის, სიტყვებით, განათლების უფლება შეიცავს როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა, ისე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა ელემენტებს."[37]

,,განათლების უფლება სოციალური უფლებაა იმ გაგებით, რომ მისი რეალიზაცია დამოუკიდებლად ყველას არ შეუძლია, ამიტომ დებულება სწავლა-განათლების გარკვეული დოზით დაფინანსების შესახებ თითქმის ყველა ცივილიზებული ქვეყნის კონსტიტუციაშია ასახული. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს

---

[34] იხ. Claude R. P. ,,The right to education and human rights education"; http://www.scielo.br/scielo.php?pid=S1806-64452005000100003&script=sci_arttext&tlng=en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 28.10.2018

[35] იხ. ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ. ,,ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა", საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი 2013, გვ.477

[36] იხ. ქანთარია ბ. ,,განათლების უფლება, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ელემენტი", საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი" გამომცემლობა შპს „პეტიტი", თბილისი, 2013, გვ.424-425

[37] იხ. სმიტი რ. კ.მ. ,,ადამიანის საერთაშორისო უფლებები", 20. განათლებისა უფლება და განათლება ადამიანის უფლებათა სფეროში, 20.1 განათლების უფლება. 2006 წ. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.2&d=HASH013ff4c7373719a90e547cec.23 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 28.10.2018

კონსტიტუციის 35-ე მუხლის 3-ე ქვეპუნქტის მიხედვით, დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება, მხოლოდ ადამიანის უფლებაზე არ არის დამოკიდებული. ეს არის პირდაპირი კონსტიტუციური ვალდებულება."[38] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ,,ყოველი სახელმწიფო ვალდებულია არსებული რესურსების ფარგლებში მოსახლეობის სოციალური უფლებების დასაცავად მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავდეს, რათა ამ უფლებათა დაცვის, სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელი დონე მაინც რომ უზრუნველყოს. სხვანაირად, აზრი ეკარგება სახელმწიფოთა საერთაშორისო - სამართლებრივ ვალდებულებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს მოქმედებანი ამ მიმართულებით სტაბილურ, ევოლუციურ ხასიათს უნდა ატარებდეს და დადებითი დინამიკით გამოირჩეოდეს."[39]

ასბორნ ეიდე აღნიშნავს, რომ ,,განათლების უფლება ნაწილობრივ კულტურულ უფლებას წარმოადგენს."[40]

როგორც ავღნიშნეთ, იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები განათლების უფლების შესახებ. მკვლევარები და დარგის ექსპერტები განათლების უფლებას ადამიანის უფლებების სხვადასხვა ჯგუფებსაც მიაკუთვნებენ. სავსებით დამაჯერებელი და სწორია ბექა ქანთარიას პოზიცია, რომელიც არ იზიარებს იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, ,,რომლის მიხედვით, განათლების უფლება არის პირადი უფლება, რადგან დამოკიდებულია კონკრეტული ადამიანის ნებაზე, იყოს განათლებული და მოახდინოს ამ უფლების რეალიზაცია საკუთარი ნებით. თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ, მაშინ ისეთი კონსტიტუციური

---

[38] იხ. ქანთარია ბ. ,,განათლების უფლება, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ელემენტი", საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი" გამომცემლობა შპს „პეტიტი", თბილისი, 2013, გვ. 425

[39] იხ. ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ. ,,ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა", საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი 2013, გვ.544

[40] იხ. ეიდე ა. „კულტურული უფლებები, როგორც ადამიანის ინდივიდუალური უფლებები", ,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები" მე-16 თავი, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4----4---0-1l--11-ka-00---10-en-50--00-3-about-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-1utfZz-8-10&a=d&c=samartal&cl=CL2.7&d=HASH01b75e94e1fa8d3d8337472a.2.9 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 28.10.2018

უფლება, როგორიცაა, მაგალითად, შრომის უფლება, შეიძლება ჩავთვალოთ პირად უფლებად, რადგან შრომას ადამიანს არავინ აიძულებს, მას შეუძლია დასაქმდეს ან არ დასაქმდეს და მთელი ცხოვრება უქმად გაატაროს. ეს მისი უფლებაა."[41]

მიგვაჩნია, რომ განათლების უფლება, არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ელემენტია, არამედ წარმოადგენს ადამიანის უფლებების ჯგუფში გაერთიანებული მრავალი უფლების რეალიზაციის საშუალებას. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ყველა ადამიანს მიეცეს მაღალი ხარისხის განათლება და შეიქმნას მისი უზრუნველყოფის მექანიზმები. მათ შორის საკანონმდებლო დონეზე, რომელსაც ასევე ითვალისწინებს ,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტი, რომლის მონაწილე სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება თანდათანობით უზრუნველყონ, ამ პაქტით აღიარებული უფლებების სრული განხორციელება ყველა მართებული საშუალებით, მათ შორის, საკანონმდებლო ღონისძიებათა მიღებით.[42]

---

[41] იხ. ქანთარია ბ. ,,განათლების უფლება, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ელემენტი", საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი" გამომცემლობა შპს „პეტიტი", თბილისი, 2013, გვ.425

[42] იხ. ,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტი, 1966 წლის 16 დეკემბრი, ნაწილი II, მუხლი 2..

თავი II. განათლების უფლება საქართველოში (ისტორიული ასპექტები)

2.1. განათლების უფლება საქართველოში კონსტიტუციურ აღიარებამდე

საქართველოში განათლებას ძველთაგანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, საქართველოში კარგად ქონდათ გაცნობიერებული განათლების მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების საქმეში, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საქართველოში ანტიკური ხანიდან არსებობდა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები.

2.1.1. განათლების უფლების რეალიზაციის მექანიზმები ანტიკურ საქართველოში

,,ქართული განათლების ისტორიის საწყისი ეტაპის და შესაბამისად, განათლების სისტემის წანამძღვრების ადრეული მახასიათებლების შესახებ ავთენტური ქართული წყაროები არ არსებობს. მათზე მსჯელობა მხოლოდ ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი. ბერძენი ისტორიკოსების ჩანაწერები მოწმობს, რომ ანტიკურ საქართველოში გავრცელებული იყო "გიმნასიონები"."[43]

,,ანტიკური განათლების გავრცელებასა და მეცნიერული აზრის შემდგომ განვითარებაში დიდი როლი ითამაშა კოლხეთის უმაღლესმა რიტორიკულმა სკოლამ,"[44] ,,III-VI საუკუნეებში ფაზისის (ფოთის) მახლობლად არსებობდა უმაღლესი რიტორიკული სკოლა - ლაზთა აკადემია, სადაც ასწავლიდნენ რიტორიკულ ხელოვნებას, ძირითადად ფილოსოფიასა და სამართლის საფუძვლებს; აგრეთვე: ლიტერატურას, მუსიკას, ასტრონომიასა და მათემატიკის ელემენტებს. აქ იზრდებოდნენ საუკეთესო ორატორები და პოლიტიკური მოღვაწეები. კოლხეთის აკადემია იმ დროს იმდენად

---

[43] იხ. ლომოური გ. ,,ქართული განათლების სისტემის ისტორიული საწყისი" https://giorgilomouri.wordpress.com/ქართული-განათლების-სისტე/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

[44] იხ. ქიტესაშვილი ქ. ,,განათლების ისტორია საქართველოში (სტატია ვიკიპედიიდან)" 29.01.2013; http://edc21.blogspot.com/2013/01/blog-post_29.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი ყოფილა, რომ აქ განათლების მისაღებად მოდიოდნენ გამოჩენილი ბიზანტიელი ფილოსოფოსებიც კი.

ლაზთა აკადემიის შესახებ მოთხრობილია ბერძენი ფილოსოფოსის - თემისტიოსის - ერთ-ერთ წერილში."[45] ,,თემისტეს (384წ.ქ.შ.) სიტყვებიდან ჩანს, რომ ელლინური სწავლაგანათლებისათვის ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩენილა კოლხეთში და, თუ მას დავუჯერებთ, ქვეყანა ელლინური კულტურისა და "მუზათა სადგურად" უქცევია. ისე რომ იმ დროს კოლხებს ელლინთა სადღესასწაულო ყრილობეზედაც კი უსახელებიათ თავი რიტორიკითა და მჭევრმეტყველებით 784. ეს გარემოება საუცხოვო დამამტკიცებელი საბუთია, როგორც ელლინური კულტურის გავლენის სიძლიერისა დასავლეთ საქართველოში, ისე მის მაშინდელ მაღალხარისხოვან გონებრივი დაწინაურებისაც. ცხადია, ასეთ ნაყოფს ქვეყანა ერთი ბერძნის მოღვაწეობით, თუნდ ძალიანაც თავგამოდებული ყოფილიყო იგი, ვერას დროს ვერ გამოიღებდა, როგორც ჰგონია თვით თემისტეს, თუ რომ თვითონ კოლხეთის მკვიდრნი თავისთავადაც და წინათაც კულტურულად მაღლა არა მდგარიყვნენ."[46]

,,თემისტიოსსა და მამამისსაც რიტორიკული განათლება ლაზთა აკადემიაში მიუღიათ. აქ უსწავლია იოანე ლაზსაც."[47]

2.1.2. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების გავლენა საქართველოში საგანმანათლებლო კერების დაარსებასა და გავრცელებაში

---

[45] იხ. ფეიქრიშვილი ჟ. ,,ძველი ქართული საგანმანათლებლო და კულტურული კერები საქართველოსა და უცხოეთში", ,,ქართული ენის ისტორია" პროფესორ ტ. ფუტკარაძის საერთო რედაქციით სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი 2006, §2.4 http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/enis%20istoria.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

[46] იხ. ჯავახიშვილი ივ. ,,ქართველი ერის ისტორია", პირველი ტომი, თავი მეხუთე ,,საქართველოს კულტურა I—VII ს. ს. ქრ. შ.", §2; http://www.amsi.ge/istoria/ij/qei1/T5.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

[47] იხ. ფეიქრიშვილი ჟ. ,,ძველი ქართული საგანმანათლებლო და კულტურული კერები საქართველოსა და უცხოეთში", ,,ქართული ენის ისტორია" პროფესორ ტ. ფუტკარაძის საერთო რედაქციით სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი 2006, §2.4 http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/enis%20istoria.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო კერების დაარსებას და გავრცელებას ხელი შუწყო ქრისტიანობის რელიგიამ, ,,IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას მოჰყვა ეკლესიებთან სკოლების გახსნა.“[48] საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების შემდგომ ,,თბილისში ფართოდ გაიშალა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა. თბილისელი სწავლულები აქტიურად მონაწილეობდნენ ქრისტიანული მსოფლმხედველობის საკითხების ზოგად-თეორიულ დამუშავებაში, ჰქმნიდნენ ორიგინალურ ქართულ ლიტერატურას მწერლობისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგებში, ყალიბდებოდა სწავლა-განათლების თვალსაჩინო ცენტრები.“[49]

,,სომეხ ისტორიკოსთა სიტყვით, საეკლესიო მწერლობის დაწყებასთან ერთად ჩვენში თითქოს სკოლებიც გაჩენილა. კორიუნი ამბობს: მეფე ბაკურმა “უბრძანა ერთს, ქართული ენის მცოდნე კაცს, ჯაღის, შეეკრიბა ბავშვები სხვადასხვა კუთხიდან, სადაც სხვადასხვა კილოკავზე ლაპარაკობდნენ, და ესწავლებინა მათთვის ერთი ენა, რომლითაც ქართველებმა ღვთის დიდება დაიწყესო”. [50]

,,ისტორიული წყაროების მიხედვით, ძველ საქართველოში მონასტრები (როგორც რელიგიურ-კულტურული კერები) პირველად დაუარსებიათ ასურეთიდან ჩამოსულ კაპადოკიელ მამებს.“[51] ,,მონასტრები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ჩვენში VI საუკუნეში ჩნდება, როდესაც აქ სამოღვაწეოდ მოდის ცამეტი ასურელი მამა. დავით გარეჯელმა, შიო მღვიმელმა, აბიბოს ნეკრესელმა, იოსებ ალავერდელმა, ზენონ

---

[48] იხ. ქიტესაშვილი ქ. ,,განათლების ისტორია საქართველოში (სტატია ვიკიპედიიდან)“ 29.01.2013; http://edc21.blogspot.com/2013/01/blog-post_29.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

[49] იხ. *ფირცხალაიშვილი ა.* ,,საგანმანათლებლო კერები - თბილისი“, გაზეთი ,,ახალი განათლება“ 2010-06-12; http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=24 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

[50] იხ. კეკელიძე კ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: კ. კეკელიძის ძველი მწერლობა” საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 1954წ, §4 ,,სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში“ გვ.65, http://www.el.ge/article/?id=150 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

[51] იხ. ფეიქრიშვილი ჟ. ,,ძველი ქართული საგანმანათლებლო და კულტურული კერები საქართველოსა და უცხოეთში”, ,,ქართული ენის ისტორია“ პროფესორ ტ. ფუტკარაძის საერთო რედაქციით სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი 2006, §2.4 http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/enis%20istoria.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

იყალთოელმა, სტეფანე ქიზიყელმა, ანტომ მარტყოფელმა და სხვებმა დიდად შეუწყვეს ხელი ქართული ქრისტიანული ეკლესიის გაძლიერებას და სამონასტრო ცხოვრებისა და მისი ორგანიზაციის დამყარება - ჩამოყალიბებას. მათ მიერ საქართველოში დაარსებული მონასტრები წარმოადგენდნენ განათლებისა და კულტურული შემოქმედების მნიშვნელოვან კერებს.“[52]

,,მომდევნო ხანაში კიდევ უფრო მრავლდებოდა ეკლესია-მონასტრებისა და მათთან პრაქტიკული მიზნით გახსნილი სკოლების რიცხვი. აქ ხდებოდა ქრისტიანული დამოძღვრა და ეკლესიის მსახურთა მომზადება... ასწავლიდნენ საღმრთო წერილს, გალობებს, ფილოსოფიას, უცხო ენებს.”[53]

კორნელი კეკელიძე თავის ნაშრომში (,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: კ. კეკელიძის ძველი მწერლობა”) - აღნისნავს, რომ ,,ჩვენმა ქვეყანამ ქრისტიანობა მიიღო და საქრისტიანო მწერლობა გააჩაღა სწორედ იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთის საქრისტიანოში, რომელსაც ქართული ქრისტიანობაც ეკუთვნოდა, გაბატონებული იყო ცნობილი ნიზიბინის სკოლა. მაშასადამე, თუ ჩვენში ამ დროს რაიმე სკოლა იყო, ის, უეჭველია, მოწყობილი იქნებოდა ნიზიბინის სკოლის ყაიდაზე, ხოლო ნიზიბინის სკოლის დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა პრაქტიციზმი, რომელიც გამოიხატებოდა სასწავლო მასალის შერჩევაში: განყენებულ სისტემატურ ცოდნას, არც ფილოსოფიურს, არც თეოლოგიურს, იქ არ მისდევდნენ. უმთავრეს სასწავლო საგნებად ითვლებოდა ეგზეტიკა, ესე იგი ბიბლიური ტექსტის შესწავლა და ახსნა-განმარტება, ჰომილეტიკა ან ღვთისმსახურების შესრულება და საეკლესიო გალობა. ერთი სიტყვით, ნიზიბინის სკოლაში და იმ სკოლებში, რომლებიც V – VII საუკუნეებში მრავლად იხსნებოდა მონოფიზიტურ-ნესტორიანულ ეკლესია-მონასტრებთან, მხედველობაში ჰქონდათ პრაქტიკული მიზნები: ქრისტიანული დამოძღვრა და ეკლესიის მსახურთა მომზადება.

---

[52] იხ. მესხი შ. ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევები: ტომი II“, 1973 წ., გვ. 397 http://www.el.ge/article/?id=143 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.01.2019

[53] იხ. ფეიქრიშვილი ჟ. ,,ძველი ქართული საგანმანათლებლო და კულტურული კერები საქართველოსა და უცხოეთში”, ,,ქართული ენის ისტორია“ პროფესორ ტ. ფუტკარაძის საერთო რედაქციით სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი 2006, §2.4 http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/enis%20istoria.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

ამით აიხსნება, რომ ამ სკოლებში სწავლობდნენ როგორც ბავშვები, ისე მოზრდილები და ხანში შესულნი.“[54]

ანა ფირცხალაიშვილი ფიქრობს, რომ ,,თბილისში V-VII სს-ში წარმოქმნილი ქრისტიანული რელიგიის კერები - ანჩისხატი (მარიამ წმინდა), ქაშუეთი, სიონი - მარტო წმინდა საკულტო-საეკლესიო ცენტრები კი არ იყო, არამედ მათ განათლებისა და სასწავლო-სასკოლო დანიშნულების მისიაც ჰქონდათ დაკისრებული. თბილისის ამ დასახლებულ პუნქტებში უნდა გახსნილიყო საეპისკოპოსო და საეკლესიო ტიპის სკოლები. სწორედ მათ ირგვლივ უნდა ყოფილიყვნენ შემოკრებილნი იმდროინდელი თბილისის სწავლა-განათლების საქმისა და ლიტერატურის წარმომადგენლები.“[55]

კორნელი კეკელიძის აზრით საშუალო და უმაღლესი სასულიერო სკოლა საქართველოში V - VII საუკუნეებში არ უნდა ყოფილიყო, ამ მოსაზრებას ის ამყარებს სომეხი ისტორიკოსის უხტანესის სიტყვებით, ,,რომლის ცნობით, ქართლის კათოლიკოსი კირიონი (VI-VIIსს.) სწავლის დასამთავრებლად იძულებული გამხდარა წასულიყო მცირე აზიის ქალაქ ნიკოპოლში, სადაც 15 წელიწადი დაყო და საფუძვლიანი საღვთისმეტყველო განათლება შეიძინა.“[56]

სამწუხაროდ არც ისტორიულ და არც სხვა წყაროებში არ მოიპოვება ცნობები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს დავადასტუროთ ან ვუარყოთ კორნელი კეკელიძის მოსაზრება საქართველოში V - VII საუკუნეებში საშუალო და უმაღლესი სასულიერო სკოლის არსებობის შესახებ.

,,VII საუკუნის დამდეგს თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო შემოქმედებითი ცხოვრების მეთაური ჩანს კირიონ I, ქართლის კათალიკოსი

---

[54] იხ. კეკელიძე კ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: კ. კეკელიძის ძველი მწერლობა" საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 1954წ, §4 ,,სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში“ გვ. 64-65, http://www.el.ge/article/?id=150 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

[55] იხ. ფირცხალაიშვილი ა. ,,საგანმანათლებლო კერები - თბილისი“, გაზეთი ,,ახალი განათლება“ 2010-06-12; http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=24 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

[56] იხ. კეკელიძე კ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: კ. კეკელიძის ძველი მწერლობა" საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 1954წ, §4 ,,სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში“ გვ. 65, http://www.el.ge/article/?id=150 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

(599-614 წწ.), რომელმაც თავისი პრაქტიკული საქმიანობით დიდად შეუწყო ხელი თბილისში განათლების, მეცნიერებისა და ლიტერატურის შემდგომ განვითარებას."[57]

,,X-XI საუკუნეებში ხახულის მონასტერი განთქმულ სასწავლო და ლიტერატურულ კერას წარმოადგენდა."[58] ,,ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები ერთ - ერთი ოფიციალური სახის სკოლები იყო XI - XII საუკუნეების საქართველოში. ამავე დროისათვის გავრცელებული ყოფილა აგრეთვე კერძო სახის საშინაო სწავლება. საშინაო სწავლების ტრადიცია ძველთაგანვე არსებობდა საქართველოში და იგი უმთავრესად სამეფო კარისა და დიდგვარიანი ოჯახის შვილების აღზრდასთან დაკავშირებით გვხვდება." [59]

2.1.3. სწავლის დაწყების ასაკი და სწავლების ფორმები საქართველოში უძველესი პერიოდიდან XI საუკუნემდე

საყურადრებოა უძველეს პერიოდში საქართველოში ბავშვის სწავლის დაწყების ასაკი და სწავლების ფორმა, კორნელი კეკელიძის გამოკვლევის თანახმად, ,,სწავლას ბავშვებს ამ უძველეს პერიოდში ძალიან ადრე აწყებინებდნენ. პეტრე მაიუმელს, მაგალითად, მისი ბიოგრაფის სიტყვით, რაც, ცოტა არ იყოს, ძლიერ ეჭვს ბადებს, სამი წლისას დაუწყია სწავლა. ამ დროს ჩვეულება ყოფილა, რომ თავიანთ შვილებს, უფრო დიდებულნი და დიდგვარიანნი, გააბარებდნენ ხოლმე გასაზრდელად, რაჟდენ პირველმოწამის ცხოვრებაში სწერია, რომ მას, რაჟდენს, "არწმუნეს ასული მეფისა აღსაზრდელად... რომელსაც მამამძუძედ უხმობდეს და დიდად რადმე პატივად ანიჭებდეს". მამამძუძე ჰყოლია აგრეთვე შუშანიკ დედოფალსაც; გრიგოლ ხანძთელი მიბარებული ყოფილა აღსაზრდელად თავისი მამიდის, ერისთავთ-ერისთავის ნერსეს მეუღლის, სახლში ("ცხოვრება", გვ. ბ-გ). გაბარებულ ბავშვებს, რომელნიც სხვის სახლში

---

[57] იხ. ფირცხალაიშვილი ა. ,,საგანმანათლებლო კერები - თბილისი", გაზეთი ,,ახალი განათლება" 2010-06-12; http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=24 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

[58] იხ. სურგულაძე მ., (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი), ჩხიკვაძე ნ., შათირიშვილი ლ., კარანაძე მ., ჟღენტი ნ., ედიშერაშვილი ე. ,,ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა (გამოკვლევა, ტექსტები)", კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი 2018, გვ.103;

[59] იხ. ანჩაბაძე ზ.; გუჩუა ვ.; ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევები : ტომი III-ტომი III: საქართველო XI-XV საუკუნეებში" 1979 წ. გვ.278, http://www.el.ge/article/?id=144 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.01.2019;

იზრდებოდნენ, ეწოდებოდათ ძუძუს-მტე, ესე იგი ძუძუს მოზიარე სხვა ბავშვებთან. მიაბარებდნენ ბავშვებს აღსაზრდელად სასულიერო პირთაც. მაგალითად, ილარიონ ქართველი მისმა მამამ "მისცა სწავლად კაცსა ღირსსა და ღმრთის მოყუარესა, რომელი იყო დაბასა მისსა, სადა იყოფებოდა თვით იგი"."[60] ,,ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების განხილვა, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ადრეფეოდალურ ხანაში გავრცელებული უნდა ყოფილიყო შინ სწავლა – აღზრდის ინსტიტუტი, რაც ერთგვარ ელიტარულ ხასიათს ატარებდა და მხოლოდ სოციალურ საფეხურზე მაღლა მდგომი მოსახლეობის ფუფუნებას წარმოადგენდა."[61]

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XI საუკუნეში საქართველოში სწავლის დაწყების ასაკი შვიდი წელი იყო, ,,გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფის ცნობით, გიორგის მშობლებმა, როცა მათი ქალიშვილი თეკლე (გიორგი მთაწმინდელის და) შვიდი წლის შეიქნა, ტაძრისის დედათა მონასტერში (სამცხეს) მიიყვანეს და მის წინამძღვარს ჩააბარეს, რომელმაც" შეითვისა იგი" და "კეთილად აღზარდა". როცა გიორგი შვიდი წლისა გახდა, მშობლებმა ისიც ტაძრისში მიიყვანეს. აქ გიორგი იზრდებოდა" მონასტერსა მას შინა, და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა დედაკაცისა მისგან, აწ უკვე გაზრდილი და განსწავლული" დისა მისისაგან". დაწყებითი განათლების მისაღებად გიორგიმ ტაძრისში სამი წელი დაჰყო."[62] მოცემულ ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაწყებითი განათლების მისაღებად საქართველოში XI საუკუნეში სამ წელი საკმარისი იყო. ვინაიდან გიორგი მთაწმინდელი ,,ათი წლის რომ შეიქნა, ბიძებმა ახლა უკვე ხახულს წაიყვანეს, ლავრისა" მოძღუარს" და "ეგრეთვე დიდსა ბასილის, ბაგრატის ძესა" წარუდგინეს, რის შემდეგაც

---

[60] იხ. კეკელიძე კ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: კ. კეკელიძის ძველი მწერლობა" საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 1954წ, §4 ,,სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში" გვ. 66, http://www.el.ge/article/?id=150 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

[61] იხ. ლომოური გ. ,,ქართული განათლების სისტემის ისტორიული საწყისი" https://giorgilomouri.wordpress.com/ქართული-განათლების-სისტე/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

[62] იხ. ანჩაბაძე ზ.; გუჩუა ვ.; ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევები : ტომი III-ტომი III: საქართველო XI-XV საუკუნეებში" 1979 წ. გვ.277, http://www.el.ge/article/?id=144 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.01.2019;

ჩააბარეს“ მოძღურებათა შინა” განთქმულ ილარიონ თუალელს, რომელიც იმ დროს ხახულში დამკვიდრებულიყო და მან გიორგის“ წურთა იწყო”.“[63]

საქართველოში ,,სასკოლო საქმე შესამჩნევად დაწინაურდა მეორე პერიოდში, მეათე საუკუნის გასულიდან, როდესაც ქართველებმა გაიცნეს ბიზანტიური სკოლა.“[64] ,,XI-XII საუკუნეების საქართველოში ტრადიციად იქცა ნიჭიერი ყმაწვილების გაგზავნა საბერძნეთის სკოლებში სწავლა-განათლების მისაღებად. სწორედ ასეთი გზით მოხვდნენ უცხოეთში და იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში აღიზარდნენ ეფრემ მცირე, ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმიდელი, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და სხვები.“[65] ,,ისეთ სკოლებს, როგორსაც ადგილი ჰქონდა ბიზანტიაში, საფიქრებელია, რომ თვით ქართველებიც მოაწყობდნენ საქართველოში და, რა თქმა უნდა, ეცდებოდნენ, რომ ქართული სკოლებიც თავისი სასწავლო - პედაგოგიური და სამეცნიერო მიღწევებით იმ დონეზე ყოფილიყო, რა დონეზედაც იყო სკოლა მაშინდელ მოწინავე ქვეყანაში და ბიზანტიაში.“[66]

2.1.4. განათლების უფლების დაცვისა და რეალიზაციის მექანიზმების შექმნის მიზნით, დავით IV აღმაშენებელის მიერ გატარებული ღონისძიებები

საქართველოში განათლების უფლების დაცვისა და რეალიზაციის მექანიზმების შექმნის მიზნით, გატარებულ ღონისძიებებს შორს მნიშვნელოვანია აღინიშნოს დავით IV აღმაშენებელის ღვაწლი სასკოლო განათლების განვითარებაში. დავით IV აღმაშენებელს კარგად ჰქონდა გაცნოებიერებული განათლების მნიშვნელობა ქვეყნის აღორძინების

---

[63] იხ. იქვე გვ. 277;

[64] იხ. კეკელიძე კ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: კ. კეკელიძის ძველი მწერლობა” საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 1954წ, §4 ,,სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში“ გვ. 66, http://www.el.ge/article/?id=150 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

[65] იხ. ფეიქრიშვილი ჟ. ,,ძველი ქართული საგანმანათლებლო და კულტურული კერები საქართველოსა და უცხოეთში”, ,,ქართული ენის ისტორია“ პროფესორ ტ. ფუტკარაძის საერთო რედაქციით სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი 2006, §2.4 http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/enis%20istoria.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.01.2019

[66] იხ. ანჩაბაძე ზ.; გუჩუა ვ.; ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევები : ტომი III-ტომი III: საქართველო XI-XV საუკუნეებში“ 1979 წ. გვ.279, http://www.el.ge/article/?id=144 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.01.2019;

საქმეში, ის ,,რეალურად ფიქრობდა ერის განათლებაზე. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია სომეხ მემატიანეს ვარდან ბარძმერდეცს, რომელიც აღნიშნავს, რომ დავითი "ძლიერ ზრუნავდა ცოდნისმოყვარე ივერიის ხალხზე". ცოდნის მიღების მიზნით საქართველოს მეფეს ორმოცი ბავშვი აურჩევია და საბერძნეთში გაუგზავნია, "რათა ესწავლათ ენები, შეესრულებინათ თარგმანები და ჩამოეტანათ, რაც მათ გააკეთეს კიდევაც. სამი ამათგანი შემდეგში ცნობილი გახდა თავისი მოღვაწეობით".[67]

დავით IV აღმაშენებელმა ,,მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხორებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თუისთა ოდენ სამეფოთა პოვნილნი, არამედ ქუეყანის კიდეთათ სადაცა ესმის ვიეთიმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ჴორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კუალად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკუიდრნა მას შ|ინა. და მამული ლიპარიტეთი უმკუიდროდ დარჩომილ იყო, არამედ სხუათა მრავალთა ღა სამართლიანთა უსარჩლელ(ი)-მიუხუეჭელთა სოფლებთა თანა | მ ი ს ც ნ ა დ ე დ ა ს ა ღ მ რ თ ი ს ა ს ა, ა მ ს ა ხ უ რ ე ბ ე ლ ნ ი წინაშე მდგომელთა მისთათუის, და უზრუნელი ტრაპეზი განუჩინა, რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ ი[ელუსა]ლიმად, სასწაულად ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულობისად, სიტყუად ათი|ნად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა, წესთა დიაკონად ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად."[68]

გელათის აკადემია ,,დავით აღმაშენებლისავე ხანაში თვალსაჩინო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად იყო მიჩნეული"[69], ,,გელათის აკადემიაში, ისე როგორც იმდროინდელი ბიზანტიის სქოლასტიკურ უმაღლეს სკოლებში, ისწავლებოდა მეცნიერების შვიდი ძირითადი დარგი: გრამატიკა, ფილოსოფია, რიტორიკა,

---

[67] იხ. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ. ,,საქართველოს ისტორია", ,,ტომი 2 - საქართველო ქრისტიანობის მიღებიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე", გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012 , გვ. 351;

[68] იხ. ყაუხჩიშვილი ს. ,,ქართლის ცხოვრება ანა დედოფლისეული ნუსხა", საქართველოს ისტორიის ორიგინალური წყაროები A. ისტორიკოსები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა თბილისი 1942, გვ. 209;

[69] იხ. ანჩაბაძე ზ.; გუჩუა ვ.; ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევები : ტომი III-ტომი III: საქართველო XI-XV საუკუნეებში" 1979 წ. გვ.279, http://www.el.ge/article/?id=144 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.01.2019;

არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია.”[70] გელათის აკადემიის ,,მეშვეობით ჩვენში შემოდიოდა შესანიშნავი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნაწარმოებები ქრისტიანული აზროვნებისა. აქვე, ეჭვს გარეშეა, მოწყობილი იყო სისტემატური სპეციალური სასწავლებელი, სადაც ადგილს პოულობდა თანამედროვე ბიზანტიის უმაღლესი სკოლის ტრადიციები.”[71] ,,გელათის აკადემია განვითარებული ფეოდალიზმის ხანის პირველი აკადემიაა; იგი რეალური მოთხოვნილების ნიადაგზე შეიქმნა და უწინარა იმ იდეოლოგიურ მოძრაობას, რომელიც გზას უკაფავდა ქართულ რენესანსს.“[72]

,,გარდა გელათისა, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც საქართველომ თავისი პოლიტიკურ-კულტურული ზრდა-განვითარების უმწვერვალეს წერტილს მიაღწია, სკოლები იქმნებოდა სხვა პუნქტსა და კუთხეშიაც, მაგალითად, უმაღლესი აკადემია იყო აგრეთვე იყალთოში, არსენ იყალთოელის მიერ დაარსებული.“[73] ,,იყალთოში ქართული უმაღლესი სკოლის არსებობის ფაქტზე მიუთითებენ დავით რექტორი და თეიმურაზ ბაგრატიონი. იყალთოში აკადემიის არსებობის შესახებ მტკიცე ხალხური გადმოცემაც არსებობს. იმ ფაქტს, რომ XII საუკუნეში იყალთოში არსებობდა უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულების შენობა, ადასტურებს ის ნაგებობა, რომელიც ნანგრევების სახით დღემდე დაცულია სოფელ იყალთოში. ყველა ამ ზემოაღნიშნული მონაცემის გათვალისწინების საფუძველზე ქართულ მეცნიერებაში უკვე საეჭვო აღარაა, რომ იყალთოს ღვთაების მონასტრის გალავნის შიგნით, სამხრეთ ნაწილში დაცულია

---

[70] იხ. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ. ,,საქართველოს ისტორია“, ,,ტომი 2 - საქართველო ქრისტიანობის მიღებიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე“, გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012 , გვ. 353;

[71] იხ. კეკელიძე კ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: კ. კეკელიძის ძველი მწერლობა” საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 1954წ, §4 ,,სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში“ გვ. 67, http://www.el.ge/article/?id=150 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

[72] იხ. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ. ,,საქართველოს ისტორია“, ,,ტომი 2 - საქართველო ქრისტიანობის მიღებიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე“, გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012 , გვ. 352;

[73] იხ. კეკელიძე კ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: კ. კეკელიძის ძველი მწერლობა” საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 1954წ, §4 ,,სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში“ გვ. 67, http://www.el.ge/article/?id=150 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

გრძელი ორსართულიანი სამოქალაქო ნაგებობა, რომელსაც აღმოსავლეთიდან საწნახელი ეკვრის, არის ქართული საერო ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავი ძეგლი - XII საუკუნის ქართული აკადემიის შენობა.“[74]

,,უმაღლესი სწავლების სხვა კერებიდან გადმოცემა გრემს ასახელებს. ცხადია, ფეოდალური საქართველოს ძლიერ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოში ბევრი იქნებოდა სასწავლო ცენტრები, მაგრამ, სამწუხაროდ, ცნობები მათ შესახებ არ შემოგვრჩა.“[75]

2.1.5. მონღოლების შემოსევა, აღორძინების ხანა და განათლების უფლება საქართველოში

,,XIII საუკენეში მონღოლების შემოსევამ უარყოფითად იმოქმედა საგანმანათლებლო პროცესებზე.“[76] ,,საქართველოს დაუდგა შავი დღეები და თითქმის ყოველი კულტურული ნამოქმედარი განადგურდა, სკოლის საქმეც, რა თქმა უნდა, შეფერხდებოდა, თუმცა მოსპობით არ მოსპობილა.“[77] ,,მონგოლთა ბატონობის დროიდან სწავლა - განათლების საქმე დაქვეითების გზას დაადგა. განუწყვეტელი შემოსევების, შინაფეოდალური ომებისა და საერთო-ეკონომიური დაცემის პირობებში სწავლა - განათლებისათვის საჭირო პირობები აღარ არსებობდა. მოსახლეობის ძირითადი მასა წერა-კითხვის უცოდინარი იყო და სიბნელესა და უმეცრებაში ცხოვრობდა. წიგნები ძვირი და მიუწვდომელი იყო და ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა. მიუხედავად

---

[74] იხ. ანჩაბაძე ზ.; გუჩუა ვ.; ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევები : ტომი III-ტომი III: საქართველო XI-XV საუკუნეებში“ 1979 წ. გვ.282, http://www.el.ge/article/?id=144 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 28.01.2019;

[75] იხ. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ. ,,საქართველოს ისტორია“, ,,ტომი 2 - საქართველო ქრისტიანობის მიღებიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე“, გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012 , გვ. 353;

[76] იხ. ლომოური გ. ,,ქართული განათლების სისტემის ისტორიული საწყისი“ https://giorgilomouri.wordpress.com/ქართული-განათლების-სისტე/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.01.2019;

[77] იხ. კეკელიძე კ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: კ. კეკელიძის ძველი მწერლობა” საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 1954წ, §4 ,,სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში“ გვ. 69, http://www.el.ge/article/?id=150 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.01.2019;

ამისა, გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა წრეებში სწავლა - აღზრდის საქმეს მაინც დიდი ყურადღება ექცეოდა.“[78]

,,აღორძინების ხანიდან (XVII ს.) ჩვენში კვლავ გამოცოცხლდა კულტურა, ლიტერატურა, მწერლობა. განსაკუთრებით გამრავლდა ელემენტარული, პირველდაწყებითი სკოლების რიცხვი თბილისში. გაჩნდა საშუალო სასწავლებლებიც.“[79] ,,ასეთი იყო, მაგალითად, თბილისში სიონის სკოლა იოსებ თბილელისა, კალოუბნის, ქაშვეთის, მეტეხის, ანჩისხატისა და ნეკრესის სკოლა დოსითეოზ ნეკრესელისა ერეკლე მეფის დროს. გაჩნდა საშუალო სასწავლებლებიც, ამ მხრივ უნდა დავასახელოთ, პირველ ყოვლისა, თბილისის სემინარია, გახსნილი უმთავრესად ანტონ კათოლიკოსის ინიციატივით. ის გაუხსნიათ 1755 წლის დამდეგს და მოუთავსებიათ ანჩისხატის ტაძრის ეზოში “საეპისკოპოსოსა სახლსა შინა”. მის პირველ რექტორად დაუნიშნავთ ფილიპე ყაითმაზაშვილი, როგორც ჩანს ანტონ კათოლიკოსის წერილიდან, რომელიც მას მიუწერია ასტრახნის ეპისკოპოსის მეთოდისათვის გაიოზ არქიმანდრიტის საქმის გამო. ამ სემინარიაში ასწავლიდნენ “აზნაურთა და თავისუფალთა ცნობათა”, სახელდობრ, აქ ისწავლებოდა: ღრამატიკაჲ, პიიტიკისა ჴელოვნებაჲ, რეტორიკაჲ, ლოღიკაჲ ბაუმესტერისა, ქუეთქუმულებანი (კატეგორიები) ძველისა სხოლასტიკოსისა არისტოტელესნი, მეტაფისიკაჲ ბაუმეისტერისავე, ფისიკაჲ სხუადასხუათაგან ფილოსოფოსთა ქმნილი, ფილოსოფიაჲ მისივე ბაუმეისტერისა. თბილისის მაგალითმა გამოძახილი პოვა კახეთში, სადაც ამ დროს მეფობდა “სწავლის მოყუარე” და ერის კეთილდღეობისათვის თავდადებული ერეკლე მეორე.“ [80]

---

[78] იხ. დუმბაძე მ. ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევები: ტომი IV-ტომი IV: საქართველოს XVI საუკ. დასაწყისიდან XIX საუკ. 30-იან წლებამდე“ 1973 წ. გვ. 253, http://www.el.ge/article/?id=145 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.01.2019;

[79] იხ. ფეიქრიშვილი ჟ. ,,ძველი ქართული საგანმანათლებლო და კულტურული კერები საქართველოსა და უცხოეთში”, ,,ქართული ენის ისტორია“ პროფესორ ტ. ფუტკარაძის საერთო რედაქციით სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი 2006, §2.4 http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/enis%20istoria.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.01.2019

[80] იხ. კეკელიძე კ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: კ. კეკელიძის ძველი მწერლობა” საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 1954წ, §4 ,,სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში“ გვ. 69, http://www.el.ge/article/?id=150 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.01.2019;

,,მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთს სათავეში თეიმურაზი და ერეკლე ჩაუდგნენ, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. განახლდა, გაცხოველდა შეწყვეტილი კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სახალხო განათლებას. მოწინავე ქართველთა ენერგიული მოქმედების შედეგად სასკოლო საქმეს გაუმჯობესება დაეტყო.''[81]

,,სწავლა-აღზრდის სისტემა მოიცავდა როგორც სასულიერო, ისე საერო განათლების სფეროს. მაგრამ, დროის შესაფერისად, ხალხის მისწრაფება უფრო საერო და პრაქტიკული საგნების შესწავლისაკენ იყო მიდრეკილი. დიდი იყო ინტერესი ფილოსოფიის, ისტორიის, უცხო ენების, ასტრონომიის, მათემატიკის, მედიცინისა და სხვა საგნების შესწავლისადმი. გულისტკივილით აღნიშნავდა მეფე-პოეტი თეიმურაზ I: "არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთაო". "[82]

,,სწავლა-განათლების გავრცელების მხრით გარკვეული ღვაწლი გასწიეს კათოლიკე პატრებმა. მართალია, ისინი ხელმძღვანელობდნენ სარწმუნოებრივ-კონფესიური ინტერესებით, მაგრამ მათ ობიექტურად ხელი შეუწყვეს ჩვენში ერთგვარი ევროპული განათლების ტრადიციების დანერგვას და მეცნიერული ცოდნის გავრცელებას. სწავლა-განათლებას მანამდე საერთოდ ვიწრო, კარჩაკეტილი და თეოლოგიურ-სქოლასტიკური ხასიათი ჰქონდა."[83] ,,მისიონერებმა შექმნეს საკვირაო და დაწყებითი სკოლები. საკვირაო სკოლებში უკითხავდნენ სახარებას და ესაუბრებოდნენ კათოლიკური მოძღვრების შესახებ. დაწყებით სკოლებში კი ენების გარდა (ქართული, იტალიური, ლათინური) ასწავლიდნენ ღვთისმეტყველებას, მათემატიკას, ისტორიას, ხატვას და სხვა. მისიონერები, ზოგიერთ შემთხვევაში, ბავშვებს ხელოსნობასაც ასწავლიდნენ (ოქრომჭედლობას, ხუროობას და სხვ.).

---

[81] იხ. ბარამიძე ა. იმედაშვილი გ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი II: (XII-XIII სს.)", 1966 წ, გვ. 550, http://www.el.ge/article/?id=151 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.01.2019

[82] იხ. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ. ,,საქართველოს ისტორია ტომი 3 - ლაშა-გიორგის მეფობიდან საქართველოს ანექსიამდე" გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012 , გვ. 200;

[83] იხ. ბარამიძე ა. იმედაშვილი გ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი II: (XII-XIII სს.)", 1966 წ, გვ. 230, http://www.el.ge/article/?id=151 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.01.2019

მისიონერთა სკოლა თბილისში პირველად 1630 წ. დაარსებულა, გურიაში – 1634 წ., შემდეგ სამეგრელოში, ქუთაისში, 1670 წ. გორში და სხვ. ამ სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობაც დაახლოებით 20დან 40მდე მერყეობდა. მხოლოდ თბილისში 1668 წ. 25 მოსწავლე ყოფილა, 1675-1676 წლებში კი – 50მდე. მისიონერები სკოლებს თავიანთი ხარჯით ინახავდნენ. წარჩინებულ ახალგაზრდებს აგზავნიდნენ პაპის მიერ დაარსებულ კოლეჯში, რომელშიც იღებდნენ სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლებს და სადაც ამზადებდნენ კათოლიკე მღვდლებს. 1633-1657 წლებში იქ განათლება მიუღია 27 ქართველს. 1679 წელს ამ სკოლაში გასაგზავნად 5 მოსწავლე ყოფილა მომზადებული.“[84]

,,ქართლის მეფის ვახტანგ V-ის უფროსი ვაჟი არჩილი ,,ქვეყნის კეთილდღეობის ერთ-ერთ საფუძვლად აღიარებდა განათლებას. ამიტომ მხურვალედ ქადაგებს სწავლა-განათლების, “მწიგნობრობის” საჭიროებას. საგულისხმოა, რომ განსწავლული პირისგან არჩილი მოითხოვს უცხო “ ენისა და წიგნის” ცოდნას.“[85] ასევე აღსანიშნავია არჩილის სწავლა-სწავლების მეთოდი, მისი აზრით:

,,მსწავლელი მოსწავლეებსა სასწავლოს არ გაუძნელებს,
მცირედ-მცირედის სწავლებით ძნელს საცოდნს გაუადვილებს,
ცოტა რამ კარგად ისწავლოს, გაუშვებს, მალ ასადილებს,
უწინ პატ-პატა სწავლებით ამ დიდრონს დააქადილებს. “[86]

,,1799 წლის 10 მაისს ბატონიშვილმა იოანემ თავის მამას, გიორგი მეფეს, მიართვა მოხსენება (“წინადადებაᲘ”) სახელმწიფოში სხვადასხვა აუცილებელი რეფორმის შესახებ, სხვათა შორის, სკოლისა და განათლების შესახებაც არის ლაპარაკი.“[87] ბატონიშვილი იოანე მიიჩნევდ, რომ ,,სამს ადგილს გაიმართოს სკოლა: ტფილისსა, გორსა და თელავსა

---

[84] იხ. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ. ,,საქართველოს ისტორია ტომი 3 - ლაშა-გიორგის მეფობიდან საქართველოს ანექსიამდე“ გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012 , გვ. 201;

[85] იხ. ბარამიძე ა. იმედაშვილი გ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი II: (XII-XIII სს.)“, 1966 წ, გვ. 351, http://www.el.ge/article/?id=151 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.01.2019

[86] იხ. იქვე გვ. 351;

[87] იხ. კეკელიძე კ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: კ. კეკელიძის ძველი მწერლობა” საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 1954წ, §4 ,,სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში“ გვ. 70, http://www.el.ge/article/?id=150 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.01.2019;

შინა მიეჩინოთ მუნ მცოდნენნი კაცნი, რათა ასწავლიდნენ სამეცნიეროსა სწავლასა და სამხედროსაცა, აგრეთვე ენებისა. ამის მეურნედ იყოს განათლებისა მთავარი და ესე აძლევდნენ რიგსა და ჯამაგირთა ოსტატებსა. ამა სასწავლებელში მიებარებოდნენ თავადაზნაურნი და პირველი მოქალაქის შვილები. აგრეთვე იყოს ამაზედ მდაბალი სასწავლებლები, დუქნები ან სახლები; იმას შინა ისწავლიდნენ მსახური კაცის შვილნი და მდაბალ ვაჭართა შვილები, აგრეთვე, გლეხისაც, ვის როგორად შეეძლოსთ. სასწავლებლებსა მას შინა სწავლობდნენ ქართულსა, სომხურსა, თათრულსა, რუსულსა და, თუ შეიძლება, ბერძნულსა და ლათინურსაც. უკეთესი იქნების, ოსტატები ანუ მასწავლებელნი იყვნენ მეფის ხარჯითა, ხოლო მოწაფენი თავით მშობელთ ხარჯითა, ვიდრე შემოსავალთ განვრცობადმდე. ესე სახედვე სასულიერო სასწავლებლები იყოს განწესებით, და ამის მეურნეობა აქვნდეს კათალიკოსს და სულიერს მთავარს. “[88]

მიუხედავად იოანე ბატონიშვილის მცდელობისა განათლების სფეროში გაეტარებინა რეფორმა, როგორც ისტოიული წყაროები გადმოგვცემენ ,,განუხორციელებელი დარჩა იოვანე ბატონიშვილის შესანიშნავი პროექტი თბილისსა, გორსა და თელავში უმაღლესი სასწავლებლების მოწყობის შესახებ.“[89]

კორნელი კეკელიძის შეფასებით ,,სასკოლო-საგანმანათლებლო საქმე სწორსა და ურყევ გზაზე იყო დამდგარი XVIII საუკუნეში. ამას ხელს უწყობდნენ ისეთი მომზადებული პედაგოგები, როგორიც იყვნენ: იასტო ანდრონიკაშვილი, მის მიერ აღზრდილნი თბილისის სკოლის მოძღვარნი - იოანე კალოუბნელი და ნიკოლოზ ხელაშვილი, ზაქარია ლალახანაშვილი, მოძღვარი კახეთის სკოლისა, გაიოზ რექტორი, დავით რექტორი და სხვ. მაგრამ პოლიტიკური ვითარების შეცვლამ ეს გზა უკუაბრუნა და ქართულ-სასკოლო-საგანმანათლებლო საქმეს სხვა გეზი უჩინა.“[90]

---

[88] იხ. იქვე გვ. 70;

[89] იხ. ბარამიძე ა. იმედაშვილი გ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი II: (XII-XIII სს.)“, 1966 წ, გვ. 230, http://www.el.ge/article/?id=151 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.01.2019;

[90] იხ. კეკელიძე კ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: კ. კეკელიძის ძველი მწერლობა” საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 1954წ, §4 ,,სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში“ გვ. 71, http://www.el.ge/article/?id=150 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.01.2019;

2.1.6. რუსიფიკატორული პოლიტიკა, საბჭოთა ხელისუფლება და განათლების უფლება საქართველოში

,,ცარიზმი და მისი რუსიფიკატორი მოხელეები, რომელნიც არ იცნობდნენ და არც სურდათ გაცნობოდნენ ქართულ კულტურას, ქართველ ხალხს უკულტურობის ბრალდებას უყენებდნენ და თავს "საქართველოში განათლების პირველი სხივების შემომტანად" ასაღებდნენ."[91] ,,მეფის მთავრობა, რა თქმა უნდა, დაინტერესებული არ ყოფილა ხალხში სწავლა განათლების შეტანით, გარკვეულ ღონისძიებებსაც მიმართავდა ხოლმე მოსწავლეთა რიცხვის შესამცირებლად,"[92] ,,რუსეთთან საქართველოს მიერთებისთანავე გააუქმეს ქართული სკოლები და რუსული სასწავლებლების გახსნა დაიწყეს." [93]

,,XIX საუკუნის I ნახევრის განმავლობაში, რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით, ქართველ ხალხში შეირყა და თანდათანობით დაქვეითების გზას დაადგა ეროვნული ცნობიერება. აქედან გამომდინარე, უპირველეს ამოცანად იქცა ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება, რაც ხალხის განათლებისა და ქართული კულტურის დაწინაურების გზით უნდა მომხდარიყო. სწორედ ამიტომ, ამ მისიის განსახორციელებლად, ქართველმა ინტელიგენციამ დაიწყო საქველმოქმედო საზოგადოებების ჩამოყალიბება, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა სახალხო-დაწყებითი სკოლების დაფუძნება იყო."[94]

---

[91] იხ. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ. ,,საქართველოს ისტორია ტომი 4 - საქართველოს ანექსიიდან საბჭოთა კავშირიდან გამოსვლამდე" გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012 , გვ.149;

[92] იხ. აბზიანიძე გ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: (XIX საუკუნის პირველი ნახევარი)" 1969 წელი, გვ.343 http://www.el.ge/article/?id=152 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 30.01.2019;

[93] იხ. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ. ,,საქართველოს ისტორია ტომი 4 - საქართველოს ანექსიიდან საბჭოთა კავშირიდან გამოსვლამდე" გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012 , გვ.149;

[94] იხ. ყრუაშვილი ნ. ,,განათლების კერები მესხეთში", გაზეთი ,,ახალი განათლება" 2011-04-14; http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=74 ; უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 30.01.2019;

,,გვერდს უვლიდა რა სახალხო სკოლების გახსნას, მეფის მთავრობა კავკასიაში საჭიროების მიხედვით აარსებდა სამხედრო და სასულიერო სასწავლებლებს, გიმნაზიებს მაღალი წოდების შვილებისათვის. გიმნაზიის, სასულიერო სემინარიისა და სამხედრო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილი სწავლის გასაგრძელებლად, მათი "მორჯულების" მიზნით, იგზავნებოდა რუსეთშიც. სკოლების წინაშე იდგა ამოცანა: ვაჟები აღეზარდა ერთგულ მოხელეებად, ქალები-ფრანგული ენისა და სალონების ეტიკეტის მცოდნე ასულებად."[95]

,,სწავლა-განათლების სისტემა ბრძოლის არენად გადაიქცა. პატრიოტი მოღვაწენი და პედაგოგები - იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ილია წინამძღვრიშვილი, ანთიმოზ ჯუღელი, ლუარსაბ ბოცვაძე, ივანე როსტომაშვილი თავგამოდებით იბრძოდნენ სკოლის სრული რუსიფიკაციის წინააღმდეგ."[96] ვინაიდან ,,ოფიციალური სასწავლებლები მოსწავლე ახალგაზრდობას ვერ აძლევდა საჭირო განათლებას. სკოლებში დანერგილი იყო გაზეპირების მეთოდი, აკრძალული იყო წიგნების თავისუფალი კითხვა, მოწაფეებს წასაკითხავად ეძლეოდათ მხოლოდ სახელმძღვანელოები."[97]

,,მიუხედავად რუსული ხელისუფლების მანკიერი საგამანათლებლო პოლიტიკისა, სწავლა-განათლების სისტემა ფართოვდებოდა, დადებითი მოვლენებიც იჩენდა თავს. XIX-XX სს. მიჯნაზე გაიზარდა სხვადასხვა ტიპის დაწყებითი, 6 წლიანი და საშუალო სკოლების რიცხვი. გამრავლდა გიმნაზიები, რეალური სასწავლებლები, სასულიერო სემინარიები, პროფ-ტექნიკუმები. 1865 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 251 სკოლა 11851 მოსწავლით. 1902 წელს მოქმედებდა 420 დაწყებითი სკოლა და 12 საშუალო სასწავლებელი. 1913 წელს მათი რიცხვი შესაბამისად 773 მდე და 34 მდე გაიზარდა. შესაბამისად გადიდდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა კონტინგენტი. მართალია, ამ პერიოდშიც სასკოლო ასაკის ბავშვთა ორი მესამედი სასწავლებელთა გარეთ რჩებოდა,

---

[95] იხ. აბზიანიძე გ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: (XIX საუკუნის პირველი ნახევარი)" 1969 წელი, გვ.343 http://www.el.ge/article/?id=152 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 30.01.2019;

[96] იხ. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ. ,,საქართველოს ისტორია ტომი 4 - საქართველოს ანექსიიდან საბჭოთა კავშირიდან გამოსვლამდე" გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012 , გვ.150;

[97] იხ. აბზიანიძე გ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: (XIX საუკუნის პირველი ნახევარი)" 1969 წელი, გვ.344 http://www.el.ge/article/?id=152 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 30.01.2019;

მაგრამ წერა-კითხვის მცოდნეთა და განათლებულ ადამიანთა რაოდენობით საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა რუსეთის იმპერიაში.“ [98]

,,1921 წლის აპრილში საქართველოს რევკომის დადგენილებით შეიქმნა განათლების სახალხო კომისარიატი. ლენინური კულტურული რევოლუციის პირველი რიგის ამოცანად იქცა წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრა და სახალხო განათლების მთელი საქმის ძირეული გარდაქმნა სოციალურ საფუძველზე. 1921 წელს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ გამოყოფილმა კომისიამ დაამუშავა რესპუბლიკის „მთლიანი შრომის სკოლის დებულება“, რომლის საფუძველზეც საქართველოში უნდა განხორციელებულიყო ორივე სქესის ბავშვებისთვის უფასო, საყოველთაო პოლიტექნიკური განათლება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაშლა, სწავლების მშობლიურ ენაზე გადაყვანა, ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ახალი საბჭოთა სახალხო განათლების სისტემის ძირითად პრინციპებს შეადგენდა.“[99]

,,წერა-კითხვის გავრცელებისათვის ადგილებზე იქმნებოდა სპეციალური სკოლები, ქოხსამკითხველოები. წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციოდ მთელს რესპუბლიკაში შეიქმნა სკოლების ქსელი. თუ 1920 წელს საქართველოში 1293 ქართული, 88 სომხური, 30 თურქული, 48 რუსული, 42 ბერძნელი, 10 გერმანული და სხვა ეროვნული სკოლები იყო (თავიანთი სკოლა საერთოდ არა ჰქონდათ აფხაზებს (აფსუებს), ოსებს), 1925 წლისათვის მათი რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა: იყო 1428 ქართული, 120 სომხური, 79 თურქული, 59 რუსული და სხვა ნაციონალური სკოლა. 1927-1928 სასწავლო წლისათვის უკვე შეიქმნა აფხაზური და ოსური დაწყებითი სკოლების ქსელიც. 1940 წლისათვის საქართველოში სამი საფეხურის (ოთხწლედი, შვიდწლედი და ცხრაწლედი) 4511 სკოლა იყო, რომელშიც სწავლობდა 767 ათასი ბავშვი.”[100]

---

[98] იხ. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ. ,,საქართველოს ისტორია ტომი 4 - საქართველოს ანექსიიდან საბჭოთა კავშირიდან გამოსვლამდე“ გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012 , გვ.150;

[99] იხ. ქიტესაშვილი ქ. ,,განათლების ისტორია საქართველოში (სტატია ვიკიპედიიდან)“ 29.01.2013; http://edc21.blogspot.com/2013/01/blog-post_29.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 30.01.2019

[100] იხ. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი

,,სასკოლო ქსელის განვითარებისათვის, ახალი საბჭოთა სკოლის პოზიციების განსამტკიცებლად უდიდესი ყურადღება მიექცა პედაგოგთა ახალი კადრების მომზადების საქმეს. მასწავლებელთა კადრების დაჩქარებული მომზადების მიზნით 30-იან წლებში გაიხსნა სამასწავლებლო და პედაგოგიური ინსტიტუტები: ქუთაისში (1930), ცხინვალში (1932), სოხუმში (1932), თბილისში (1935), ბათუმში (1935), გორში (1935), თელავში (1939), ზუგდიდში (1939).“[101]

,,საბჭოთა მთავრობამ მასწავლებელთა კადრებს შეუქმნა ხელსაყრელი პირობები კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ასეთ მასწავლებლებს განათლების ცენზის შესაბამისად მიეცათ უფლება ჩარიცხულიყვნენ უმაღლესი სასწავლებლის შესაბამის კურსებზე და დაუსწრებლად მიეღოთ საჭირო განათლება. მთელი ეს მუშაობა უნდა დამთავრებულიყო 1939 წლისათვის. დაუსწრებლად მოსწავლეებს მიეცათ შეღავათები და დახმარება. დაუსწრებელი სწავლების ერთი წელი მათ ორი წლის პედაგოგიურ სტაჟად ეთვლებოდათ. სესიებზე მიმოსვლის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებდა და სხვ. ამ ღონისძიებას დიდი შედეგი ჰქონდა. მან აამაღლა სკოლის კულტურა, ხელი შეუწყო სახალხო განათლების საქმის მკვეთრ გაუმჯობესებას, კულტურული რევოლუციის დაჩქარებას.“[102]

,,საბჭოთა ხელისუფლების წლებში განხორციელდა ბავშვთა სკოლამდელი განათლებაც, რაც მანამდე საერთოდ არ იყო. უკვე 1927 წელს საქართველოში 93 საბავშვო ბაღი იყო, ხოლო 1940 წელს - 664.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 9 აგვისტოს დადგენილება ითვალისწინებდა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებას. საბჭოთა სკოლა გახდა საბჭოთა იდეოლოგიის გავრცელების მთავარი ინსტრუმენტი. მეორე მსოფლიო ომის წინ საქართველომ უკვე მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სახალხო განათლების სფეროში: 1939 წელს ის

ალ. ,,საქართველოს ისტორია ტომი 4 - საქართველოს ანექსიიდან საბჭოთა კავშირიდან გამოსვლამდე“ გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012 , გვ.281-282;

[101] იხ. იქვე გვ.282;

[102] იხ. კაჭარავა ი. ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევები: ტომი VII-ტომი VII: საქართველო XX საუკუნის 20-30-იან წლებში“, 1976წ. გვ. 641; http://www.el.ge/article/?id=148 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.02.2019;

გავიდა პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირში ერთ სულ მოსახლეზე განათლების დონის მაჩვენებლით - ყოველ 1000 კაცზე საქართველოში ითვლებოდა 113,4 საშუალო განათლებით და 11,2 უმაღლესი განათლებით."[103]

საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ,,1921-1930 წლებში საქართველოში წერა-კითხვა შეისწავლა დაახლოებით ნახევარმა მილიონმა კაცმა, რამდენიმე ათეულმა ათასმა ქალმა და მამაკაცმა დაამთავრა მცირემცოდნეთა სკოლა. 1932 წლის 30 აპრილს თბილისი გამოცხადდა წერა-კითხვის საყოველთაო მცოდნეთა ქალაქად. მომდევნო წლებში რესპუბლიკაში წერა-კითხვის უცოდინარობა მთლიანად მოისპო."[104]

,,მეორე მსოფლიო ომმა დიდი გავლენა მოახდინა განათლების სისტემაზე. გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყების უმალვე სასკოლო შენობათა ნაწილი საქართველოში გადაეცა სამხედრო უწყებას ევაკოჰოსპიტლების, ყაზარმებისა და ჯარის შტაბებისათვის. ამან გამოიწვია სასკოლო ქსელისა და შესაბამისად მოსწავლეთა რიცხვის შემცირება, კერძოდ, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით ზოგად-საგამანათლებლო სკოლების რაოდენობა რესპუბლიკაში ომის ბოლოს-1945-1946 სასწავლო წლისათვის შემცირდა 397 ერთეულით, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 1381 ათასით 1940-1941 სასწავლო წელთან შედარებით (4114 სკოლა 766,8 ათასი მოსწავლე), უფრო მეტად შემცირდა დაწყებითი განათლების სკოლების რიცხვი.

მაღალი იყო სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის მაჩვენებელი, რის გამოც მიღებულ იქნა ზომები საღამოს სკოლების ქსელის გაფართოები-სათვის. თუ ომის დაწყებამდე საქართველოში ითვლებოდა 260 საღამოს სკოლა 26 ათასი მოსწავლით, 1944

---

[103] იხ. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ. ,,საქართველოს ისტორია ტომი 4 - საქართველოს ანექსიიდან საბჭოთა კავშირიდან გამოსვლამდე" გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012 , გვ.282;

[104] იხ. კაჭარავა ი. ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევები: ტომი VII-ტომი VII: საქართველო XX საუკუნის 20-30-იან წლებში", 1976წ. გვ. 829; http://www.el.ge/article/?id=148 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.02.2019;

წ. ამ სკოლების რიცხვი გაიზარდა 495მდე, ხოლო მოსწავლეთა კონტინგენტი 39 ათასამდე.“[105]

,,ომის შემდგომი წლების მანძილზე პარტია და სახელმწიფო დაუცხრომლად ზრუნავდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა სოციალისტური კულტურის ზრდისათვის. წლითიწლობით იზრდებოდა სახელმწიფო ასიგნებანი სახალხო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საბჭოთა ადამიანების აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.”[106]

XX საუკუნის ,,70-იანი წლების მეორე ნახევარი და 80-იანი წლების დასაწყისი საქართველოში მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის აღმავლობის წლებია. განათლება. ქართული კულტურის განვითარების საფუძველი კვლავ საყოველთაო-სახალხო განათლება იყო. 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ყველა ტიპის 3957 ზოგადსაგამანათლებლო სკოლაში სწავლობდა 962200 ახალგაზრდა. საქართველოში იყო ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული საშუალო სკოლები, აფხაზური და ოსური დაწყებითი სკოლები, საიდანაც ბავშვები სწავლას რუსულ საშუალო სკოლებში აგრძელებდნენ. ამ მდგომარეობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ადგილობრივი აფხაზი და ოსი ეროვნების ახალგაზრდების პრორუსულ ორიენტაციას.

უმაღლესი განათლების მასშტაბებით 80-იან წლებშიც საქართველო კვლავ მოწინავე იყო კავშირში. 19 უმაღლეს სასწავლებელში, საკავშირო და მოსკოვის უნივერსიტეტების ფილიალებში ათასობით ახალგაზრდა სწავლობდა.“[107]

---

[105] იხ. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ. ,,საქართველოს ისტორია ტომი 4 - საქართველოს ანექსიიდან საბჭოთა კავშირიდან გამოსვლამდე“ გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012, გვ.332;

[106] იხ. სტურუა მ., ნათმელაძე ნ. ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევები : ტომი VIII“, 1980 წ. გვ. 481-482; http://www.el.ge/article/?id=149 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.02.2019;

[107] იხ. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ. ,,საქართველოს ისტორია ტომი 4 - საქართველოს ანექსიიდან საბჭოთა კავშირიდან გამოსვლამდე“ გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012 , გვ.381;

2.1.7. „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“[108]

წინამდებარე თავში განვიხილეთ განათლების უფლება საქართველოში კონსტიტუციურ აღიარებამდე, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო განათლება საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების თითოეულ ეტაპზე, თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს მომავლით დაინტერესებული პირები სწავლა-განათლებასა და საგანმანათლებლო კერების არსებობას. ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, რომ მაშინ როდესაც საქართველოში იზრდებოდა მაღალი განათლების მქონე პირთა წრე, მას თან სდევდა ქვეყნის გაძლიერება და პირიქით, როდესაც საქართველო ეკონომიკურად ძლიერი იყო განათლების დონის მაჩვენებლიც მაღალ ნიშნულზე იდგა და განათლებისა და მეცნიერების ძლიერი კერები არსდებოდა საქართველოში. განათლება და ქვეყნის განვითარება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია და უერთმანეთოდ ისინე ვერ იარსებებენ.

ქართველი ხალხისთვის განათლებას სხვა ღირებულება გააჩნია, ოდიდგანვე იღწოდნენ და იღწვიან, ძალ-ღონეს არ იშურებდნენ განათლების მისაღებად. განვლილი გამოცდილება და საქართველოში არსებული ადამიანური რესურსი მაძლევს იმისთქმის საშუალებას, რომ საქართველოს შესწევს უნარი გახდეს განათლების ჰაბი რეგიონში, რომ განათლებამ ქართველ ხალხს მოუტანოს წინსვლა და კეთილდღეობა.

2.2. საქართველოში განათლების უფლების კონსტიტუციური აღიარება

2.2.1.საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით აღიარებული განათლების უფლება

[108] იხ. http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/ilia_chavchavadze/leksebi/kartvlis%20dedas.pdf
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.04.2020

,,განათლების უფლება ადამიანის ბუნებით მონიჭებული და კონსტიტუციით განმტკიცებული ფუნდამენტური ღირებულებაა. საქართველოში განათლების უფლებამ კონსტიტუციური აღიარება ჰპოვა, ჯერ კიდევ, პირველ კონსტიტუციაში."[109] ,,იურიდიულ ლიტერატურაში მრავალგზის არის მითითებული, რომ 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია საქართველოს კონსტიტუციონალიზმის თავფურცელია, რომ მანამდე ჩვენს ქვეყანას კონსტიტუცია, როგორც ერთიანი საკანონმდებლო აქტი, კონსტიტუციის თანამედროვე იურიდიული მნიშვნელობით, არ ჰქონია."[110]

,,1921 წლის კონსტიტუციაზე ყურადღების გამახვილება, მისი დახასიათება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც უდიდესია ამ აქტის მნიშვნელობა, როგორც მრავალი ათეული წლის მანძილზე სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლისა. მით უფრო, აუცილებელია დღეს მისი გააზრება, რადგანაც 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ ,,ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას.""[111]

,,1921 წლის კონსტიტუცია მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი დოკუმენტია, რომელშიც აისახა მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, რაც ხელისუფლების სათავეში სოციალდემოკრატების ყოფნის პირობებში გასაკვირი არ არის. ამასთანავე, ქართველი კანონმდებლები, რა თქმა უნდა, თვალყურს ადევნებდნენ, თუ როგორ ხდებოდა რუსეთში კომუნისტური მმართველების მიერ პოპულისტური, სოციალური დაპირებების უხვად გაცემა და ამ ნაწილში გარკვეული ,,ჩამორჩენა" ბოლშევიკებისაგან ალბათ სასურველი არ უნდა ყოფილიყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციაში გათვალისწინებულია იმ პერიოდისათვის უპრეცედენტო

---

[109] იხ. ქანთარია ბ. ,,განათლების უფლება ქართულ კონსტიტუციონალიზმში", საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი" გამომცემლობა შპს „პეტიტი", თბილისი, 2013, გვ.424.;

[110] იხ. აშორტია თ. ელიზბარაშვილი თ. ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია", ,,კონსტიტუციის შესახებ", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა 2014; გვ.18;

[111] იხ. რუხაძე ზ. ,,საქართველოს კონსტიტუციური სამართალი", ბათუმი 1999, გვ.23-24;

და, სავარაუდოდ, რეალობაში რთულად განსახორციელებელი ან ზოგიერთ ნაწილში განუხორციელებელი ისეთი გარანტიები, როგორებიცაა: უფასო დაწყებითი განათლება (მუხლი 110) და სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის საზრდო, "ჩასაცმელდასახურისა" და სასწავლო ნივთების უფასოდ გადაცემა."[112]

,,აღსანიშნავია, რომ სოციალური უფლებები არის „ძვირი უფლებები", რომელთა რეალიზაცია, უმეტესწილად დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტზე. ამიტომ სახელმწიფოები ძალზე ფრთხილად უდგებიან ამ საკითხს. როგორც წესი, სახელმწიფოთა უმეტესობა ერიდება კონსტიტუციაში სოციალური უფლებების დეტალურ განსაზღვრას და უმეტესად დეკლარაციული, პროგრამული ხასიათისაა ან სოციალური უფლებების ინსტიტუტის გარანტიის სახით არის წარმოდგენილი. გერმანიაში კანონმდებელმა შეგნებულად აარიდა თავი სოციალური უფლებების ზუსტ ფორმულირებას, ასევე იტალიაში, ბუნდოვანი და ორაზროვანი სახით არის მოცემული, თუმცა, მათი კონკრეტული მნიშვნელობა შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განიმარტა. 1921 წლის კონსტიტუცია მსოფლიოში პირველი დოკუმენტია, რომელშიც ასახვა ჰპოვა მოქალაქეთა სოციალურ–ეკონომიკურმა უფლებებმა. 1921 წლის კონსტიტუციაში სოციალური უფლებები სახელმწიფოს ვალდებულების სახით არის ფორმულირებული."[113]

საქართველოში განათლების უფლების, როგორც კონსტიტუციით დაცულ და გარანტირებულ უფლების პირველ კონსტიტუციურ აღიარებამდე, წინ უძღოდა საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის არაერთი სხდომა და კომისიის წევრების მიერ შემუშავებული დებულებები, რომელთაგან აღსანიშნავია გ. ნანეიშვილის მიერ 1918 წლის 7 აგვისტოს კომისიის წევრთათვის შემუშავებული დებულება - „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი". დებულებაში ცალკე პუნქტი ეთმობოდ განათლების უფლებას, კერძოდ 17-ე პუნქტის თანახმად,

---

[112] იხ. პაპუაშვილი გ. ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან", მომზადდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, ბათუმი 2011, გვ. 21;

[113] იხ. ცანავა ლ. „სოციალურ–ეკონომიკური უფლებები 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით", ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია" I ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში მოხსენებების კრებული, თბილისი 2013, გვ.62;

,,სახელმწიფო აარსებს პირველდაწყებითს სკოლებს; სწავლა-განათლების მიღება პირველდაწყებითს სკოლაში უფასოა და 14 წლამდე სავალდებულო ყველასათვის.“[114]

,,საინტერესოა საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის 1919 წლის 20 დეკემბრის სხდომის მასალებში მოყვანილი ცნობები სოციალურ სფეროში სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ. მსჯელობის საგანი გახდა კონსტიტუციური დებულება „ღარიბ ბავშვებს საზრდო, სამოსი და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცემათ". გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს მუხლი ამოეშალათ, ვინაიდან იგი დიდ მოვალეობას აკისრებდა სახელმწიფოს. კომისიამ სიტყვა „ღარიბი" ჩაანაცვლა სიტყვა „უღარიბესით". როგორც მასალებიდან ჩანს, კომისიას

განზრახული ჰქონია, კონსტიტუციის პროექტში შეეტანა დებულება, რომლის მიხედვით, სახელმწიფო მხოლოდ ღარიბი მოსწავლეების სწავლა-განათლებას დააფინანსებდა სრულად, ან გასცემდა სესხს.“[115]

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში განათლების უფლებას ცალკე თავი დაეთმო და ის შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

,,თავი მეთორმეტე

სწავლა-განათლება და სკოლა

მუხლი 109.

ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია; სახელმწიფოს მოვალეობაა მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

მუხლი 110.

პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთს ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველდაწყებითი სკოლა საფუძველია საშვალო და უმაღლესი სკოლისა.

---

[114] იხ. ნანეიშვილი გ. მიერ 1918 წლის 7 აგვისტოს კომისიის წევრთათვის შემუშავებული დებულება - „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი", ,,საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921) მასალები და დოკუმენტები" საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ტომი I, თბილისი 2015, გვ.94-96;

[115] იხ. ქანთარია ბ. ,,განათლების უფლება ქართულ კონსტიტუციონალიზმში", საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი" გამომცემლობა შპს „პეტიტი", თბილისი, 2013, გვ.424.;

სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა.

მუხლი 111.

სახელმწიფო მიზნად ისახავს: პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ–დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცეს. ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობანი თავის შემოსავლის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველ წლიურად.

მუხლი 112.

კერძო თაოსნობით დაარსებული სკოლა ემორჩილება საერთო სასკოლო კანონს."[116]

ზემოხსენებული მუხლის დეფინინციიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელობა მიანიჭა განათლებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხლისუფლებამ. საქართვალოში განათლების უფლებამ პირველად კონსტიტუციური აღიარება მოიპოვა, კონსტიტუციური ნორმებით იქნა გარანტირებული ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლების თავისუფლება. სახელმწიფომ აიღო ვალდებულება ხელი შეეწყო ხელოვნების, მეცნიერების და მათი სწავლების განვითარებისათვის. კონსტიტუციური ნორმებით იქნა გარანტირებული პირველდაწყებითი სწავლის საყოველთაობა, უსასყიდლობა და სავალდებულობა. კონსტიტუციის მიღებისას კარგად ესმოდათ, რომ სწავლის სავალდებულობის შესრულება, რთული მისია იქნებოდა, ვინაიდან საზოგადოების ნაწილს ამის ფინანსური საშუალება არ ჰქონდა. ხელისუფლებამ, აცნობიერებდა რა განათლების მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის საქმეში, კონსტიტუციით მიზნად დაისახა პირველდაწყებით სკოლაში უღარიბესი ბავშვებისათვის სასწავლო ნივთების, საკვების და ჩასაცმელის უფასოდ მიცემა, ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობებს შემოსავლის ნაწილი უნდა გამოეყოთ ყოველწლიურად.

კონსტიტუციის თანახმად სკოლის სისტემა შედგებოდა სამი საფეხურისაგან, პირველდაწყებითი, საშვალო და უმაღლესი სკოლისაგან. პირველდაწყებითი სკოლა საფუძველი იყო საშვალო სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად, ხოლო საშვალო სკოლა კი

[116] იხ. პაპუაშვილი გ. ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან", მომზადდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, ბათუმი 2011, გვ. 55-56;

უმაღლეს სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად. სამივე საფეხურის სკოლაში სწავლა საერო იყო და ასევე კონსტიტუცია ითვალისწინებდა კერძო სკოლების არსებობას.

იმის გამო, რომ 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ თბილისი დაიკავა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიდი ნაწილი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო და საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, 1921 წლის კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული განათლების უფლების შედეგი არ დამდგარა. მაგრამ მაშინდელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი რეფორმები განათლების უფლების რეალიზების კუთხით, უდაოდ წინგადაგმული ნაბიჯი იყო და აუცილებლად შეუწყობდა ხელს საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარებას, ქვეყნის ეკონომიურ გაძლიერებას, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას და განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

2.2.2. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციები და განათლების უფლება

,,როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის წითელი არმია შემოვიდა საქართველოში და განახორციელა ქვეყნის გასაბჭოება. ბოლშევიკების მიერ შექმნილ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში თითქმის არაფერი არ დარჩენილა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან, რაც ყველაზე თვალსაჩინოდ საბჭოთა კონსტიტუციებში ჩანს.

გასაბჭოებულ საქართველოში მიღებულ იქნა ოთხი კონსტიტუცია — 1922, 1927, 1937 და 1978 წელს. უმეტეს ნაწილში ეს კონსტიტუციები იმთავითვე ფიქტიური იყო, რადგანაც არ ასრულებდნენ ძირითადი კანონის ფუნქციას საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების თვალსაზრისით.“[117]

,,1922 წლის კონსტიტუციამ განამტკიცა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება და მთელი ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში. 1922 წლის კონსტიტუციის

[117] იხ. ,,კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო”, ავტორთა კოლექტივი, ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი დემეტრაშვილი ა.; გამომცემლობა „ჰოლივუდი “, თბილისი 2005, გვ.64;

შესაბამისად, გაუქმდა რევოლუციური კომიტეტები და ხელისუფლების ორგანიზაციის კონსტიტუციური საფუძვლების მიხედვით ჩამოყალიბდა სახელმწიფო ორგანოთა ახალი სისტემა."[118]

1922 წლის კონსტიტუცია საინტერესოა აგრეთვე განათლების უფლების კუთხით, კერძოდ კონსტიტუციის თანახმად სკოლა ჩამოშორდა ეკლესიას[119] და საქართველოს სოციალისტურმა საბჭოთა რესპუბლიკამ თავის მთავარ მიზნად დაისახა - ,,მიანიჭოს ყველა მშრომელს სრული და ყოველმხრივი უფასო განათლება."[120]

გარდა ზემოაღნიშნული ნორმებისა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის 1922 წლის კონსტიტუციაში, განათლებასთან დაკავშირებით, სხვა ჩანაწერი არ არის. რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისგან განსხვავებით საბჭოთა ხელისუფლება განათლების უფლების კონსტიტუციურ აღიარებას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. 1922 წლის კონსტიტუციით საბჭოთა ხელისუფლებას განათლების უფლების დაცვის მიზნით კონსტიტუციური გარანტიები და მექანიზმები არ შეუქმნია. განათლების უფლებასთან დაკავშირებით მსგავსი მიდგომა გაგრძელდა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის 1927 წლის კონსტიტუციაში. სადაც ზოგადი დებულებების თავში მე-14 მუხლად გამოიყო განათლების საკითხი და მშრომელთათვის ცოდნის ხელმისაწვდომობის მიზნით, ჩაიწერა: ,,რათა მშრომელთათვის ნამდვილად ხელმისაწვდომი იქნეს ცოდნა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკას დასახული აქვს მიზნად, მისცეს ყველა მშრომელს სრული, ყოველმხრივი და უფასო სწავლა-განათლება."[121]

---

[118] იხ. რუხაძე ზ. ,,საქართველოს კონსტიტუციური სამართალი", ბათუმი 1999, გვ.26;

[119] იხ. ,,საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის", ტბილისი 1922, მუხლი 9; ,,საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978)", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1983, გვ.75;

[120] იხ. იქვე. მუხლი 11, გვ.75;

[121] იხ. ,,საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუცია (1927)", მუხლი 14; ,,საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978)", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1983, გვ.102;

,,1927 წლის კონსტიტუცია შეცვალა საქართველოს რიგით მესამე, 1937 წლის საბჭოთა კონსტიტუციამ“[122] და ,,თუ გადავხედავთ 1937 წლის კონსტიტუციის XI თავს, რომელიც ადამიანის ძირითად უფლება–მოვალეობებს დეთმო, უდავოა, რომ იგი უფრო დემოკრატიულ აქტად აღიქმება მის წინამორბედებთან შედარებით.”[123]

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1937 წლის კონსტიტუციაში ხაზგასმით ჩაიწერა, რომ ,,საქართველოს სსრ-ის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება.“[124] განათლების უფლებამ კონსტიტუციური აღიარება მოიპოვა და კონსტიტუციაშივე გაიწერა უზრუნველყოფის მექანიძმები, კერძოდ ,,ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლებით, უფასო განათლებით, - უმაღლესი განათლების ჩათვლით, - უმაღლეს სკოლაში მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობისათვის სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით, სკოლებში დედაენაზე სწავლებით, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებში მშრომელთა უფასო საწარმოო, ტექნიკური და აგრონომიული სწავლების ორგანიზაციით.”[125]

1937 წლის კონსტიტუცია, განათლების უფლების კონსტიტუციური აღიარებისა და მისი უზველყოფის მიზნით, ისეთ მექანიზმებს შეიცას, რომლებიც არ გვხვდება1937 წლამდე საქართველოში მოქმედ კონსტიტუციებში. კერძოდ მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობისათვის უმაღლეს სკოლებში დაწესდა სახელმწიფო სტიპენდიები, კონსტიტუციური ნორმით გამტკიცდა სკოლებში დედაენაზე სწავლება, ანუ საქართველოში მცხოვრებ ყველა პირ შეეძლო მშობლიურ ენაზე ესწავლა სკოლებში. კონსტიტუცია ითვალისწინებდა ასევე პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებში მუშაობის პარალელურად.

---

[122] იხ. რუხაძე ზ. ,,საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, ბათუმი 1999, გვ.28;

[123] იხ. ,,კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო”, ავტორთა კოლექტივი, ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი დემეტრაშვილი ა.; გამომცემლობა „ჰოლივუდი “, თბილისი 2005, გვ.66;

[124] იხ ,,საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია“ (ძირითადი კანონი) თბილისი 1937. მუხლი 134. ,,საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978)“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1983, გვ.155;

[125] იხ. იქვე. მუხლი 134, გვ.155;

განათლების უფლებამ, საბჭოთა კონსტიტუციებს შორის, ყველაზე ფართო ასახვა ჰპოვა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციაში. კონსტიტუციის 22-ე მულში ჩაიწერა, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში თანმიმდევრულად ხორციელდება პროგრამა, რომლის მიზანია გაფართოვდეს სოფლად სახალხო განათლების დაწესებულებათა ქსელი.[126] კონსტიტუციის 25-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ,,საქართველოს სს რესპუბლიკაში არსებობს და იხვეწება სახალხო განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ მომზადებას, ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, სულიერ და ფიზიკურ განვითარებას, ამზადებს მას შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.“[127]

გარდა ზემოაღნიშნული ჩანაწერებისა, განათლების უფლებას, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციაში - საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეთა ძირითადი უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების თავში ცალკე მუხლი დაეთმო და განათლების უფლება შემდეგი შიინაარსით ჩამოყალიბდა: ,,საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს, ყველა სახეობის უფასო განათლება, ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართოდ განვითარება ცხოვრებასა და წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე; დაუსწრებელი და საღამოს განათლების განვითარება; სახელმწიფო სტიპენდიებისა და შეღავათების მიცემა მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის; სასკოლო სახელმძღვანელოების უფასო გაცემა; სკოლაში დედაენაზე სწავლის შესაძლებლობა; თვითგანათლების პირობების შექმნა.“[128]

---

[126] იხ. ,,საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია“ (ძირითადი კანონი) თბილისი 1978. მუხლი 22. ,,საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978)“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1983, გვ.255;
[127] იხ. იქვე. მუხლი 25, გვ.256;
[128] იხ. იქვე. მუხლი 43, გვ.261;

2.2.3. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ განათლების უფლების კონსტიტუციური აღიარება

განათლების უფლება, როგორც ადამიანის ბუნებით მინიჭებული უფლება და დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი ელემენტი, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამაც აღიარა. განათლების უფლება ცალკე მუხლად, შემდეგი დეფინინციით ჩამოყალიბდა:

,,მუხლი 35

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან.

3. სკოლამდელ აღზრდას უზრუნველყოფს სახელმწიფო. დაწყებითი განათლება სავალდებულოა. სახელმწიფო თავის ხარჯზე უზრუნველყოფს საბაზო განათლებას. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება.

4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით.“[129]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით საბაზო განათლება სავალდებულო არ იყო. მოქმედი კონსტიტუციით საბაზო განათლება სავალდებულო, 2003 წელს ,,საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის გამოქვეყნების შემდგომ გახდა.[130] საქართველოს პარლამენტის 120 წევრის მიერ ინიცირებულ კონსტიტუციური კანონის განმარტებით ბარათში აღნიშნულია რომ, ,,ამჟამად საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სავალდებულო არის მხოლოდ დაწყებითი განათლება, ანუ ექვსი კლასი. აქიდან გამომდინარე, 12-13

[129] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, 35-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი 24/08/1995 (პირველადი სახე), https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=0 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.02.2019;

[130]იხ. ,,საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი მუხლი პირველი, №2597-რს, თბილისი 2003 წლის 23 ივლისი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/12778?publication=0 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.02.2019;

წლის ყმაწვილები, რომელთაც არც მუშაობის უფლება აქვთ და არც სათანადო კვალიფიკაცია, ფაქტობრივად ქუჩაში რჩებიან და სახელმწიფო იხსნის მათზე პასუხისმგებლობას. ქვეყანაში სიღატაკის დაძლევისა და განვითარების უპირველესი წინაპირობა არის სწორედ განათლება, კონკურენტუნარიანი ადამიანის ჩამოყალიბება და სახელმწიფოს ძალისხმევაც აქეთკენ უნდა იყოს მიმართული, ხოლო 12-13 წლის მოზარდების სკოლის გარეშე, ბედის ანაბარა დატოვება კი ნიშნავს იმ თავითვე სოციალურად დაუცველობისთვის განწირული ფენის შექმნას. წარმოდგენილი კონსტიტუციური კანონპროექტის მიხედვით სავალდებულოდ ცხადდება დაწყებითი და საბაზო განათლება, ანუ ცხრა კლასი, რითაც სწორდება კონსტიტუციაში არსებული ხარვეზი.“ [131]

2017-2018 წლებში განათლების უფლების კონსტიტუციური აღიარების კუთხით, საინტერესო ცვლილეები განხორციელდა საქართველოს კონსტიტუციაში, კერძოდ საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მეხუთე მუხლში გაიწერა სოციალური სახელმწიფოს მოწყობის ძირითადი პრონციპები. ამ მუხლის ერთ-ერთ პუნქტში, კერძოდ მეექვსე პუნქტის დეფინინციით ჩამოყალიბდა სახელმწიფოს ვალდებულება, რომელიც დაფუძნებულია ეროვნული ფასეულობების, თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე და აგრეთვე განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე.[132] აღნიშნული გარემოება წარმოადგენს სიახლეს, რადაგან საქართველოს კონსტიტუციის წინა რედაქციაში ჩვენ არ გვხვდებოდა სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი განცხადებული ფორმით ვალდებულების ასე კუმულატური სახით აღიარების საკითხი. შემოთავაზებული ფორმულირებით იზრდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე ზრუნვის ვალდებულებები. აღნიშნული ნორმის დამატება კონსტიტუციის სოციალურ სახელმწიფოს ჩარჩო

[131]იხ. ,,საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/150069? უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.02.2019;

[132] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5, პუნქტი 6, საქართველოს პარლამენტი 24/08/1995, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 04.03.2019;

პრონციპის განმსაზღვრელ მუხლში ხაზს უსვამს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების წარმოშობას ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით.

იმისდა მიუხედავად, რომ აღნიშნულ ცვლილებას კავშირი აქვს კონსტიტუციის 27 მუხლთან, ამ ჩანაწერის გაჩენა კონსტიტუციაში არ უნდა მივიჩნიოთ კონსტიტუციურ ნორმებს შორის გადაფარვად, რადგან ეს უკანსკნელი უფრო ფართოდ განმარტავს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით მოცემულ საკითხს. კერძოდ, კონსტითუციის 27-ე მუხლის თანახმად,

,,მუხლი 27. განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

2. სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.

3. აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია.“[133]

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტი ძველი რედაქციით არის მიღებული, ხოლო მე-3 პუნქტი თავის მხრივ სიახლეს წარმოადგენს ძველ რედაქციასთან შედარებით, რადგან ის ქმნის აკადემიური თავისუფლების და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიის დაცვის მექანიზმს.

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებული ნორმა მეხუთე მუხლის მეექვსე პუნქტის ნაწილში მნიშვნელოვანია, რადგან ზემოხსენებული ცვლილებებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები საკონსტიტუციო სამართალწარმოების ჭრილში იძლევა საშუალებას საკონსტიტუციო სამსამართლომ უფრო ფართოდ იმსჯელოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. კერძოდ, თუ ძველი რედაქციით საკონსტიტუციო სასამართლოს, განათლების უფლებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, შესაძლებლობა

[133] იხ. იქვე. მუხლი 27;

ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციითა და საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების ჭრილში ემსჯელა, დღეს იგივე სასამართლო უფრო ფართოდ შეძლებს იმსჯელოს განათლების უფლების დაცვასა და ზრუნველყოფაში სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებაზე.

თავი III. განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტები და მათი იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში

წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში განვიხილე განათლების არსი და მისი მნიშვნელობა. იმ ფაქტს, რომ განათლების უფლების სწორად განხორციელებას და საზოგადოებაში განათლების ხარისხის ამაღლებას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების არსებობასა და განვითარებისათვის, ადასტურებს არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფოებმა აღიარეს განათლების უფლება და აიღეს განათლების უფლების დაცვისა და მისი ხარისხის ამაღლების ვალდებულებები. სწორედ ამ ხელშეკრულებების საფუძველზე ჩამოყალიბდა განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტები და მოხდა მათი იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში.

საქართველოში განათლებას ისტორიულად დიდი ყურადრება ეთმობოდა, აღიარებულია მისი მნიშვნელობა სახელმწიფოებრიობის განვითარების საქმეში და საქართველო მრავალი დემოკრატიული ქვეყნის მსგავსად მიერთებულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებს, რომლებიც აღიარებენ განათლების უფლებას და აწესებენ მაღალ სტანდარტებს. საქართველო ახდენს საერთაშორისო სტანდარტებისა და პრინციპების იმპლემენტაციას შიდა კანონმდებლობაში. ამ საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან მნიშვნელოვანია განხილულ იქნას:

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი;

3. „განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ კონვენცია;
4. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი.

3.1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 1948 წლის 10 დეკემბერს. ტექსტის შემდგენელთა განსაკუთრებული და უჩვეულო ხედვის წყალობით შეიქმნა დოკუმენტი, რომელიც პირველად კაცობრიობის ისტორიაში შეიცავდა საყოველთაოობის პრინციპით განმტკიცებულ და ინდივიდუალურ კონტექსტში მოაზრებულ ადამიანის უფლებებს. დღეისათვის დეკლარაცია 360 ენაზეა თარგმნილი და წარმოადგენს მსოფლიოს ყველაზე მეტ ენაზე თარგმნილ დოკუმენტს, რაც ადასტურებს მის უნივერსალურობას და საყოველთაო ხელმისაწვდომობას. დეკლარაცია შთაგონების წყარო გახდა მრავალი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოსა და ახალ დემოკრატიათათვის კონსტიტუციების შედგენისას. იგი კრიტერიუმი და საზომია იმისა, თუ როგორ განვსაზღვრავთ, თუ უნდა განვსაზღვროთ, რა არის კარგი და რა არის ცუდი.[134]

გენერალური ასამბლეა აცხადებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას როგორც ყველა ხალხისა და ყველა ერის საერთო მონაპოვარს, რათა ყველა ადამიანი და საზოგადოების ყოველი ნაწილი, მუდამ ექნებათ რა მხედველობაში წინამდებარე დეკლარაცია, მიისწრაფვოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და ეფექტიანი აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ეროვნული თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში.[135]

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია საქართველოში ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით.[136]

---

[134] იხ. http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.05.2019.
[135] იხ. იქვე.
[136] იხ. http://www.parliament.ge/uploads/other/115/115526.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.05.2019.

3.1.1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არის პირველი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც ცნობს განათლების უფლებას როგორც ერთ-ერთ ძირითად ადამიანის უფლებას.[137] აღნიშნული დეკლარაციის 26-ე მუხლი განამტკიცებს, რომ ყველას აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი ერთნაირად ხელმისაწვდომი ყველასათვის უნარის შესაბამისად. ამასთან, განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განმტკიცებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფების ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად. ამავე მუხლის თანახმად, მშობლებს აქვთ უპირატესი უფლება აირჩიონ, თუ რა სახის განათლება სურთ თავიანთი შვილებისათვის.[138]

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლით განამტკიცებული განათლების უფლების, საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაციაზე მსჯელობა, მიზანშეწონილია წარვმართოთ მოცემული მუხლის შემადგენლობის მიხედვით.

3.1.1.1 დაწყებითი და ზოგადი განათლების დაფინანსება. დაწყებითი განათლების სავალდებულობა

საქართველოს კონსტიტუციით ,,დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს

[137] იხ. https://www.right-to-education.org/page/united-nations-instruments, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.05.2019.
[138]იხ. http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.05.2019.

სახელმწიფო“[139]. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის) მიერ ზოგადი განათლების თავის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს, სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას.[140]

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში გაწერილია, რომ ,,სახელმწიფო უზრუნველყოფს სრული ზოგადი განათლების მიღებას. მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გრძელდება 12 წლის განმავლობაში“.[141] ,,სახელმწიფოს მიერ მოსწავლის განათლების დაფინანსება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით. სტანდარტული და გაზრდილი ვაუჩერების ოდენობები განისაზღვრება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონისათვის მაქსიმალური დატვირთვის მიხედვით, განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ მოსწავლეთა ფინანსური შესაძლებლობების შესაბამისად, განათლების მიღების უფლების უზრუნველყოფაში თანასწორობის პრინციპის დაცვით”[142]. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ვაუჩერის ტერმინი განისაზღვრება, როგორც ,,ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც განკუთვნილია მოსწავლის მიერ ზოგადი განათლების მიღების დასაფინანსებლად“[143].

,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მოსწავლის შესახებ მონაცემები შეაქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. საჯარო სამართლის იურიდიული პირი

---

[139]იხ. ,,საქართველოს კონსტიტუცია” 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.
[140]იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.
[141] იხ.იქვე, 22-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[142] იხ.იქვე, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
[143] იხ. იქვე მე-2 მუხლის ,,ლ“ პუნქტი.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ამუშავებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების შესახებ მონაცემებსა და წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. სწორედ ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით ვაუჩერის თანხის გადარიცხვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის უნაღდო ანგარიშსწორების გზით.[144]

,,საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ განათლების დაფინანსებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც განათლების სუბიექტისთვის, ისე თავად სახელმწიფოსთვის. განათლების დაფინანსებას ვერ განვიხილავთ როგორც სახელწიფოს მიერ პირისთვის მინიჭებულ პრივილეგიას ან შემწეობას. პირველ რიგში იმიტომ, რომ განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისთვის, ამავე დროს – განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მთელი ცხოვრების განმავლობაში წაართმევს ადამიანს სრულფასოვანი არსებობის საშუალებას. დღესდღეობით, შესაძლებელია ცალსახად ითქვას, რომ განათლების უფლების რეალიზაცია და საზოგადოებისთვის უფასო ზოგადი განათლების უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას"[145].

გარდა სახელმწიფოს მხრიდან ზოგადი განათლების სრულად დაფინანსებისა, ზოგადი განათლების და საგანმანათლებლო რესურსების თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული შემდეგი პროგრამები:

---

[144] იხ. ,,განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" გვ.7. https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/188186?, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

[145] იხ. რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსეღიანი და ლენა ბარსეღიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება №2/3/540, 2014 წლის 12 სექტემბერი, ქ. ბათუმი. სამოტივაციო ნაწილი მე-19-20 პარაგრაფები. https://matsne.gov.ge/ka/document/download/2519949/0/ge/doc უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

- უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა;
- განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა;
- მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;
- დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად;
- ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა;
- საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- ჩემი პირველი კომპიუტერი;
- ზოგადი განათლების ხელშეწყობა;
- ელექტრონული სწავლება (eLearning)[146].

ზემოხსენებული პროგრამები ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლით განამტკიცებული განათლების უფლების რეალიზაციას.

ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ჭრილში, ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ უნდა შექმნას მის ყველა მოქალაქეზე მორგებული საგანმანათლებლო სივრცე. აღნიშნილის მისაღწევად ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიეოების მქონე მოსწავლეებისათვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიერ ზოგადი განათლების თავის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს, სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღებას. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ,,სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას“.[147]

---

[146] იხ. ,,საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი, 13/12/2018, მუხლი 16, კოდი 32.02. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4419670?publication=0 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

[147] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლის 1^1 პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის შექმნილი, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა, რომელიც მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და განხორციელების პროცესში მნიშნელოვანია ჩართული იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი და ითანამშრომლოს სკოლის გუნდთან".[148]

,,სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის გამოიყენება ალტერნატიული სასწავლო გეგმა, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება მისი სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით, რომელთა დაფინანსებას სახელმწიფო უზრუნველყოფს".[149]

,,აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2005 წლიდან მუშაობს ინკლუზიური განათლების განვითარებაზე. ტერმინი „ინკლუზია" ანუ „ჩართულობა" განმარტავს საგანმანათლებლო სისტემაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საჭიროებებისა და უნარის მიუხედავად თანატოლებთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლებას. იმისთვის, რომ მოსწავლის მრავალფეროვანი საჭიროება დაკმაყოფილდეს

[148] იხ. http://inclusion.ge/geo/static/19 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

[149] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

უნდა მოხდეს არსებული სფეროს განვითარება. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2008 წელს პირველად გაჩნდა ტერმინი „ინკლუზიური სწავლება“ რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის ჩართვას გულისხმობდა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში, თუმცა 2011 წელს ტერმინი ინკლუზიური სწავლება შეიცვალა ტერმინით „ინკლუზიური განათლება“, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში, არსებული რედაქცია არა სამედიცინო, არამედ სოციალური მოდელის განვითარების წინაპირობა იყო.

ინკლუზიური განათლება ხელს უწყობს სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას, სადაც ყველა ინდივიდი დაფასებულია. განათლება შესაძლებლობას აძლევს შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს სრულად მიიღონ მონაწილეობა ყოველდღიურ ცხოვრებაში, დასაქმდნენ, ჩართული იყონ კულტურულ, სპორტულ, სოციალურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში”[150]

,,2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ რატიფიცირება. არსებული კონვენციის 24-ე მუხლმა კონვენციის დებულებათა შესასრულებლად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაავალდებულა მოეხდინა საჭირო კანონმდებლობის რევიზია და მისი კონვენციასთან თანხვედრაში მოყვანა”.[151]

,,ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში დაზუსტდეს ტერმინები. აღნიშნული აუცილებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად, მრავალფეროვანი სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის, ინდივიდუალური მიდგომის ჩამოყალიბებისათვის, სწავლების მრავალფეროვანი მეთოდოლოგიის გამოსაყენებლად და ა.შ.“[152]

---

[150] იხ. ,,განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ გვ.1. https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/188186?, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.
[151] იხ. იქვე, გვ 2.
[152] იხ. იქვე.

ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევის მიზნით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომლის თანახმადაც შეიცვალა ,,კანონში არსებული ისეთი ტერმინები, როგორიც არის ინკლუზიური განათლება, სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინკლუზიური განათლების ტერმინის ახალი რედაქცია უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროების და შესაძლებლობის გათვალისწინებით. ასევე, გაფართოვდა სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ტერმინის მნიშვნელობა, განისაზღვრა ყველა ის საჭიროება რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ესაჭიროება სწავლა-სწავლების პროცესში და ამის შესაბამისად ასევე გაიმართა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მნიშვნელობა, რომელიც უფრო მრავალფეროვანი გახდა და მორგებულია ნებისმიერი საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საჭიროებაზე.“[153]

ზოგადი განათლების ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომობას ასევე განამტკიცებს ეროვნული სასწავლო გეგმაში გაწერილი შინ სწავლების რეგულაციბი, რომლის თანახმადაც ,,სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.”[154] ,,სკოლა ვალდებულია, დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს.“[155] ,,მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა

[153] იხ. იქვე.

[154] იხ. „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 39-ე მუხლის პირველი პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3285991?publication=8 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

[155] იხ. იქვე. 39-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

უზრუნველყოფს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე/აღდგენაზე მოსწავლისთვის ხელშეწყობას.“[156]

3.1.1.2 ტექნიკური და პროფესიული განათლების საყოველთაოდ ხელმისაწვდომობა

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის განვითარების, პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისა და მისი განხორციელების ხელშეწყობის მიზნების განხორციელებას ემსახურება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი.[157] ,,აღნიშნული კანონის მიზანია ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისა და პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა. კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა, საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და თავსებადობა. აღნიშნული მიზნების მისაღწევად კანონი განსაზღვრავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობებს პროფესიული განათლების სფეროში და ხაზს უსვამს სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი ფორმების (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და სხვა) და ინოვაციური მიდგომების შეთავაზებას, ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინებით, პროფესიული განათლების ზოგად და უმაღლეს განათლებასთან კავშირის უზრუნველყოფასა და პროფესიული განათლების სისტემის მოქნილობას, პროფესიული განათლების მორგებას შრომის ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებთან და პირის მომზადებას დასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარებას, არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შექმნას, კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის განვითარებას, პროფესიული

---

[156] იხ. იქვე. 39-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

[157] ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 20/09/2018, პირველი მუხლის პირველი პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4334842?publication=1 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების განვითარებას, შრომის ბაზარზე პირის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობას პროფესიული მომზადებისა და გადამზადების გზით, პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობას, ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარებას, პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სისტემის ჩამოყალიბებას, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მობილობის ხელშეწყობას, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვას."[158]

,,2013 წელს, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავდა საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის (2013-2020 წლებისათვის) სტრატეგია, რომლის დამტკიცებითაც (საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის N300 ბრძანება) დაიწყო პროფესიული განათლების სფეროს განვითარების ახალი ეტაპი. სტრატეგიაში ასახულია საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები და ჩამოყალიბებულია მიზნები, რომელთა განხორციელებამ, კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ხელი უნდა შეუწყოს ადამიანური რესურსების მდგრად განვითარებას (შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარებას, დასაქმების თუ თვითდასაქმების, თვითრეალიზების შესაძლებლობას) და შრომის ბაზრის ამჟამინდელი თუ სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის შემცირებას."[159]

,,პროფესიული განათლების ფუნქცია, რომელიც შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის განვითარებასთან არის დაკავშირებული, უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ყველა დემოკრატიული და განვითარებული ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკაში. თუმცა, ამ მიზნით სფეროს სხვა მიზნების გადაფარვა პროფესიულ განათლებას ვიწრო საზღვრებში კეტავს და არ აღიარებს მის ფართო შესაძლებლობებს. თანამედროვე სამყაროში პროფესიული

---

[158] იხ. ,,განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე ,,პროფესიული განათლების შესახებ", გვ.1. https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/183686? უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.
[159] იხ. იქვე.

განათლება ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური ინკლუზიისა და ადამიანების პიროვნული განვითარების საქმეში. კანონი ეფუძნება პროფესიული განათლების, როგორც ადამიანის უფლების იდეას და თანაბრად მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პიროვნულ ასპექტებს. ამავე დროს, კანონის მიზნები სრულად პასუხობს სფეროს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან შესაბამისობაში მოყვანისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს."[160]

„პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 2018 წლამდე აქამდე მოქმედი რედაქციის მე-7 მუხლის თანახმად, „პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს, მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად". პროფესიული განათლების მიღების უფლების რეალიზების მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობით გამართოს კონსულტაციები პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებთან პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების, მომავალი პროფესიული საქმიანობისა და დასაქმების პირობების შესახებ. აღნიშნული მუხლით უფლებაზე მეტად წარმოდგენილი იყო შეზღუდვები და წინაპირობები, რაც დამაბრკოლებელ გარემოებას ქმნის პროფესიული განათლების ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ საბაზო განათლება საქართველოში სავალდებულოა და ერთი შეხედვით, პროფესიული განათლების მისაღებად საბაზო განათლების ფლობა მინიმალურ მოთხოვნას წარმოადგენს, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ ჩანაწერით დავიწროვებული იყო იმ პირთა წრე, რომლებსაც უფლება ეძლეოდათ მიიღოთ პროფესიული განათლება. ასევე, დავიწროვებული იყო თავად პროფესიული განათლების ცნებაც. კანონის ძველი რედაქციის თანახმად, პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მეშვეობით, რომელიც

[160] იხ. იქვე. გვ.2.

ორიენტირებული იყო პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. ამდენად, აღნიშნულით, პროფესიული განათლება იცნობდა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით სრულდება და არ აღიარებს პროფესიული მომზადების, გადამზადების, ცალკეული კომპეტენციების გამომუშავებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების/მოდულების არსებობას. რეალურად, კანონი არ იძლეოდა იმ მრავალფეროვანი შესაძლებლობების განხორციელების საშუალებას, რისი შეთავაზებაც პროფესიული განათლების სფეროს შეუძლია."[161]

„პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ახალმა რედაქციამ შეცვალა ,,ზემოთაღნიშნული მიდგომა და გზა გაუხსნა მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რომელთა მიზანი ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს 3 კვალიფიკაციის მინიჭება, ხოლო მეორე შემთხვევაში - ცალკეული კომპეტენციების განვითარება, ცოდნის გაღრმავება, გადამზადება და სხვა.[162]

დღეის მგომარეობით, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი ,,მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ ყველას აქვს უფლება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ისარგებლოს პროფესიული განათლების მიღების უფლებით. დეკლარირება იმისა, რომ „ყველას აქვს პროფესიული განათლების მიღების უფლება", საფუძველს უქმნის ამ უფლების რეალიზების, სისტემის მოქნილობისა და შესაძლებლობათა გაფართოებისათვის მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელებას. აღნიშნული მიდგომა არ გამორიცხავს სპეციფიკური საკითხების გათვალისწინებას (მაგ. ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ასაკობრივ შეზღუდვას, რიგ შემთხვევებში სრული ზოგადი განათლების ატესტატის ფლობის ვალდებულებას და ა.შ) და იძლევა პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე გარკვეული შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობას."[163]

---

[161] იხ. იქვე.
[162] იხ. იქვე.
[163] იხ. იქვე. გვ.3.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლამდე არსებული კანონმდებლობის თანახმად, ,,საქართველოში არსებობდა პროფესიული განათლების ორი სახე: ფორმალური პროფესიული განათლება და არაფორმალური პროფესიული განათლება. ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მეშვეობით. ახლა არსებული კანონის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თეორიულ სწავლებას, სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკას და სრულდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. მნიშვნელოვანია, რომ კანონი გზას უხსნის ფორმალური განათლების ფართო შესაძლებლობების განხორციელებას და არ ზღუდავს მას მხოლოდ კვალიფიკაციის მისანიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით.“[164]

,,ფორმალური განათლება არის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სისტემის ნაწილი, რაც გულისხმობს „ცოდნა და გაცნობიერების“, „უნარის“, „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შეძენას და აღნიშნულის დადასტურებას სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით. კანონი ასევე, ითვალისწინებს ფორმალური პროფესიული განათლების სფეროში მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რომელთა ფარგლებში მიღებული ცოდნის დადასტურებაც ყოველთვის არ იქნება დაკავშირებული შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებასთან. მოქნილი, დიფერენცირებული, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის (მაგალითად, უკვე დასაქმებული პირებისათვის, რომლებსაც სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, სურვილი აქვთ მიიღონ ცალკეული მოდულით გათვალისწინებული კომპეტენციები). ამასთან, პროფესიული განათლება გზას გაუხსნის ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე იმ პირებს, რომლებმაც ვერ შეძლეს საბაზო განათლების ატესტატის

[164] იხ. იქვე.

მიღება, მაგრამ შესწევთ უნარი, გამოიმუშავონ ცალკეული პროფესიული კომპეტენციები (კვალიფიკაციის ჩარჩოს მეორე დონის შესაბამის კურსებზე).“[165]

,,არაფორმალური განათლება ხორციელდება ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის გარეთ. ის მოიცავს ზრდასრულთა განათლებას, სამუშაო ადგილზე მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამებს, ონლაინ და დისტანციურ სწავლებას ან სათემო დონეზე ორგანიზებულ კურსებს, რომელსაც ახორციელებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებიც. ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებობს ინფორმალური (informal) განათლების ცნებაც, რომელიც წარმოადგენს არაორგანიზებულ და არასტრუქტურირებულ განათლებას, ცოდნისა და უნარების შეძენას მიზანმიმართულად ან პიროვნებისაგან გაუცნობიერებლად, ცხოვრების მანძილზე ან მუშაობის ან თვით-სწავლების პროცესში. ბევრ ენაში, მათ შორის ქართულშიც, ხშირად, ამ ტერმინებს შორის განსხვავება ბუნდოვანია. აქამდე არსებული კანონმდებლობა არაფორმალურ და ინფორმალურ პროფესიულ განათლებას აერთიანებდა არაფორმალური პროფესიული განათლების ტერმინში და განმარტავდა, რომ არაფორმალურია პროფესიული განათლება, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად. არაფორმალური და ინფორმალური განათლების აღიარების საერთო პრინციპები და არაფორმალური განათლების ევროპული სახელმძღვანელო, აღიარებას შემდეგნაირად განმარტავს: კომპეტენტური ორგანოს მიერ იმის დამტკიცება, რომ პირის მიერ ფორმალურ, არაფორალურ თუ ინფორმალურ გარემოში შეძენილი სწავლის შედეგები (ცოდნა, უნარები და კომპეტენციები) შეფასდა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე და ისინი აკმაყოფილებს აღიარების/ვალიდაციის სტანდარტებს. აღიარება, ჩვეულებრივ, დასტურდება სერტიფიკატით. მნიშვნელოვანია, რომ დღეისათვის არსებულ კანონში განსაზღვრულია, როგორც არაფორმალური განათლების აღიარების, ასევე ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების

[165] იხ. იქვე.

შესაძლებლობა, ასევე პროფესიული კრედიტების დაგროვების, ტრანსფერი და აღიარების სისტემის განსაზღვრის ვალდებულება.“[166]

3.1.1.3 უმაღლესი განათლების ერთნაირად ხელმისაწვდომობა

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26–ე მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს, რომ უმაღლესი განათლება ერთნაირად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის უნარის შესაბამისად[167]. აღნიშნული ზოგადი ხასიათის დებულება იმპლემენტირებულია ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, როგორც კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის, ისე საკანონმდებლო აქტებში გაწერილი რეგულაციებით.

საქართველოს კონსტუტუციის 27–ე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, ,,მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.“[168]

უმაღლესი განათლების ერთნაირად ხელმისაწვდომობა ყველასთვის უნარის შესაბამისად, იმპლემენტირებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ზოგად დანაწესში, რომლის თანახმად, ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ადგენს სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების დოკუმენტს.“[169] ამავე კანონის 79–ე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წყაროებია: ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტითა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით (მხოლოდ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე); ბ) გრანტის, შემოწირულების სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები; გ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-

---

[166] იხ. იქვე. გვ.3-4.

[167] იხ. http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019

[168]იხ. ,,საქართველოს კონსტიტუცია” 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

[169] იხ. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/12/2004. 54-ე მუხლის პირველი პუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=75 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

კვლევითი გრანტები; დ) სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება; ე) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება; ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალები,"[170] ხოლო მე–80 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიღების უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქესა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 20[13] მუხლით[171]

---

[170] იხ. იქვე, 79-ე მუხლის მეორე პუნქტი.

[171] იხ. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონის, 27/06/1996, https://matsne.gov.ge/ka/document/view/31504?publication=46 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019, ,,მუხლი 20[13]

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებზე, მათი სურვილის შესაბამისად, გაიცემა პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი ან/და აღნიშნულ პირებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველზე ენიჭებათ პირადი ნომერი.

2. პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღების უფლება არა აქვს პირს, ხოლო რეგისტრაციის უფლება – აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირს, რომელზედაც გაცემულია საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან/და პასპორტი.

3. პირადობის ნეიტრალურ მოწმობას და ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტს გასცემს ან/და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს არეგისტრირებს სააგენტო, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უფლებამოსილი ტერიტორიული სამსახურების მეშვეობით.

4. პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის ან/და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირების რეგისტრაციის საკითხის განხილვისას სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით საქმისათვის მნიშვნელოვანი და შესაბამისი დოკუმენტის გაცემის ან რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის დასადგენად სააგენტოს უფლებამოსილი ტერიტორიული სამსახურის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ურთიერთობის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

5. პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის ან/და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირების რეგისტრაციის საკითხზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით დამატებითი შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

6. პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის ბლანკები და მათი აღწერილობები, აგრეთვე პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაფორმების, მათი რეკვიზიტების შევსების (მათ შორის, კონკრეტული რეკვიზიტის არარსებობის ან

გათვალისწინებულ პირს, რომლებიც ამ კანონით დადგენილი წესით ჩაირიცხნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.[172]

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს ,,უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღიაობას, მათ შორის, მსჯავრდებულისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში; სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას, მათ შორის, მსჯავრდებულისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.“[173] ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, კი ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღიაობას, აკადემიურ თავისუფლებას, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შესრულების კონტროლის პროცესში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის და ამ დაწესებულებაში კონკურსების საჯაროობასა და გამჭვირვალობას, უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის,

---

დაუდგენლობის შემთხვევაში), ამ დოკუმენტების გაცემისა და გაუქმების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

7. პირადობის ნეიტრალურ მოწმობაზე ვრცელდება ამ კანონის მე-2 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა და 11 [1] მუხლის მოქმედება.

8. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირების რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

9. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არიან რეგისტრირებული, ვრცელდება ამ კანონის მე-2 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა და 11[1] მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება.

10. ამ მუხლის მიზნებისათვის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) პირების ლეგიტიმურად ცხოვრების საკითხის გადაწყვეტის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.“

[172] იხ. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/12/2004. მე-80 მუხლის პირველი პუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=75 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

[173] იხ. იქვე, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

აკადემიური, ეთნიკური, სოციალური ან რელიგიური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესისა და სხვა ნიშნით.“[174]

3.1.1.4. განათლება როგორც ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განმტკიცებისკენ მიმართული ინსტრუმენტი

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლი ასევე განამტკიცებს, რომ ,,განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განმტკიცებისაკენ.”[175]

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრავს ,,სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.”[176] ამავე კანონის მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი კი პროფესიულ განათლებას განმარტავს როგორც ,,განათლებას, რომელიც უზრუნველყოფს პირისთვის იმ კომპეტენციის/კომპეტენციების გამომუშავებას, რომელსაც/რომლებსაც მოითხოვს კონკრეტული პროფესია ან/და შრომის ბაზარი და რომელიც/რომლებიც მიმართულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისკენ.”[177]

ამასთან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები, ესენია: ,,ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო

[174] იხ. იქვე, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.
[175] იხ. http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.
[176] ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 20/09/2018, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4334842?publication=1 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.
[177] იხ. იქვე, მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი.

პირობების შექმნა და ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.“[178] ამავე კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ,,ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება ჩაითვლება დისკრიმინაციად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია, ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.“[179] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში პირდაპირაა გაწერილი მასწავლებლის ვალდებულება, ,,იზრუნოს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე.“[180]

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლით განტკიცებული განსახილველი დებულება ასევე იმპლემენტირებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში, რომლის თანახმად, ,,საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია: ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის; ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა

---

[178] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.
[179] იხ. იქვე, მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი.
[180] იხ. იქვე, 21-ე მუხლის 1^1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის; დ) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება; ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება."[181]

3.1.1.5. განათლება როგორც ყველა ხალხის, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფების ურთიერთგაგების, შემწყნარებლობის, მეგობრობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობის მშვიდობის შესანარჩუნების ბერკეტი

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლი მსოფლიო ხალხებს შორის უკეთესი კომუნიკაციის დამყარების, მათ შორის შემწყნარებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბებისა და მეგობრული ურთიერთობების გამყარებაში უმნიშვნელოვანეს როლს სწორედ განათლებას აკისრებს. უფრო მეტიც, განათლება მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, შეიძლება ითქვას, ყველაზე სანდო ბერკეტად მიიჩნევა.[182]

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ჩანაწერი თავისი შინაარსით არ არის იმგვარი ნორმატიული ხასიათის დებულება, რომლის იმპლემენტირებისათვის საჭირო იქნებოდა მისი ქართულ საკანონმდებლო აქტებში გაწერა, ვიმსჯელებთ იმაზე, თუ როგორც უწყობს ხელს განათლება მსოფლიო მშვიდობის დამყარებასა და ხალხებს შორის კეთილგანწყობის ჩამოყალიბებას.

პირველ რიგში, განათლება ხელს უწყობს ინდივიდის თავდაჯერებულობას. ჯერ კიდევ კონფუცი ამბობდა, რომ „განათლება ასაზრდოებს თავდაჯერებულობას,

---

[181] იხ. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, 21/12/2004, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=75 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.
[182] იხ. http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

თავდაჯერებულობა - იმედს, ხოლო იმედი მშვიდობას.“ განათლება ასევე აყალიბებს პირის უნარს, იაზროვნოს დამოუკიდებლად, იფიქროს ჩარჩოებს მიღმა და ნაცვლად ბრმად სხვებზე მიდევნებისა, დატოვოს თავისი კვალი. განათლება ასევე აყალიბებს პრობლემების ეფექტურად გადაჭრის უნარს. კრიტიკული აზროვნების უნარი განაპირობებს ინოვაციური მიდგომების დანერგვას, რაც პირდაპირი ალტერნატივაა ძალადობრივი გზით პრობლემების მოგვარებისა. ასევე, განათლება აყალიბებს საკომუნიკაციო უნარებს, რაც დაეხმარებათ მოსწავლეებსა და სტუდენტებს, სამომავლოდ გადაჭრან როგორც მათ საზოგადოებაში წამოჭრილი პრობლემები ეფექტური კომუნიკაციის გზით, ასევე აღნიშნული უნარები ასევე გამოავლინონ უფრო გლობალურ მასშტაბებშიც. განათლება ასევე ამცირებს სიღარიბეს, ზრდის საზოგადოების ჩართულობას პოლიტიკის საკითხებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე, ამცირებს ტერორიზმის მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებას. განათლება აყალიბებს ადამიანთა თანაგრძნობის უნარსა და ტოლერანტობას, ნერგავს ხალხებს შორის ურთიერთპატივისცემას.[183]

3.1.1.6. მშობელთა უპირატესი უფლება აირჩიონ თუ რა სახის განათლება სურთ თავიანთი შვილებისათვის

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26–ე მუხლი, როგორც უკვე აღინიშნა, განამტკიცებს მშობელთა უპირატეს უფლებას, აირჩიონ თუ რა სახის განათლება სურთ თავიანთი შვილებისათვის.[184]

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, ,ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.“[185] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის აღნიშნული დებულებისა და საქართველოს კონსტიტუციის შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუცია

[183] იხ. ,,Education For Peace: Top 10 Ways Education Promotes Peace“, **https://centralasiainstitute.org/top-10-ways-education-promotes-peace/**, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.
[184] იხ. http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.
[185] იხ. ,,საქართველოს კონსტიტუცია” 27-ე მუხლის პირველი პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

ადგენს განათლების ფორმის არჩევის თავისუფლებას უფრო ფართო მასშტაბით, როცა იყენებს ტერმინს „ყველას“ და არა „ყველა მშობელს“. ცხადია, პირთა შეუზღუდავ წრეში მშობლებიც მოიაზრებიან. მეორე მხრივ, „უპირატესი უფლება“ ასევე მოიაზრებს არა მშობელთა აბსოლუტურ უფლებას, არამედ მათ შედარებით უპირატეს უფლებას. ამასთან, როცა ვმსჯელობთ განათლების ფორმის არჩევის უფლებასა თუ უპირატეს უფლებაზე, მიზანშეწონილია განვიხილოთ თუ რა მოიაზრება განათლების კონსტიტუციურ ფორმაში.

საქართველოს ,,კონსტიტუცია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ყოველი ადამიანი, „განათლების ფორმის არჩევის უფლებით”, თვითონ, გონებრივი ნიჭისა და უნარის მიხედვით, ირჩევს მისთვის სასურველ პროფესიას. პროფესიის არჩევაში ყველა თავისუფალია. ამ მხრივ სახელმწიფოს არ აქვს უფლება შეზღუდოს ვინმე.”[186] ზოგადად, განათლების კონსტიტუციურ ფორმებად კი განხილულია შემდეგი: ა) სკოლამდელი განათლება; ბ) ზოგადი განათლება; გ) პროფესიული განათლება და დ) უმაღლესი განათლება.[187]

მშობელთა უპირატესი უფლება, აირჩიონ თუ რა სახის განათლება სურთ თავიანთი შვილებისათვის იმპლემენტირებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ,,სახელმწიფო იცავს მოსწავლის და მშობლის საგანმანათლებლო არჩევანის თავისუფლებას.“[188]

---

[186]იხ. ქანთარია ბ. ,,განათლების უფლება ქართულ კონსტიტუციონალიზმში”, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი” გამომცემლობა შპს „პეტიტი”, თბილისი, 2013, გვ.426.

[187] იხ. იქვე, გვ. 427.

[188] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

3.2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია ევროპის საბჭოს ფარგლებში იქნა შემუშავებული 1948 წლის ადამიანის საყოველთაო დეკლარაციის უმთავრესი პრინციპების გათვალისწინებით. მისი ხელმოსაწერად გახსნა მოხდა 1950 წლის 4 ნოემბერს რომში, ძალაში კი შევიდა 1953 წლის ნოემბერში.[189] ,,ევროპული კონვენციის ავტორებმა მისი მიღებით განიზრახეს ისეთი საერთაშორისო მექანიზმის დაარსება, რომელიც არ დაუშვებდა დაუსჯელობას ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის, ტირანიასა და ტოტალიტარულ მმართველობას ევროპაში.[190]

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაზე ხელმომწერმა სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ „დეკლარაცია მიზნად ისახავს მასში გაცხადებულ უფლებათა საყოველთაო და ეფექტიანი აღიარებისა და დაცვის უზრუნველყოფას.“[191]

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია საქართველოში რატიფიცირებულ იქნა 1999 წლის 12 მაისს[192]. კონვენციასთან ერთად საქართველოში მოქმედებს კონვენციის დამატებითი ოქმები, წინამდებარე სამეცნიერო თების ფარგლებში აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი (პარიზი, 1952 წლის 20 მარტი), რომელიც ითვალისწინებს განათლების უფლებას. კერძოდ მე-2 მუხლის თანახმად, არავის შეიძლება ეთქვას უარი განათლების უფლებაზე, ნებისმიერი ფუნქციის

---

[189] http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/130, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 28.11.2018.

[190] იხ. კორკელია კ. ,,ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია: მოკლე მიმოხილვა“, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით“, სამოსამართლო სწავლების ცენტრი, კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე, 2004 წ., თებერვალი, გვ. 9.

[191]პრეამბულა ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“ რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი (www.matsne.gov.ge, 11/05/1994, 000000430.00.003.000297).

[192]„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციის რატიფიცირების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 12 მაისის №1940–IIს დადგენილება, (www.matsne.gov.ge, 12/05/1999, სსმ, 24(31), 23/05/1999).

განხორციელებისას, რომელსაც სახელმწიფო კისრულობს განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით, ის პატივს სცემს მშობელთა უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამის განათლება და სწავლება.[193]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ამ ფორმულირებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი განიმარტა ისე, რომ იგი სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ, არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც. ამ მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, არა მხოლოდ თავი შეიკავოს კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისაგან (ნეგატიური ვალდებულება), არამედ უნდა უზრუნველყოს მათი დაცვა, მათ შორის მესამე მხარის (ფიზიკური და იურიდიული პირები) მიერ (პოზიტიური ვალდებულება). თუ ევროპულ კონვენციაში განმტკიცებული უფლებები დაირღვა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს დარღვეული უფლებების ეფექტიანი დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დგება თავად სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც ვერ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. თუმცა კონვენციის მრავალი დებულების ძირითადი მიზანია საჯარო ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის აკრძალვა, უდავოა, რომ სახელმწიფოს შეიძლება ასევე დაეკისროს ამ უფლებათა ეფექტიანი დაცვის ვალდებულება.“[194]

საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული და ევროპული ფასეულობების პატივისცემას, ევროპის კონტინენტზე, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს სახით არსებობას და ევროპის საბჭოს სრულუფლებიან წევრობას, სწორედ ამ მიზნით საქართველომ ხელი მოაწერა ,,ადამიანის

---

[193],,European Convention on Human Rights“, Council of Europe, p.34 https://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 28.11.2018

[194] კორკელია კ. ,,ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია: მოკლე მიმოხილვა“, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით“, სამოსამართლო სწავლების ცენტრი, კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე, 2004 წლის თებერვალი, გვ 14.

უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას“, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად.

,,განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტები და თანამედროვე ქართული კანონმდებლობის გამოწვევები“ თემაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი) და ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის“ (პარიზი, 1952 წლის 20 მარტი) იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში.

3.2.1. ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი) და ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის“ (პარიზი, 1952 წლის 20 მარტი) იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში

,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის (პარიზი, 1952 წლის 20 მარტი)“ მე-2 მუხლის სტრუქტურა ორი ნაწილისგან შედგება, პირველი ნაწილით უზრუნველყოფილია განათლების უფლება, ხოლო მეორეთი გარანტირებულია მშობლების უფლება, რომ შვილებს მისცენ განათლება თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისად. დეფინინცია ,,არავის შეიძლება ეთქვას უარი განათლების უფლებაზე“[195] არ უნდა გავიგოთ სახელმწიფოს ვალდებულებად ნებისმიერი მსურველი, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე უზრუნველყოს განათლებით. განათლების უფლება არ არის აბსოლუტური და მისი რეალიზაციისას შესაძლებელია არსებობდეს შეზღუდვები.

[195] ,,European Convention on Human Rights“, Council of Europe, p.34 https://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 28.11.2018.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის თანახმად, ,,ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება",[196] საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს ამ უფლების შეზრუდვის მექანიზმს, კერძოდ, ,,მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება."[197] მოცემულ კონსტიტუციურ ნორმაში ხასგასმულია ,,კანონით დადგენილი წესით მიიღონ", რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით შემოღებულ იქნას რეგულაციები, რომლებიც შეზღუდავს ყოველგვარი წინაპირობების გარეშე საქართველოში პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებას. ასეთი კანონები კი ვერ მიიჩნევა ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის" და ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის" მოთხოვნათა დარღვევად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 1968 წლის 23 ივლისს დაადგინა, რომ ,,განათლების უფლება, ... თავისი ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროებს რეგულირებას სახელმწიფოს მხრიდან, რეგულირებას, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს დროში და ადგილში საზოგადოებისა და კერძო პირების ინტერესების შესაბამისად. რა თქმა უნდა, ასეთმა რეგულირებამ არასოდეს არ უნდა შელახოს განათლების უფლების არსი, ისევე, როგორც არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონვენციით განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა უფლებას."[198] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია" სახელმწიფოებს ანიჭებს უფლებამოსილებას განათლების უფლების უზრუნველყოფისას, შემოიღონ რეგულაციები, რომლებიც დააწესებენ წინაპირობებს პროფესიული ან უმაღლესი

---

[196] იხ. ,,საქართველოს კონსტიტუცია" 27-ე მუხლის პირველი პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

[197] იხ. იქვე, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[198] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1968 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე ,,ბელგიაში განათლების სფეროში ენების გამოყენების შესახებ კანონების გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებით", გვ. 32, პუნქტი 5.

განათლების მიღების უფლების მოსაპოვებლად და მისი დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში უარი უთხრან შესაბამისი განათლების მიღებაზე.

,,ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავის პრეცედენტულ სამართალში ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი პირველი ოქმის მე-2 მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით გაცხადებული აქვს შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- ,,განათლების ფუნდამენტურ უფლებაში გათვალისწინებულია პატივისცემა მშობელთა უფლებისა - უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება. პირველი წინადადება, ისევე როგორც მეორე, სახელმწიფო და კერძო სწავლებას შორის რაიმე განსხვავებას არ ადგენს. 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის მეორე წინადადების მიზანია განათლების სისტემაში პლურალიზმის დაცვა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია „დემოკრატიული საზოგადოების" შესანარჩუნებლად, როგორც ეს კონვენციითაა გათვალისწინებული. თანამედროვე სახელმწიფოს ძალაუფლების გათვალისწინებით, ამ მიზნის რეალიზება, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო სწავლების მეშვეობით უნდა მოხდეს.
- 1-ლი ოქმის მე-2 მუხლი რელიგიის სწავლებასა და სხვა საგნებს შორის განსხვავების დადგენის ნებას არ იძლევა. იგი სახელმწიფოებს ავალებს სახელმწიფო განათლების მთელ პროგრამაში პატივი სცენ მშობელთა მრწამსს, იქნება ეს რელიგიური თუ ფილოსოფიური ... ეს ფართო ფარგლების მქონე მოვალეობაა, რადგან იგი ეხება არა მხოლოდ განათლების შინაარსსა და მისი გადაცემს ფორმას, არამედ ასევე სახელმწიფოზე დაკისრებული ყველა ,,ფუნქციის" შესრულებას. გამოთქმა ,,პატივს სცემს" უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ზმნები ,,აღიარებს" ან ,,ითვალისწინებს". ძირითადად ნეგატიური ვალდებულების გარდა, იგი სახელმწიფოს გარკვეულ პოზიტიურ ვალდებულებასაც აკისრებს. ტერმინი ,,მრწამსი", ცალკე აღებული, არ არის სინონიმი სიტყვებისა ,,მოსაზრება" ან ,,იდეა". იგი მიუთითებს შეხედულებებზე, რომლებიც დამაჯერებლობის, სერიოზულობის, ერთიანობის და მნიშვნელობის გარკვეულ დონეს აღწევენ.
- 1-ლი ოქმის მე-2 მუხლი წარმოადგენს ყველაფერს, რისი დომინირებაც ხდება პირველი წინადადებით. ხელშემკვრელი სახელმწიფოები, რომლებმაც ვალდებულება

აიღეს ,,უარი არ უთხრან განათლების უფლებაზე", თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველას უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო ინსტიტუტებზე ხელმისაწვდომობის უფლებით, რომლებიც მოცემულ დროს არსებობს, და ისარგებლონ მიღებული განათლებით, მათ მიერ დასრულებული სწავლბის ოფიციალურად აღიარების მეშვეობით.

- ბავშვთა ,,განათლებასა და სწავლებაზე" უპირველესი პასუხისმგებლობა მშობელთა ბუნებრივი მოვალეობაა, რომლის განხორციელებისას მათ შეუძლიათ სახელმწიფოს მოსთხოვონ თავიანთი რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსის პატივისცემა. ამრიგად, მათი უფლება შეესაბამება პასუხისმგებლობას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული განათლების უფლებით სარგებლობასთან და მის განხორციელებასთან.

- მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური ინტერესები ზოგჯერ შეიძლება ჯგუფურ ინტერესებს ექვემდებარებოდეს, დემოკრატია უბრალოდ არ ნიშნავს, რომ უმრავლესობის შეხედულებები ყოველთვის უნდა პრევალირებდეს: აუცილებელია წონასწორობის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს უმცირესობათა მიმართ სამართლიან და ჯეროვან მოპყრობას და თავიდან აიცილებს დომინირებული პოზიციის ბოროტად გამოყენებას.

- თუმცა პროგრამის შემუშავება და დაგეგმვა, პრინციპში, სახელმწიფოს კომპეტენციაში შედის. იგი ძირითადად რაციონალურობის საკითხებს მოიცავს, რომლებზედაც სასამართლო რაიმე დადგენილებას ვერ მიიღებს და, რომელთა გადაჭრის გზები შეიძლება ლეგიტიმურად იცვლებოდეს ქვეყნის ან ეპოქის შესაბამისად, კერძოდ, 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის მეორე წინადადება სახელმწიფოს ხელს არ უშლის სწავლების ან განათლების საშუალებით გადასცეს პირდაპირი ან არაპირდაპირი რელიგიური ან ფილოსოფიური სახის ინფორმაცია ან ცოდნა. იგი მშობლებს იმის უფლებასაც არ აძლევს შეეწინააღმდეგონ ასეთი სწავლების ან განათლების სასკოლო პროგრამაში ჩართვას, რადგან, სხვა შემთხვევაში, ყველა ინსტიტუციონალიზებული სწავლების განხორციელება რისკის ქვეშ დადგებოდა.

➢ მეორე მხრივ, 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის მეორე წინადადება გულისხმობს, რომ, სახელმწიფომ, განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულებისას, უნდა იზრუნოს, რომ პროგრამაში ჩართული ინფორმაციისა და ცოდნის გადაცემა ხდება ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტული გზით. სახელმწიფოს ეკრძალება ინდოქტრინაციის სახით სწავლება, რომელიც შესაძლოა მიჩნეული იქნეს, როგორც მშობელთა რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის უპატივცემულობა. ეს ის ფარგლებია, რომლებიც არ უნდა დაირღვეს.“[199]

,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი პირველი ოქმის მე-2 მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ თავის პრეცედენტულ სამართალში გაცხადებული პრინციპების იმპლემენტირებულია საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ:

,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქრთველოს კანონის თანახმად, ,,დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. ეს ნორმა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.“[200] სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა. სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება.“[201]

---

[199] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე ,,ფოლგერო და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ“, (განაცხადი N15472/02), პუნქტი 84;

[200] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

[201] იხ. იქვე, მე-13 მუხლის მე-6-7 პუნქტები.

,,მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს კანონით დადგენილი წესით აქვთ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ნებისმიერი ან არც ერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის უფლება. დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, თუ ეს არ ლახავს სხვათა უფლებებს, ან ხელს არ შეუშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის დაძლევას. საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არ უნდა ემსახურებოდეს არააკადემიურ მიზნებს. საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას.“[202] ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია უზრუნველყოს მოსწავლეები სასკოლო ბიბლიოთეკით, რომელიც ეფუძნება მოსაზრებათა პლურალიზმს და უზრუნველყოფს მოსწავლის ყოველმხრივ განვითარებას, მის მიერ ქვეყნის თვითმყოფადობის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და კულტურული მრავალფეროვნების შეთვისებას.“[203] ,,ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის. დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა. ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ქმნის ზოგადი განათლების სისტემას და სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.“[204]

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღიაობას, აკადემიურ თავისუფლებას, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, აკადემიური პერსონალის,

[202] იხ. იქვე, მუხლი 18..
[203] იხ. იქვე, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტი.
[204] იხ. იქვე, მე-9 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შესრულების კონტროლის პროცესში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის და ამ დაწესებულებაში კონკურსების საჯაროობასა და გამჭვირვალობას, უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის, აკადემიური, ეთნიკური, სოციალური ან რელიგიური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესისა და სხვა ნიშნით."[205]

3.3. „განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ" კონვენცია[206]

იუნესკოს კონვენცია ,,განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ" (UNESCO, ქ. პარიზი, 1960 წლის 14 დეკემბერი) საქართველოსთვის ძალაშია 1993 წლის 4 ნოემბრიდან.[207] აღნიშნულ კონვენციასთან მიერთებით საქართველომ იკისრა ვალდებულება, აკრძალოს განათლების სფეროში ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია და უზრუნველყოს განათლების მიღების თანასწორი შესაძლებლობების დამკვიდრება.[208]

3.3.1. ,,განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ" იუნესკოს კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში

კონვენციასთან მიერთებით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულების (აკრძალოს განათლების სფეროში ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია და უზრუნველყოს განათლების მიღების თანასწორი შესაძლებლობების დამკვიდრება,)

---

[205] იხ. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, 21/12/2004. მე-3 მუხლის მე-3პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=75 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

[206] იხ. ლომინაშვილი დ. ,,კონვენცია „განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ" UNESCO, ქ. პარიზი, 1960 წლის 14 დეკემბერი. იუნესკოს კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში", თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ორენოვანი სამეცნიერო ,,სამართლის ჟურნალის" 2019 წლის N1 ქართულენოვანი გამოცემა, გვ.46-60. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/2019-1-LAWJOUR-GEO.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 30.03.2020.

[207] იხ. http://unesco.ge/?page_id=534, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.11.2018.

[208] იხ. Convention against Discrimination in Education, http://www.unesco.org/education/pdf/DISCRI_E.PDF უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.11.2018

იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში მიზანშეწონილია განვიხილოთ განათლების ხელმისაწვდომობის, განათლების დაფინანსების, ინკლუზიური განათლების, ეროვნულ უმცირესობების განათლების უფლებების და რელიგიური და პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის კუთხით.

რა არის განათლების დისკრიმინაცია? საგანმანათლებლო გარემოში არსებობს ინდივიდუალური დისკრიმინაციის რიგი მეთოდები. მაგალითად, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეიძლება უარი განაცხადონ კონკრეტული რასის წარმომადგენლების ჩარიცხვაზე. მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელმისაწვდომი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის სტუდენტებისთვის განათლების ხელმისაწვდომობა, ასვე, განათლება თანაბრად იყოს უზრუნველყოფილი ორივე სქესისთვის, მათ შორის სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა.[209]

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძირითადად არსებობს დისკრიმინაციის ოთხი მთავარი ტიპი: პირდაპირი დისკრიმინაცია, არაპირდაპირი დისკრიმინაცია, შევიწროება და მსხვერპლი.[210]

პირდაპირი დისკრიმინაციაა, როცა ბავშვს ექცევიან არასათანადოდ და განასხვავებენ მას სქესის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის, რასის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური მრწამსის და ასაკის გამო. მსგავსი ქმედება უკანონოა, როცა ბავშვს განასხვავებ და ფიქრობ, რომ ქმედუუნაროა და რაიმე კონკრეტული სამუშაოს შესრულებას ვერ შეძლებს.[211]

არაპირდაპირი დისკრიმინაციაა, როდესაც პოლიტიკა ან პრაქტიკა უფრო მეტ ცუდ გავლენას ახდენს ბავშვების კონკრეტულ ჯგუფებზე ვიდრე სხვები. კანონმდებლობით დაცული ჯგუფები მოიცავენ გარკვეულ ჯგუფებს მათი სქესის, რასის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიის ან რწმენის ან ასაკის მიხედვით. როდესაც არაპირდაპირი

---

[209] იხ. Discrimination in Education (იხ. https://civilrights.findlaw.com/discrimination/discrimination-in-education.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.05.2019).

[210] იხ. Discrimination in schools, https://www.stephensons.co.uk/site/individuals/education/discriminationasagroundforappeal, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.05.2019.

[211] იხ. იქვე.

დისკრიმინაცია უკავშირდება ქმედუუნარობას, გონივრული რეგულაციები უნდა განხორციელდეს ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს დისკრიმინაციის ფაქტს.[212]

შევიწროვებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როცა სკოლაში ხდება შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული არასასურველი ქმედება, რომელსაც აქვს მიზანი ან ეფექტი იძალადოს მოსწავლის ღირსებაზე ან შექმნას ღირსების შემლახავი, მტრული, შეურაცხმყოფელი ან გამაღიზიანებელი გარემო მოსწავლისათვის. მოსწავლეს შეიძლება არ ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობა, მაგრამ არასწორად იყოს ასოცირებული ისეთთან რომლსაც აქვს შეზღუდული შესაძლებლობა.[213]

ვიქტიმიზაციაა, როდესაც სკოლის მხრიდან ადგილი აქვს ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელიც მოსწავლეს არ აძლევს წარმატების მიღწევის საშუალებას. მსგავსი ქმედება სკოლის მხრიდან შეიძლება იმის გამო იყოს ჩადენილი, რომ მოსწავლის მშობელი ან დედმამიშვილი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. ასეთი მოსწავლეები ძირითადად ასოცირდებიან როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რის გამოც არიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი.[214]

3.3.1.1. განათლების ხელმისაწვდომობა

,,განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ იუნესკოს კონვენციის დებულებები ასახულია საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. საქართველოში განათლების სფეროში დისკრიმანიციის აკრძალვა უზრუნველყოფილია საკანონმდებლო დონეზე. საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის თანახმად, ,,ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება”[215].

,,საქართველოს კონსტიტუცია აღნიშნული დებულებით განათლების სფეროში ამკვიდრებს კონსტიტუციური თანასწორობის პრინციპს. ყველა, მათ შორის, უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც იმყოფებიან საქართველოში, თანასწორნი

---

[212] იხ. იქვე.
[213] იხ. იქვე.
[214] იხ. იქვე.
[215] იხ. ,,საქართველოს კონსტიტუცია” 27-ე მუხლის პირველი პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.05.2019.

არიან (ანუ აქ მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფუძემდებლური კონსტიტუციური პრინციპი) და აკრძალულია ყოველგვარი დისკრიმინაციული ღონისძიებები მათ მიმართ განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევაში."[216]

,,განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ" იუნესკოს კონვენციის მოთხოვნის შესაბამისად, ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი ადგენს, რომ ,,ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის. დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა."[217]

განათლების საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპიდან გამომდინარე, ,,სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის მიერ მის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს ზოგადი განათლების სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას."[218]

საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ,,დაუშვებელია, რომ საჯარო სკოლამ დააწესოს ბარიერები მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით და მიიღოს მხოლოდ სასკოლო მზაობით გამორჩეული ან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები."[219]

,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ,,ყველას აქვს უფლება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული განათლების მიღების უფლებით. პროფესიულ სტუდენტს, მსმენელს, აგრეთვე პროფესიული განათლების მასწავლებელს და მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ, დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლონ

---

[216] იხ. ქანთარია ბ., განათლების უფლების კონსტიტუციური პრინციპი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი გამომცემლობა შპს „პეტიტი", თბილისი, 2013, გვ. 426.

[217] იხ. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს პარლამენტი 08/04/2005.

[218] იხ. იქვე მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

[219] იხ. ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-11 მუხლი.

საქართველოს კანონმდებლობითა და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით.“[220]

,,პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონი არა მარტო ადეკლარირებს პროფესიული განათლების სფეროში დისკრიმინაციის აკრძალვას, არამედ ქმნის სამართლებრივ მექანიზმებს, იმ პირთა სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის და სთავაზობს მათ სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების მოდულს, რომლის მიზანია სახელმწიფო ენის სწავლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის დაძლევის მიზნებისთვის.[221]

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღიაობას, მათ შორის, მსჯავრდებულისთვის; უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში და უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით.[222]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის 2 მაისს (ქუთაისი, N2391-IIს) საქართველოს პარლამენტის მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. აღნიშნული კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური

---

[220] იხ. პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, საქართველოს პარლამენტი 20/09/2018.

[221] იხ. იქვე მე-3 მუხლის ,,ჩ“ ქვეპუნქტი.

[222] იხ. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს პარლამენტი 21/12/2004.

კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად. ამავე კანონის თანახმად, თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება აგრეთვე სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, მათ შორის განათლების ხელმისაწვდომობაზე.[223]

ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმების შინაარსი ცხადყოფს, რომ ,,განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ" იუნესკოს კონვენციის მე-3 მუხლის ,,ე" ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფს უცხო ქვეყნის მოქალაქეების თანაბარ ხელმისაწვდომობას განათლებაზე,[224] საქართველოს მხრიდან საკანონმდებლო დონეზე შესრულებულია და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, თანაბარი ხელმისაწვდომობა, როგორც პრინციპი, გარანტირებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რაც გულისხმობს იმას, რომ საჯარო სკოლას უფლება არა აქვს უარი უთხრას ან შექმნას დამატებითი ბარიერი ზოგადი განათლების მისაღებად.

3.3.1.2. განათლების დაფინანსება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ,,ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება."[225].

,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლებას ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით აფინანსებს სახელმწიფო. სახელმწიფოს მიერ მოსწავლის განათლების დაფინანსება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან

---

[223] იხ. დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი, პირველი მუხლი და მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი. 02/05/2014.

[224] იხ. Convention against Discrimination in Education http://www.unesco.org/education/pdf/DISCRI_E.PDF უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.11.2018.

[225] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 27, მე-2 პუნქტი, საქართველოს პარლამენტი 24/08/1995.

ხორციელდება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით. სტანდარტული და გაზრდილი ვაუჩერების ოდენობები განისაზღვრება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონისათვის მაქსიმალური დატვირთვის მიხედვით, განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ მოსწავლეთა ფინანსური შესაძლებლობების შესაბამისად, განათლების მიღების უფლების უზრუნველყოფაში თანასწორობის პრინციპის დაცვით.[226]

მიუხედავად იმისა, რომ ,,განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ" იუნესკოს კონვენციის მე-3 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დაფინანსების სფეროში განსხვავებული და არათანაბარი მოპყრობა აკრძალულია,[227] ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს (რომელიც ითვალისწინებს ზოგადი განათლების გაზრდილი ვაუჩერით ან/და დამატებითი დაფინანსებით უზურნველყოფას[228] და საქართველოს მთავრობას ანიჭებს უფლებამოსილებას დაამტკიცოს ,,ერთ მოსწავლეზე გათვლილ ფინანსურ ნორმატივები და მათი შესაბამისი სტანდარტული და გაზრდილი ვაუჩერების ოდენობები"[229]) ვერ განვიხილავ კონვენციით აღებული ვალდებულებების დარღვევად, ვინაიდან გაზრდილი ვაუჩერით ან/და დამატებითი დაფინანსებით უზურნველყოფა ხორციელდება მხოლოდ სპეციალური საჭიროების შემთხვევაში, თანასწორობის პრინციპის დაცვით. საჯარო სკოლებისათვის, რომლებიც სწავლებას ახორციელებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივი და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი გამოითვლება საჯარო სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე. დამატებითი დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილია აგრეთვე მცირეკონტიგენტიანი საჯარო

---

[226] იხ. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, 22-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, საქართველოს პარლამენტი 08/04/2005.

[227] იხ. Convention against Discrimination in Education, http://www.unesco.org/education/pdf/DISCRI_E.PDF უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.11.2018.

[228] იხ. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, 22-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი 08/04/2005.

[229] იხ. იქვე 25-ე მუხლი.

სკოლა, რომელშიც ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულების ხარჯები აღემატება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივით დაფინანსების მოცულობას. [230]

აღსანიშნავია, რომ ,,განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ იუნესკოს კონვენციის მე-3 მუხლის ,,გ” ქვეპუნქტის მოთხოვნა, საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში, დაცულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართაც, ,,ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული ,,დაფინანსება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეზე, დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის მქონე პირზე, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეზე (მათ შორის, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქეზე), მოქალაქეობის არმქონე პირსა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირზე.“ [231]

საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ,,პროფესიული განათლების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამისა და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის დაფინანსებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სფეროში უფლებამოსილი სამინისტროები და მუნიციპალიტეტები. პროფესიული განათლების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამისა და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის დაფინანსება საქართველოს

[230] იხ. ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილება.

[231] იხ. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, 22-ე მუხლის მე-7 პუნქტი, საქართველოს პარლამენტი 08/04/2005.

კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება განახორციელონ აგრეთვე სხვა უწყებებმა და ორგანიზაციებმა.“[232]

თანასწორობის პრინციპის დაცვის საფუძველზე ჩამოყალიბებულია აგრეთვე უმაღლესი განათლების დაფინანსების ზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ, სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქესა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირს, რომლებიც უმარლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ჩაირიცხნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, მათ შორის, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სამაგისტრო გრანტის გაცემა შესაძლებელია სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტების დაფინანსების წლიური მოცულობის არაუმეტეს 2%-ის ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული სახელმწიფო პროგრამით.[233]

მიუხედავად იმისა, რომ ,,განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ იუნესკოს კონვენციის მე-3 მუხლის ,,გ” ქვეპუნქტის შესაბამისად, დაფინანსების სფეროში განსხვავებული და არათანაბარი მოპყრობა აკრძალულია,[234] „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 80-ე მუხლის მე-2 პუნქტს და 80[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტს (რომლებიც ითვალისწინებენ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, მათ შორის, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სამაგისტრო გრანტის გაცემას სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტების დაფინანსების წლიური მოცულობის არაუმეტეს 2%-

---

[232] იხ. პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი, 30-ე მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს პარლამენტი 20/09/2018.

[233] იხ. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, 80-ე და 80[1]-ე მუხლები, საქართველოს პარლამენტი 21/12/2004.

[234] იხ. Convention against Discrimination in Education, http://www.unesco.org/education/pdf/DISCRI_E.PDF უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.11.2018.

ის ფარგლებში) უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ, ვერ განვიხილავთ ,,განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ იუნესკოს კონვენციით აღებული ვალდებულებების დარღვევად, ვინაიდან აღნიშნული რეგულაციის გათვალისწინებით, მაგალითად 2013 წლიდან 2018 წლამდე, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოცულობა შეადგენს 240 000 ლარს, ხოლო საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოცულობა შეადგენს 45 000 ლარს. აღნიშნული თანხებით საბაკალავრო პროგრამებზე შესაძლებელია გაიცეს გრანტი 106 სტუდენტზე, ხოლო სამაგისტრო პროგრამებზე 20 სტუდენტზე.[235]

---

[235] იხ. 2013-2014 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოცულობებისა და ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის №66 დადგენილება.
2014-2015 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №248 დადგენილება.
2015-2016 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის №180 დადგენილება.
2016-2017 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №158 დადგენილება.
2017-2018 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის №359 დადგენილება.
2013-2014 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობისა და ოდენობების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების განსაზღვრის, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასა და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებას შორის გრანტის წლიური მოცულობის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის განაწილების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 თებერვლის №65 დადგენილება.
2014-2015 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობისა და ოდენობების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების განსაზღვრის, თითოეულ საგანმანათლებლო
პროგრამულ მიმართულებასა და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებას შორის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო

უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა 2013 წლიდან 2018 წლამდე შეადგენდა:[236]

საფეხური	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ბაკალავრიატი	39	42	40	25	42
მაგისტრატურა	3	3	9	13	11

პროგრამული მიმართულებებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის განაწილების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №163 დადგენილება.

2015-2016 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობისა და ოდენობების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების განსაზღვრის, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასა და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებას შორის, სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის განაწილების შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის №85 დადგენილება.

2016-2017 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობისა და ოდენობების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების განსაზღვრის, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასა და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებას შორის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის განაწილების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №97 დადგენილება.

2017-2018 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობისა და ოდენობების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების განსაზღვრის, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასა და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებას შორის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის განაწილების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 მარტის №131 დადგენილება.

[236] აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის *მ. შუხოშვილის* 2018 წლის 27 ნოემბრის N MES61801523368 წერილით.

ზემოთ მოყვანილ მონაცემებში ნათლად ჩანს, რომ ყოველწლიურად სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა ნაკლებია გამოყოფილი თანხის ოდენობაზე. შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე უმაღლესი განათლების დაფინანსების სფეროში არათანაბარ მოპყრობას ადგილი არ აქვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში კანონის დონეზე დაფინანსების სფეროში დისკრიმინაციის აკრძალვა უზრუნველყოფილია.

3.3.1.3. ინკლუზიური განათლება

საქართველოში ინკლუზიური სწავლების პრინციპის დანერგვა შესაძლებელია მივიჩნიოდ განათლების სფეროში დისკრიმინაციის აკრძალვის და განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფად.

,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი ქმნის სამართლებრივ საფუძვლებს ინკლუზიური განათლების დანერგვისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის განათლების უფლების რეალიზაციის თანაბარ შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის. ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, სენსორული დარღვევის მიმართულებით სპეციალიზებულ სკოლაში, სადაც განათლებას იღებენ სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეები, გამოიყენება ჟესტების ენა და მისი ანალოგები, ხოლო სენსორული დარღვევის მიმართულებით სპეციალიზებულ სკოლაში, სადაც განათლებას იღებენ მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეები, გამოიყენება ბრაილის სისტემა. ინკლუზიური სწავლების პრინციპის დანერგვის მიზნის მისაღწევად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უფლებამოსილია შეიმუშაოს ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი.[237]

[237] იხ. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტი 08/04/2005.

საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანი კი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილებაა.[238]

საქართველოში პროფესიული განათლების სფეროში დისკრიმინაციის აკრძალვის მექანიზმებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც ითვალისწინებს: თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის უზრუნველყოფილია ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით პროფესიული განათლების მიღება. ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობა, აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობა. პროფესიული განათლების მიღების დროს სმენის დარღვევის მქონე პროფესიული სტუდენტის ან/და მსმენელის, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ქართული ჟესტური ენა, მხედველობის დარღვევის მქონე პროფესიული სტუდენტის ან/და მსმენელის, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ბრაილის სისტემა.[239]

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის აწესებს შეღავათებს მათი სრულფასოვანი

[238] იხ. ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი.
[239] იხ. პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტი 20/09/2018.

განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად და ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად.[240]

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს ვერ მოიპოვებს დაწესებულება, თუ მას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის/სტუდენტებისათვის.[241]

3.3.1.4. ეროვნულ უმცირესობების განათლების უფლებები

დისკრიმინაციის აკრძალვის მიზნებს ემსახურება ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვით, საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება. გარდა ამისა, პირი, რომელიც სწავლობს არაქართულენოვან ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებაში ან რომელმაც ექსტერნატის ფორმით ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე დაძლია რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე, უფლებამოსილია სკოლის გამოსაშვები გამოცდები ჩააბაროს ქართულ, რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე.[242] შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა ქმნის განათლების ხელმისაწვდომობისა და უმცირესობათა ენებზე განათლების მიღების გარანტიებს. აღნიშნული სამართლებრივი რეგულირება შეესაბამება ,,განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ" იუნესკოს კონვენციის მე-5 მუხლის ,,გ" პუნქტს.

---

[240] იხ. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტი და 43-ე მუხლი მესამე პუნქტი, საქართველოს პარლამენტი 21/12/2004.

[241] იხ. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება..

[242] იხ. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტი 08/04/2005.

იმ პირთა სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის და პროფესიული განათლების მიღებაში ხელშეწყობის მიზნით, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების მოდულს.[243]

გარდა ამისა, უმცირესობების ინტერესთა დაცვას ემსახურება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლება სავალდებულოა პირველი სასწავლო წლის განმავლობაში ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეებისათვის. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსაც ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად.[244]

3.3.1.5. რელიგიური და პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა

,,განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ" იუნესკოს კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გარანტირებულია საჯარო სკოლების დამოუკიდებლობა რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლების დამოუკიდებლობა პოლიტიკური გაერთიანებებისაგან. კანონით

[243] იხ. პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის ,,ჩ" ქვეპუნქტი, საქართველოს პარლამენტი 20/09/2018.
[244] იხ. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტი 21/12/2004.

აკრძალულია სასწავლო პროცესის პოლიტიზება, აგრეთვე სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება.[245] აგრეთვე, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი კრძალავს უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარ დისკრიმინაციას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით. პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულების შექმნას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს თანასწორი მოპყრობა განურჩევლად პირის პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა.[246]

განსხვავებით ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი არ შეიჩავს იმ ნორმებს რომლებიც პირდაპირ კრძალავს პროფესიულ განათლებაში დისკრიმინაციას რელიგიური და პოლიტიკური ნიშნით. თუმცა ადგენს ზოგად ნორმას, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კაონის თანახმად, პროფესიულ სტუდენტს, მსმენელს, აგრეთვე პროფესიული განათლების მასწავლებელს და მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ, დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობითა და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით.[247]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ,,განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ" იუნესკოს კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დისკრიმინაციის ერთ-ერთ სახეს განეკუთვნება რასობრივი დისკრიმინაცია. რასობრივი დისკრიმინაცია დაკავშირებულია რასასთან,

---

[245] იხ. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტი 08/04/2005.

[246] იხ. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი მე-3 და მუხლი 16-ე, საქართველოს პარლამენტი 21/12/2004.

[247] იხ. პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს პარლამენტი 20/09/2018.

კანის ფერთან, ეროვნულ წარმომავლობასთან. დისკრიმინაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნებისმიერ ასაკში, დაწყებული სკოლამდელი პერიოდიდან გაგრძელებული უმაღლეს სასწავლებლამდე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მასწავლებლის, დაწესებულების ადმინისტრაციის ნებისმიერი თანამშრომლის ან სხვა სტუდენტების/მოსწავლეების მიერ.[248] იმისათვის რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული რასობრივი დისკრიმინაცია და გამოერიცხათ არამეგობრული საგანმანათლებლო გარემოს არსებობა, ფედერალურმა მთავრობამ დააფუძნა ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი აქტი, რომელმაც კანონგარეშედ გამოაცხადა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის ან ეროვნული წარმოშობის მიხედვით. გაუქმდა არათანაბარი საარჩევნო უფლებები, რასობრივი სეგრეგაცია სკოლებში. სამოქალაქო უფლებების აქტს ხელი მოაწერა აშშ-ის პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა თეთრ სახლში 1964 წლის 2 ივლისს.[249]

1964 წლის სამოქალაქო უფლებების აქტის VI თავის თანახმად ნებისმიერი სკოლას, რომელიც იღებს სახელმწიფოსგან დაფინანსებას, არ აქვს უფლება დისკრიმინაცია გაუწიოს ნებისმიერ სტუდენტს რასის, კანის ფერისა და ეროვნული კუთვნილების გამო. აღნიშნული VI თავი მიძღვნილია სკოლებში რასობრივი დისკრიმინაციის საგამომძიებლო ორგანოს შექმნით, რომელსაც ჰქვია სამოქალაქო უფლებების ოფისი, რომელიც იკვლევს რასობრივი დისკრიმინაციის საკითხებს. აღნიშნული ოფისი იკვლევს ფაქტებს სკოლის მხრიდან არამეგობრული დისკრიმინაციული გარემოს შექმნაზე, რომელიც მოსწავლეებს ხელს შეუშლის ადეკვატური განათლების მიღებაში. თუ სკოლა ახორციელებს დისკრიმინაციას, მან შეიძლება დაკარგოს სახელმწიფოსგან მიღებული დაფინანსება და ასევე დაჯარიმებულ იქნეს სამთავრობო სანქციებით.[250]

---

[248] იხ. Racial Discrimination in Education, https://law.freeadvice.com/government_law/civil_rights_law_ada/race-discrimination-education.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.05.2019.

[249] იხ. სამოქალაქო უფლებების აქტი (1964) https://ka.wikipedia.org/wiki/სამოქალაქო_უფლებების_აქტი_(1964) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.05.2019.

[250] იხ. Racial Discrimination in Education, https://law.freeadvice.com/government_law/civil_rights_law_ada/race-discrimination-education.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.05.2019.

ხშირად მასწავლებლის მხრიდან დისკრიმინაცია უკავშირდება კლასის შიდა დისციპლინას. ბევრი ასეთი შემთხვევა შეიცავს მასწავლებლის მხრიდან კონკრეტული მოსწავლის უფრო მკაცრად დასჯას, იმის გამო რომ ეს მოსწავლე უმცირესობის სტატუსის მატარებელია. ეს განსაკუთრებით ჩვეულია აფრო ამერიკელთა/ლათინო სტუდენტებთან მიმართებით, განსაკუთრებით კი უმაღლეს სკოლაში. მასწავლებლებთან დაკავშირებული დისკრიმინაციის ფორმები შეიძლება გამოიხატოს არასამართლიანი ნიშნების დაწერაში. ასევე, განსაკუთრებულად პრობლემატურია სხვა სტუდენტების მიერ დისკრიმინაციის მსხვერპლი პირების მიმღებლობის საკითხშიც. ძირითად შემთხვევებში სხვა მოსწავლეების/სტუდენტების მხრიდან დისკრიმინაციის ფაქტის გამოვლენაზე მასწავლებლები არ ახორციელებენ სათანადო რეაგირება, ისინი არ სჯიან იმ მოსწავლეებს/სტუდენტებს, რომლთა მხრიდანაც ადგილი აქვს დისკრიმინაციას.[251]

ადმინისტრატორებთან დაკავშირებული დისკრიმინაცია უფრო ჩვეულია ვიდრე მასწავლებლების მხრიდან. დაწყებით და საშუალო სკოლებში ადმინისტრატორებმა შეიძლება ძალიან ხშირად ზედმეტად დასაჯონ უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები. უფრო ხშირია შემთხვევები როცა სკოლიდან ითხოვენ ან საერთოდ რიცხავენ უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებს ვიდრე უმრავლესობის წარმომადგენელ სტუდენტებს. ზემოხსენებული სამოქალაქო უფლებების აქტის VI თავი კერძო სკოლებს აჯარიმებს როდესაც ისინი უარს ეუბნებიან სტუდენტებს თავიანთ პროგრამებზე მიღებაზე და ასევე, იმის გამო, რომ ისინი არ ახორციელებენ პოზიტიურ დისკრიმინაციას, იმ სტუდენტების მიმართ, რომლებიც მანამდე უკვე იყვნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი.[252]

განათლების სფეროში რასობრივი დისკრიმინაციის ყველაზე ჩვეული ფორმაა, შევიწროვება თვითონ სტუდენტების მიერ. ზემოაღნიშნული სამოქალაქო უფლებების ოფისი აქვეყნებს ისეთი რასობრივად მოტივირებული ინციდენტების შემთხვევებს, რომელიც გულისხმობს ფიზიკურ შეტევებს, რასობრივი ეპითეტების დაძახებას, წარწერა სკოლის კედლებზე და ორგანიზებულ სიძულვილის აქტივობებს, რომლებიც მიემართება

[251] იხ. იქვე.
[252] იხ. იქვე.

ცალკეული სტუდენტების მიმართ. ის ჩაკეტილი ინციდენტები, რომლებიც მოსწავლეების მიერ ხდება სკოლაში შეიძლება არ იყოს გამოძიების საგანი, მაგრამ თუკი მსგავს ქმედებას ექნება განმეორებითი ხასიათი და არანაირი შედეგი არ მოყვება დამრღვევი პირის მიმართ, აქ უკვე საქმეში ერთვება სამოქალაქო უფლებების ოფისი, რომელიც გამოიძიებს ამ შემთხვევას.[253]

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, თბილისის ერთ-ერთ სკოლაში მომხდარი ფაქტი, როდესაც სიტყვიერი შეურაცყოფა მოხდა თეთრკანიან და ფერადკანიან მოსწავლეს შორის.

აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებითაც სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა რასობრივი დისკრიმინაციას. კერძოდ, მიიჩნია, რომ იმის დასადგენად ადგილი ჰქონდა თუ არა შევიწროვებას, მნიშვნელოვანია მოპყრობის აღქმა მსხვერპლის მიერ. სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აუცილებელი არ არის იმის მტკიცება ჰქონდა თუ არა ქმედების ჩამდენს „რასისტული“ იდეები, რადგან შეუძლებელია პირის დამოკიდებულების განსაზღვრა მისი ქმედების მიმართ. მნიშვნელოვანია თავად ქმედება, რომელშიც შესაძლებელია ამგვარი დამოკიდებულება გამოიხატოს.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველო წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის წევრ ქვეყანას, რომლის მიმართ მოქმედებს მათ შორის ,,განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ იუნესკოს კონვენციის მე-14 მუხლის, რომლიც კრძალავს დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმით გამოყენებას. ამ მხრივ მხედველობაშია მისაღები ევროსასამართლოს პრაქტიკა, საქმეზე „Savez crkava "Rijec Zivota" and others v. Croatia"[254] სასამართლომ განმარტა, რომ დისკრიმინაცია ფართო განმარტებას ექვემდებარება, კერძოდ მე-12 ოქმის პირველი მუხლი დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვას ითვალისწინებს და მისი დაცვა არ შემოიფარგლება მხოლოდ „კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით“, როგორც ამას დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველი პუნქტის ტექსტი გვთავაზობს. სწორად

[253] იხ. იქვე.

[254] იხ. ევროსასამართლოს გადაწყვეტილება: „Savez crkava "Rijec Zivota" and others v. Croatia" (განაცხადი #7798/08, 2010 წლის 09 დეკემბერი).

ამგვარ ფართო განმარტებას ემსახურება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტები.[255]

განათლების მიღების უფლება დაცულია კონსტიტუციით. კანონმდებლობა კრძალავს დისკრიმინაციას განათლების სფეროში და აღიარებს განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, როგორც დაწყებით და საშუალო, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე იცავს ყველა მოსწავლეს არასათანადო მოპყრობისა და ძალადობისგან. კანონის მე-13 მუხლი, რომელიც დისკრიმინაციის აკრძალვას ეხება, ავალდებულებს სკოლას დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას. განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა. ამავე კანონის, მე-20 მუხლით დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან.[256]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს კანონმდებლობით აღიარებული რომელიმე უფლებით ან სიკეთით სარგებლობასთან მიმართებით, რამეთუ ცალკე აღებული დისკრიმინაციის ინსტიტუტი დამოუკიდებელ დაცვას არ ექვემდებარება. ამდენად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის უნდა არსებობდეს დაცული სფერო-უფლება რომელშიც ხდება ჩარევა, კომპარატორი-ანალოგიურ ან არსებითად მსგავს ურთიერთობაში მყოფი პირი და ამ ორ პირს შორის მთავარი განსხვავება წარმოადგენს ე.წ. „დაცულ სფეროს“. როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი დისკრიმინაციისას საჭიროა კომპარატორის მოძიება, რათა დადგინდეს

[255] იხ. საქართველოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება; საქმე N2ბ/5499-17.
[256] იხ. იქვე.

კონკრეტული წესის კრიტერიუმის, თუ პრაქტიკის გავლენა გაცილებით უარყოფითია თუ არა ანალოგიურ სიტუაციაში მყოფ პირებთან შედარებით.[257]

3.4. ,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი

,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ” საერთაშორისო პაქტი ,,მიღებულია და ღიაა ხელმოსაწერად, სარატიფიკაციოდ და შესაერთებლად გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200A(XXI) რეზოლუციით ძალაშია: 1976 წლის 3 იანვრიდან, 27–ე მუხლის შესაბამისად.”[258]

,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ” საერთაშორისო ,,პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის განათლების მიღების უფლებას. ისინი თანხმდებიან, რომ განათლება მიმართულ იქნას ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსებების შემეცნების სრულად განვითარებისაკენ და განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას. ისინი ასევე თანხმდებიან, რომ განათლებამ ყველას უნდა მისცეს თავისუფალ საზოგადოებაში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობა, ყველა ერს, რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის განავითაროს ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა და მეგობრობა და ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების საქმიანობას მშვიდობის შესანარჩუნებლად. ამავე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ზემოაღნიშნული უფლების სრულად განხორციელებისათვის:

ა) დაწყებითი განათლება უნდა იყოს ყველასათვის სავალდებულო და უფასოდ ხელმისაწვდომი;

ბ) საშუალო განათლების მიღება მისი სხვადასხვა ფორმით, ტექნიკური და პროფესიული საშუალო განათლების ჩათვლით, უნდა გახდეს საყოველთაოდ

---

[257] იხ. იქვე.

[258] „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

შესაძლებელი და ხელმისაწვდომი ყველა შესაფერისი საშუალებით, კერძოდ, უფასო განათლების თანდათანობით შემოღების გზით;

გ) უმაღლესი განათლება უნდა გახდეს ყველასათვის თანაბარი ხელმისაწვდომი თითოეულის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყველა შესაფერისი საშუალებით და კერძოდ, უფასო განათლების თანდათან შემოღების გზით;

დ) ძირითადი განათლება უნდა წახალისდეს და გახდეს შეძლებისდაგვარად ინტენსიური იმ ადამიანებისათვის, რომელთაც არ მიუღიათ ან არ დაუსრულებიათ დაწყებითი განათლების სრული კურსი;

ე) აქტიურად გატარდეს ყველა საფეხურის სკოლათა სისტემის განვითარების პოლიტიკა, შეიქმნას სტიპენდიების შესაფერისი სისტემა და განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს საგანმანათლებლო პერსონალის მატერიალური პირობები."[259]

,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებული განათლების უფლების მარეგულირებელი, ზემოხსენებული ნორმები იმპლემენტირებულია საქართვოს კანონმდებლობაში და მათ შესახებ ვიმსჯელეთ ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის", ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმიისა და „განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ" კონვენციის განხილვისას.

,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ მშობლებისა და, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერი მეურვეების თავისუფლებას, ბავშვებისათვის აირჩიონ არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების მიერ დაარსებული, არამედ სხვა სკოლებიც, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან მოწონებული საგანმანათლებლო მოდელის მოთხოვნების მინიმუმს შეესაბამება, და უზრუნველყონ ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი რწმენის შესაფერისად.[260] აღსანიშნავია, რომ ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის

[259] იხ. იქვე, მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.
[260] იხ. იქვე მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი.

თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით აუცილებელია ავტორიზაცია, ,,რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა."[261] საქართველოში სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო აქტითაა დადგენილი ის სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ან კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები. კერძოდ: ,,ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები ეხება: საგანმანათლებლო პროგრამებს; მატერიალურ რესურსებს; ადამიანურ რესურსებს. ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები ეხება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურას და მართვას; საგანმანათლებლო პროგრამებს; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს; სტუდენტებს და მათი მხარდაჭერის ღონისძიებებს; კვლევას, განვითარებას ან/და სხვა შემოქმედებით საქმიანობას; მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს. გ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები ეხება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას; საგანმანათლებლო პროგრამებს; პროფესიულ სტუდენტებს და მათი მხარდაჭერის ღონისძიებებს; ადამიანურ რესურსებს; მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს."[262] ზემოხსენებული ავტორიზაციის სტანდარტებით სახელმწიფო ქმნის მექანიზმს უზრუნველყოფილ იქნას ,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტით განმტკიცებული მშობლებისა და, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერი მეურვეების თავისუფლება, ბავშვებისათვის აირჩიონ არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების მიერ დაარსებული,

[261] იხ. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონი, 21/07/2010. მე-7 მუხლის პირველი პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

[262] იხ. იქვე, მე-7 მუხლის მე-2-2^1-2^2 პუნქტები.

არამედ სხვა სკოლებიც, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დადგენილ ან მოწონებულ საგანმანათლებლო მოდელის მოთხოვნების მინიმუმს შეესაბამება.[263]

იმის გასაანალიზებლად თუ როგორ ასრულებს სახელმწიფო აღნიშნული პაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით: ხელმისაწვდომობა (როგორც ფაქტობრივად არსებობის, ისე არსებულის ხელმისაწვდომობის კუთხით), ადეკვატურობა და ხარისხი. ხელმისაწვდომობაში მოიაზრება მომსახურების, მასალისა და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა. ხელმისაწვდომობა ასევე გულისხმობს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები და პროგრამები უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით ყველაზე დაუცველი ჯგუფებისათვის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. განათლების ხელმისაწვდომობა ასევე გულისხმობს, რომ განათლება უნდა ფინანსდებოდეს პრინციპით „ყველასთვის უფასო", რაც გულისხმობს სახელმწიფოთა ვალდებულებას, თანმიმდევრულად განსაზღვრონ ზოგადი და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი. ამასთან, განათლების უფლების რეალიზება უნდა ხდებოდეს ფიზიკურად უსაფრთხო, ხელსაყრელ გეოგრაფიულ ლოკაციაზე. ადეკვატურობა მიემართება მომსახურებათა ადეკვატურ ოდენობას, რაც ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურა უნდა იყოს საკმარისი ოდენობის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. ბოლოს კი, ხარისხი მოიაზრებს სწავლის მეთოდებს (რელევანტური და კულტურულად მისაღები) სტუდენტებისა და ზოგ შემთხვევაში - მშობლებისთვის; ამასთან, განათლება უნდა იყოს მოქნილი იმგვარად, რომ მარტივად მოახდინოს ადაპტირება საზოგადოებრივ ცვლილებებთან და ამასთან, პასუხობდეს მოსწავლეთა/სტუდენტთა საჭიროებებს.[264]

წინამდებარე თავში ვიმსჯელეთ განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტებსა და მათ იმპლემენტაციაზე საქართველოს კანონმდებლობაში. ამ მიზნით,

---

[263] „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი" მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019.

[264] იხ. International Covenant on Economic, Social and Cultural Rights Handbook, August 2015, p.36-37; (http://www.pwescr.org/PWESCR_Handbook_on_ESCR.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.05.2019.

განვიხილეთ შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებები: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი; „განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ კონვენცია; „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი.

საერთაშორისო ხელშეკრულება განიმარტება, როგორც ,,სახელმწიფოთა ან საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების შეთანხმება პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ურთიერთობებში მათი ურთიერთუფლებებისა და მოვალეობების დადგენის, შეცვლისა თუ შეწყვეტის შესახებ. საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო სამართლის ძირითადი წყაროა. იგი გვარეობითი ცნებაა და მოიცავს ყველა საერთაშორისო შეთანხმებას (ხელშეკრულება, შეთანხმება, პაქტი, ტრაქტატი, დეკლარაცია, კომუნიკე, კონვენცია და ა.შ.). საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო ხელშეკრულების დაცვას.“[265]

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ,,საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.“ [266]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როცა საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებების უპირატესი იურიდიული ძალა სხვა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, ცხადია, ვიდრე შიდა

---

[265] იხ. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6322, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.05.2019.

[266] იხ. ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, 22/10/2009, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=28 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.05.2019.

საკანონმდებლო რეგულაციებს დეტალურად განვიხილავდეთ, მნიშვნელოვანია მსჯელობა ზოგადად იმ ხელშეკრულებების ძირითადი სამართლებრივი ბუნებისა და დებულებების შესახებ, რომელთა ქართულ კანონმდებლობაში დანერგვის ვალდებულებაც სხვადასხვა პერიოდში შესაბამის დოკუმენტებზე ხელის მოწერით აიღო საქართველომ.

აღნიშნული თავის ფარგლებში მიმოვიხილეთ საერთაერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც განამტკიცებს განათლების სფეროში მოქმედ ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორებიცაა: დაწყებითი და ზოგადი განათლების სახელმწიფოს მიერ დაფინანსება, დაწყებითი განათლების სავალდებულოობა, ტექნიკური და პროფესიული განათლების საყოველთაოდ ხელმისაწვდომობა, მათ შორის უმაღლესი განათლების ერთნაირად ხელმისაწვდომობა ყველასათვის უნარის შესაბამისად. ასევე, ვიმსჯელე განათლებაზე, როგორც ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განმტკიცებისკენ მიმართულ ინსტრუმენტზე, განათლებაზე, როგორც ყველა ხალხის, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფების ურთიერთგაგების, შემწყნარებლობის, მეგობრობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობის მშვიდობის შესანარჩუნების ბერკეტზე. განხილულ იქნა სახელმწიფოს ფუნქცია განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით, კერძოდ ის, რომ არავის შეიძლება ეთქვას უარი განათლების უფლებაზე თუნდაც ნებისმიერი ფუნქციის განხორციელებისას. მსჯელობა აგრეთვე შეეხებოდა განათლების სფეროში ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის აკრძალვას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: განათლების ხელმისაწვდომობა, განათლების დაფინანსება, ინკლუზიური განათლება, ეროვნულ უმცირესობების განათლების უფლებები და რელიგიური და პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა.

აღნიშნულ თავში განხილული საერთაშორისო ხელშეკრულებებში გაწერილი უნივერსალური პრინციპების მიმოხილვა და მათი ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტირების საკითხზე მსჯელობა შემოიფარგლა არსებული საკანონმდებლო სივრცით. რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ნაშრომი უფრო მეტად

ფოკუსირებულია საკანონმდებლო რეგულაციების მიმოხილვაზე ტექნიკურ-შინაარსობრივი შესაბამისობის თვალსაზრისით და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინამდებარე თავში განხილული საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებები განათლების უფლების დაცვის სფეროში, სრულად არის იმპლემენტირებული ქართულ კანონმდებლობაში.

თავი IV. განათლების უფლების მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობის სამართლებრივი კვლევა იურიდიული ტექნიკის კუთხით

განათლების უფლების განუხრელი დაცვა და მისი რეალიზაცია დამოკიდებულია ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციებზე. რაც უფრო დახვეწილი და სრულყოფილია განათლების უფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, მით უფრო დაცულია მოქალაქეები ამ უფლების სარგებლობისას, უზრუნველყოფილია განათლების უფლების დაცვის მექანიზმები და იქმნება თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების საფუძვლები.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში -,,განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტები და თანამედროვე ქართული კანონმდებლობის გამოწვევები“ - მნიშვნელოვანია გამოვიკვლიოთ განათლების უფლების მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობა, კერძოდ: საქართველო კონსტიტუცია; ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი; ,,პროფესიულ განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი; ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი.

საქართველოში განათლების უფლების კონსტიტუციური აღიარება და კონსტიტუციური ნორმები გამოვიკვლიეთ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მე-2 თავში - ,,საქართველოში განათლების უფლების კონსტიტუციური აღიარება“ საკითხზე მსჯელობისას და ამ თავში შევეხებით განათლების უფლების მარეგულირებელ ქართულ კანონმდებლობას მიკუთვნებულ კანონებს.

4.1. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი

საქართველოში მოქმედი ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2005 წლის 8 აპრილს[267], ,,ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონში არსებული სამართლებრივი ნორმები შეეხება: ზოგადი განათლების სფეროში ტერმინთა განმარტებას; ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებს; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენას; ეროვნული სასწავლო გეგმის შედგენის პრინციპებს და ძირითად საკითხებს; ზოგადი განათლების არს; დისტანციურ სწავლებას; ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობას; საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წლის დაწყებას; მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს; ზოგადი განათლების მიღების უფლებას; მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის გასაჩივრების უფლებას; ნეიტრალურობას და არადისკრიმინაციულობას; გამოხატვის თავისუფლებას; შეკრების თავისუფლებას; გაერთიანების თავისუფლებას; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას; რწმენის თავისუფლებას; სასკოლო დისციპლინას; ძალადობის დაუშვებლობას, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; მასწავლებლის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას; მასწავლებლის პროფესიას; მასწავლებლის თანამდებობის სახეებს და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს; მასწავლებლის განათლებას; მასწავლებლობის მაძიებელს; მასწავლებლის საქმიანობის დაწყებას და შეწყვეტას, მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას და კარიერულ წინსვლას; მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების რეგისტრაციას; სახელმწიფოს მიერ ზოგადი განათლების დაფინანსებას; დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების დაფინანსებას; ზოგადი განათლების სისტემის მართვას; საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებას ზოგადი განათლების სფეროში; საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებას ზოგადი განათლების სფეროში; საქართველოს

[267] იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=0 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 13.06.2019.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილებას ზოგადი განათლების სფეროში; საქართველოს სამინისტროების უფლებამოსილებას ზოგადი განათლების სფეროში; საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნებასა და მის უფლებამოსილებებს; საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფუძნებასა და მის უფლებამოსილებებს; საჯარო სამართლის იურიდიული პირის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დაფუძნებასა და მის უფლებამოსილებებს; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროთა უფლებამოსილებებს ზოგადი განათლების სფეროში; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილებას ზოგადი განათლების სფეროში; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტიპებს; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და აკრედიტაციას; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებებს და უფლებამოსილებებს; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას; საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში განხორციელებას; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პრინციპებს; კანონმდებლობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულებისათვის, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესისა და ფინანსების მიზნობრივი ხარჯვისათვის პასუხისმგებლობას; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურას; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ინტერესთა კონფლიქტს; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამეურვეო საბჭოს შემადგენლობას და უფლებამოსილების ვადას; სამეურვეო საბჭოს ფუნქციებს; სამეურვეო საბჭოს არჩევის წესს; სამეურვეო საბჭოს წევრისა და სამეურვეო საბჭოსათვის უფლებამოსილების შეწყვეტას; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექციის სტრუქტურას; დირექტორისათვის წაყენებულ მოთხოვნებს დირექტორის არჩევის წესს; დირექტორის ფუნქციებს; დირექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობას; პედაგოგიური საბჭოს ფუნქციებს; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა თვითმმართველობის არსს; მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციებს; საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შექმნას; საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის და მანდატურის სამსახურის უფროსისათვის წაყენებულ მოთხოვნებს; საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უფლება-მოვალეობებს; საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამართლებრივ დაცვას; საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სოციალურ დაცვას; საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების შემთხვევებს და წესს; არასრულწლოვნის გადამისამართების (რეფერალის) წესს; არასრულწლოვნის მიმართ გადამისამართების ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას; არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული გადამისამართების ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვას; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფო კონტროლს, ქონებას, დაფინანსებას, ანგარიშგებასა და ბუღალტრულ აღრიცხვას; ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას; პასუხისმგებლობას ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორისა და სისრულისათვის; გარდამავალ და დასკვნით დებულებებს."[268]

2005 წლის 8 აპრილიდან 2019 წლის 27 ივნისის ჩათვლით ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში 75 კანონით შესულია 983 ცვლილება და დამატება[269].

,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი თავისი მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით წარმოადგენს დეტალურ კანონს. მიუხედავად იმისა, რომ კანონის 25-ე და 26-ე მუხლები ითვალისწინებს საქართველოს მთავრობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

[268] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

[269] იხ. 2005 წლის 8 აპრილიდან 2019 წლის 27 ივნისის ჩათვლით ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში 75 კანონით შესული ყველა ცვლილება და დამატება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

უფლებამოსილებებს ზოგადი განათლების სფეროში და ქმნის საკანონმდებლო საფუძველს ზოგადი განათლების სფეროს მიკუთვნებული სამართლებრივი ურთიერთობების კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მოწესრიგების მიზნით[270], ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი მაინც დეტალურად აწესრიგებს გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობებს და ამ კანონის ცალკეული ნორმები სიტყვა-სიტყვით მეორდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ გამოცემულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. კანონის ნორმების ანალიზის საფუძველზე იკვეთება საკითხების გამიჯვნის საჭიროება, კერძოდ, რომელი საკითხები უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო აქტით, და რომლის დელეგირება უნდა მოხდეს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებზე (მთავრობა, სამინისტრო), რათა არ მოხდეს ერთი მხრივ, საკანონმდებლო და აღმასრულებელი საკითხების აღრევა სუბიექტების მიხედვით, და მეორე მხრივ საკანონმდებლო აქტის გადატვირთვა, აგრეთვე არ დადგეს მისი ხშირი შეცვლის საჭიროება.

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში გვხვდება კანონის ნორმით მოწესრიგებული ისეთი საკითხები, რომლებიც უნდა რეგულირდებოდეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. კერძოდ:

4.1.1 ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების რეგულირება

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ,,ამტკიცებს ეროვნულ სასწავლო გეგმას"[271], ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების ,,მისაღწევად სახელმწიფო შეიმუშავებს ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლითაც განისაზღვრება: სწავლა-სწავლების მიზნები, თითოეულ საგანში შესაძენი

[270] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი მუხლი 25-26. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019

[271] იხ. იქვე, მუხლი 26, პირველი პუნქტი, ,,ვ" ქვეპუნქტი.

ცოდნა და საგანმანათლებლო პრინციპები, რომელთაც სწავლა-სწავლების მეთოდიკა და შეფასების სისტემა უნდა დაეფუძნოს, აგრეთვე ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით აუცილებელი საგნობრივი ჯგუფები, საგნების მიხედვით საათები, მათი განაწილება და აუცილებელი დატვირთვა, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები და რეკომენდაციები."[272] ამავე მუხლის მე-3 პუნქტით დარეგულირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი ჯგუფები (ეროვნული სასწავლო გეგმა მოიცავს შემდეგ საგნობრივ ჯგუფებს: ა) სახელმწიფო ენა; ბ) მათემატიკა; გ) უცხოური ენები; დ) საზოგადოებრივი მეცნიერებები; ე) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; ვ) ტექნოლოგიები; ზ) ესთეტიკური აღზრდა; თ) სპორტი.)[273]. იგივეს იმეორებს „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი (ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები ერთიანდება რვა საგნობრივ ჯგუფში: ა) სახელმწიფო ენა; ბ) მათემატიკა; გ) უცხოური ენები; დ) საზოგადოებრივი მეცნიერებები; ე) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; ვ) ტექნოლოგიები; ზ) ესთეტიკური აღზრდა; თ) სპორტი.).[274] გამომდინარე იქედან, რომ „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, თუ რას არეგულირებს ეროვნული სასწავლო გეგმა, მიგვაჩნია, რომ საგნობრივი ჯგუფების ჩამონათვალი არ უნდა იყოს კანონში და ის უნდა რეგულირდებოდეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, კერძოდ ეროვნული სასწავლო გეგმით.

---

[272] იხ. იქვე, მუხლი 5, პირველი პუნქტი.

[273] იხ. იქვე, მუხლი 5, მე-3 პუნქტი.

[274] იხ. „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის 45 მუხლი, მე-2 პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3285991?publication=8 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

4.1.2. ზოგადი განათლების სფეროში ძალადობის დაუშვებლობის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხები

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი არეგულირებს ძალადობის დაუშვებლობის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს.[275] აღნიშნული მუხლის საფუძველზე გამოცემულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“[276], რომლის 21-ე მუხლის რამდენიმე პუნქტში მეორდება კანონის მე-20 მუხლის მსგავსი ჩანაწერი. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით „უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოებები მიუთითებს მოსწავლის მიერ სკოლის შინაგანაწესის შესაძლო დარღვევაზე ან/და შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენაზე და არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შედეგად გამოვლინდება სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა ან/და შესაძლო სამართალდარღვევა.“[277] ზუსტად იგივე ფორმულირება მეორდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-ის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტში[278].

---

[275] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მე-20 მუხლი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

[276] იხ. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანება. https://matsne.gov.ge/document/view/4363684?publication=2 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27/06/2019

[277] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მე-20 მუხლი, მე-4 პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

[278] იხ. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების,

ასევე, ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით „უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების უფლება აქვს იმავე სქესის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს ან სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ იმავე სქესის საამისოდ უფლებამოსილ პირს. ამ პუნქტიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში არ არის მოსწავლის შესაბამისი სქესის პირი“[279]. ანალოგიური შინაარსის ნორმას ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-ის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი[280]. გარდა ამისა, ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით „უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ან/და სკოლის თანამშრომლის ინიციატივით“[281], იგივე ფორმულირებაა ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-ის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტში.[282] ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით

კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-ის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი. https://matsne.gov.ge/document/view/4363684?publication=2 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019

[279] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მე-20 მუხლი, მე-6 პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

[280] იხ. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-ის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი. https://matsne.gov.ge/document/view/4363684?publication=2 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019

[281] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მე-20 მუხლი, მე-5 პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

[282] იხ. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-ის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტი. https://matsne.gov.ge/document/view/4363684?publication=2 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019

„უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებამდე საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურმა ან სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულმა საამისოდ უფლებამოსილმა პირმა მოსწავლე უნდა გააფრთხილოს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების შესახებ. თუ მოსწავლე წარმოადგენს ან საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური/სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი აღმოაჩენს იმგვარ, სავარაუდოდ, კანონსაწინააღმდეგო ნივთს/საგანს, რომლის მოსწავლის მიერ ფლობაზე რეაგირებაც საქართველოს კანონმდებლობით სამართალდამცავი ორგანოს კომპეტენციაა, ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება სამართალდამცავ ორგანოს. აღმოჩენილ ნივთს/საგანს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური/სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი გადასცემს მოსწავლის მშობელს ან სამართალდამცავ ორგანოს, ნივთის/საგნის ხასიათის გათვალისწინებით“.[283] იგივე ფორმულირებაა გადატანილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-ის 21-ე მუხლის მე-8-მე-10 პუნქტებში[284]. ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, მიზანშეწონილია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ძალადობის დაუშვებლობის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ის საკითხები, რომელთა კანონით რეგულირების აუცილებლობა არ არსებობს (მაგ. ის საკითხები, რომლებიც მოსწავლის უფლებებს არ ეხება), გადატანილ იქნეს მინისტრის ბრძანებაში.

---

[283] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მე-20 მუხლი, მე-8 პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

[284] იხ. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-ის 21-ე მუხლის მე-8-მე-10 პუნქტი. https://matsne.gov.ge/document/view/4363684?publication=2 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019

4.1.3. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28[1] მუხლში გათვალისწინებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფუნქციები.[285] საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფუნქციებს, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის (საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდება (დებულება) უნდა შეიცავდეს მიზნებს, ფუნქციებსა და საქმიანობის საგანს)[286] თანახმად შეიცავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულება[287]. ასევე „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემულია სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი, კერძოდ: „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28[2] მუხლი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ფუნქციებს[288]; „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28[3] მუხლი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფუნქციებს,[289] ხოლო „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 48[1] მუხლით

---

[285] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მე-28[1] მუხლი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

[286] იხ. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6, პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი. https://matsne.gov.ge/document/view/19204?publication=25 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

[287] იხ. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნებისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/ნ ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2658204?publication=6 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

[288] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მე-28[2] მუხლი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

[289] იხ. იქვე მუხლი 28[3].

წესრიგდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ამოცანები[290]. აღნიშნულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან დაკავშირებით არსებობს კანონის საფუძველზე გამოცემული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნორმატიული ბრძანებები, რომლებშიც სრულყოფილადაა ასახული მათი ფუნქციები და საქმიანობის საგანი. კერძოდ: ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რეორგანიზაციისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N225/ნ ბრძანება[291], ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N229/ნ ბრძანება[292] და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს 74/ნ ბრძანება[293]. ზემოხსენებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიზნების, ფუნქციებისა და საქმიანობის საგანის ასახვა ზოგადი განათლების კანონში, ვფიქრობთ არ არის გამართლებული იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით და შინაარსობრივად ტვირთავს კანონს ზედმეტი სამართლებრივი ნორმებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია საჯარო სამართლის იურიდიული პირების

---

[290] იხ. იქვე მუხლი 48[1] .

[291] ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რეორგანიზაციისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N225/ნ ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1548252?publication=7 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

[292] ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N229/ნ ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1548498?publication=10 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

[293] ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს 74/ნ ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1026523?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი ამოღებულ იქნას ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან.

4.1.4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა[294] და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, კერძოდ: სამეურვეო საბჭოს ფუნქციები[295], დირექტორის ფუნქციები[296], პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები[297] და მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციები[298]. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ზემოხსენებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საქმიანობის წესი ზუსტად მეორდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებულ საჯარო სკოლების წესდებაში[299]. მოცემულ შემთხვევაშიც ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები ამოღებულ იქნას ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან და ის მხოლოდ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით რეგულირდებოდეს.

---

[294] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 35, პუნქტი 2. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

[295] იხ. იქვე მუხლი 38 .

[296] იხ. იქვე მუხლი 43 .

[297] იხ. იქვე მუხლი 46 .

[298] იხ. იქვე მუხლი 48.

[299] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლების წესდების მუხლი 4-10. https://matsne.gov.ge/ka/document/view/61480?publication=361 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

4.1.5. სამეურვეო საბჭოს წევრისა და სამეურვეო საბჭოსთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხები

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლით განისაზღვრება სამეურვეო საბჭოს წევრისა და სამეურვეო საბჭოსთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხები.[300] აღნიშნული საკითხები ანალოგიურადაა მოწესრიგებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის N30 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“ დებულების 38-ე მუხლში.[301] აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია სამეურვეო საბჭოს არჩევასთან და უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად მოწესრიგდეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით და კანონში დარჩეს მხოლოდ მისი დამტკიცების საკანონმდებლო საფუძველი.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში თოთხმეტი წლის მანძილზე შესული ცვლილებისა და დამატების უმრავლესობა, სწორედ იმ სამართლებრივ ნორმებს ეხება, რომლებსაც ჩვენი აზრით არ უნდა შეიცავდეს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი.

4.2. ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი

საქართველოში მოქმედი ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2018 წლის 20 სექტემბერს[302], ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული სამართლებრივი

---

[300] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 40. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

[301] იხ. „საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №30 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“ დებულების მუხლი38. https://matsne.gov.ge/ka/document/view/62638?publication=14 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019.

[302] იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4334842?publication=0 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.07.2019.

ნორმები შეეხება: პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებს; პროფესიული განათლების კანონით გათვალისწინებულ ტერმინთა განმარტებას; პროფესიული განათლების მიღების უფლებას და ძირითად გარანტიებს; სწავლების ენას; პროფესიული განათლების არსს; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; პროფესიის სტანდარტს, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს და მოდულს; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას; მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას; სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას; ერთობლივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას; გაცვლით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას; სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების მოდულს; პროფესიულ მომზადების პროგრამას და პროფესიული გადამზადების პროგრამას; სწავლის შედეგების დადასტურებას; არაფორმალური განათლებისა და ფორმალური განათლების აღიარებას; უცხოეთში მიღებული პროფესიული განათლების აღიარებას; რეგულირებად პროფესიას; პროფესიული განათლების სისტემის მართვის პრინციპებს; საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებას პროფესიული განათლების სფეროში; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილებას პროფესიული განათლების სფეროში; კოლეჯის დაფუძნებას, მის მიერ სტატუსის მოპოვებას და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას; კოლეჯების შერწყმას, რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას; კოლეჯის მართვის პრინციპებს და კოლეჯის ვალდებულებებს; ავტორიზაციას; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებას; პროფესიული განათლების მასწავლებელს; პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის უფლებებს; პროფესიული განათლების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამისა და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის დაფინანსებას; საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკურ საქმიანობას; კოლეჯის მიერ სხვა იურიდიული პირის დაფუძნებას; კოლეჯის სახელმწიფო კონტროლს; კოლეჯის ქონებას; კოლეჯის ანგარიშგებას; პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას;

საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებებს და პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების სისწორის პრეზუმფციას; პასუხისმგებლობას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორისა და სისრულისათვის; გარდამავალ და დასკვნით დებულებებს.[303]

2018 წლის 20 სექტემბრიდან 2019 წლის 27 ივნისის ჩათვლით ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ერთი კანონით შესულია 4 ცვლილება და დამატება.[304]

,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, წარმოადგენს დახვეწილ და პრინციპების დონეზე აგებულ კანონს, ის არ მოიცავს ისეთ სამართლებრივ ნორმებს, რომელიც მეორდება კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში წარმოდგენილია მანამდე მოქმედი ,,,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული ხედვა და მოიცავს სფეროსთან დაკავშირებულ ყველა საკვანძო საკითხს, ამასთანავე, გამოკვეთს პრობლემებსა და გამოწვევებს და ქმნის საფუძველს ამ პრობლემათა გადაჭრისათვის საჭირო სამართლებრივი ნორმების ჩამოსაყალიბებლად."[305]

---

[303]იხ. ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, 20/09/2018. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4334842?publication=1 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.07.2019.

[304] იხ. „პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონი, 30/05/2019. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4574709?publication=0 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.07.2019.

[305]იხ. განმარტებითი ბარათი ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით, https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/187509 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.07.2019.

4.3. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი

საქართველოში მოქმედი ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2004 წლის 21 დეკემბერს,[306] ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული სამართლებრივი ნორმები შეეხება: კანონის მოქმედების სფეროს; უმაღლესი განათლების კანონით გათვალისწინებულ ტერმინთა განმარტებას; უმაღლესი განათლების მიზნებს; უმაღლესი განათლების ენას; უმაღლესი განათლების სისტემის მართვას; საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებას უმაღლესი განათლების სფეოში; საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებას უმაღლესი განათლების სფეროში; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილებას უმაღლესი განათლების სფეროში; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციას სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს კომპეტენციების საზღვაო უმაღლესი განათლების სფეროში; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეებს; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კომპეტენციათა გამიჯვნას; საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებაუნარიანობას; სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას; საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – უნივერსიტეტთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას – კერძო სამართლის იურიდიულ პირს; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებას; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურას; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვას; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პრინციპებს; წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესს;

[306] იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=0 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019.

წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილებას; წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს; აკადემიური საბჭოს არჩევას; აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებას; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს (რექტორი); რეგენტთა საბჭოს; ადმინისტრაციის ხელმძღვანელს; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილებას; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფას; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს; ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს და ძირითად საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს; ძირითად საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს უფლებამოსილებას; ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანს; დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტრუქტურასა და მართვას; დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს; დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორს; სადისერტაციო საბჭოს; ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნებასა და მართვას; ტექნოლოგიურ ინსტიტუტს; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ პერსონალს; აკადემიურ თანამდებობის დაკავების წესს; აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისა და დანიშვნის პირობებს; აკადემიური პერსონალის შრომით ურთიერთობებს; აკადემიური პერსონალის უფლებებს; უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალს; სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესს; სამეცნიერო პერსონალის შრომით ურთიერთობებს; მეცნიერის უფლებებსა და მოვალეობებს; აკადემიურ წოდებებს; ადმინისტრაციულ თანამდებობებს და სხვა პერსონალს; ადმინისტრაციული თანამდებობიდან გათავისუფლებას; თანამდებობრივ შეუთავსებლობას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; სტუდენტის უფლებებს; სტუდენტის ვალდებულებებს; სტუდენტთა თვითმმართველობის უფლებებს; მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გზებს და მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას; მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას; ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას; ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო

პროგრამას; სამედიცინო/სტომატოლოგიურ განათლებას; მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას; ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას; ელექტრონულ სწავლებას; მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების პროგრამებს; ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროგრამებს; ბაკალავრიატს და მაგისტრატურას; დოქტორანტურას; ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების; გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამას; უცხოეთში მიღებულ განათლების აღიარებას; ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარებას; შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო, დიპლომირებულ მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის მიღების საფუძველს; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის მიღების საფუძველს; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო, დიპლომირებულ მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლებამიღებულ პირის მიღების საფუძველს; ერთიან ეროვნულ და საერთო სამაგისტრო გამოცდებს; სახელმწიფო სასწავლო გრანტების მინიჭებას სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მინიჭებას; მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭებას; საერთო სამაგისტრო გამოცდის სერტიფიკატს; მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მიღების წესებს; ავტორიზაციის შინაარსს; გადაწყვეტილებას ავტორიზაციის თაობაზე; გადაწყვეტილებას ავტორიზაციის შესახებ და ავტორიზაციის სამართლებრივ შედეგს; გადაწყვეტილებას ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ და მათ სამართლებრივ შედეგებს; საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას; ტექნოლოგიური ინსტიტუტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას; აკრედიტაციის შინაარსს;

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს; გადაწყვეტილებას აკრედიტაციის თაობაზე; რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამას; რეგულირებად პროფესიებს; რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციას; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკურ საქმიანობას; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსებას; უმაღლეს განათლების დაფინანსებას სახელმწიფო სასწავლო გრანტით; უმაღლესი განათლების დაფინანსებას სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით; სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის ოდენობებს; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ურთიერთობას სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გამცემთან; სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით გრანტს; სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ქონებას; სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონებით სარგებლობა; სახელმწიფოს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის გადაცემულ ქონებას; სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში –უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ნორმატიული აქტების შესრულების კონტროლს; უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებებს და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების სისწორის პრეზუმფციას; პასუხისმგებლობას უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორისა და სისრულისათვის; გარდამავალ და დასკვნით დებულებებს.[307]

2004 წლის 21 დეკემბრიდან 2019 წლის 27 ივნისის ჩათვლით ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 73 კანონით შესულია 1427 ცვლილება და დამატება.[308] აღნიშნული მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსი რაოედენობის ცვლილება 15 წლის მანწილზე არანორმალურია და მიუთითებს კანონის

[307] იხ. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/12/2004. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=75 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019.
[308] იხ. 2004 წლის 21 დეკემბრიდან 2019 წლის 27 ივნისის ჩათვლით ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 73 კანონით შესული ყველა ცვლილება და დამატება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=75 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019.

არასრულყოფილებაზე. ზემოსხენებული საკანონმდებლო ცვლილების შეტანა განაპირობა, იმ გარემოებამ რომ ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე როგორც ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, თავისი მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით წარმოადგენს დეტალურ კანონს. მიუხედავად იმისა, რომ ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლები ითვალისწინებს საქართველოს მთავრობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილებებს უმაღლესი განათლების სფეროში და ქმნის საკანონმდებლო საფუძველს უმაღლესი განათლების სფეროს მიკუთვნებული სამართლებრივი ურთიერთობების კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მოწესრიგების მიზნით[309], ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მაინც დეტალურად აწესრიგებს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც უმეტესად მეორდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წესდებებში ან სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში - მინისტრის ბრძანებებში და საქართველოს მთავრობის დადგენილებებში. აღნიშნული სამართლებრივი ნორმების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, ამ ნორმების კანონიდან ამოღებისა და კანონქვემდებარე აქტებით დარეგულირების მიზანშეწონილობის საკითხი, რათა თავიდან იქნას აცილებული კანონის ტექსტის გადატვირთვის და აგრეთვე მისი ხშირი შეცვლის საჭიროება.

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია.“[310]. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა განისაზღვრება დაწესებულების წესდებით, რომელიც უნდა

[309] იხ. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/12/2004. მუხლი 6-7, https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=75 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019.
[310]იხ. საქართველოს კონსტიტუცია, 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019.

ითვალისწინებდეს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის არსებობას.“[311] ხოლო მე-15 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კი ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოები განისაზღვრება და მათ შორის კომპეტენციები ნაწილდება დაწესებულების წესდებით.“[312] აღნიშნული სამართლებრივი ნორმების პარალელურად, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მთელი რიგი მუხლები დაწვრილებით არეგულირებს ისეთ საკითხებს, რომლებიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ უნდა განისაზღვროს. კერძოდ:

4.3.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურა

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან: რექტორის აპარატისაგან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის, კანცელარიისა და მართვის ორგანოების სამდივნოებისაგან“[313]. ხოლო მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები) არიან: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.“[314]

---

[311] იხ. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/12/2004. მუხლი 14, პირველი პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=75 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019.

[312] იხ. იქვე, მუხლი 15, პირველი პუნქტი.

[313] იხ. იქვე, მუხლი 14, მე-2 პუნქტი.

[314] იხ. იქვე, მუხლი 15, მე-2 პუნქტი.

4.3.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების სამართლებრივი რეგულირება

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი დაწვრილებით აწესრიგებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების არჩევის წესს, სტრუქტურული ერთეულების და მათი ხელმძღვანელების არჩევის წესსა და უფლებამოსილებებს, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისა და მათი საბჭოების უფლებამოსილებებს, დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულების სტრუქტურასა და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს, აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების ჩამონათვალს და მათი დაკავების წესს, აკადემიური პერსონალის/მეცნიერის უფლებებს, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე ადმინისტრაციული თანამდებობების და სხვა პერსონალის ჩამონათვალს და ამ თანამდებობათა დაკავების და თანამდებობიდან გათავისუფლების წესს. თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხებს, სტუდენტის უფლება-მოვალეობებს და სტუდენტური თვითმმართველობის უფლებებს.[315] აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წესდებებით ანალოგიურად რეგულირდება ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები, ზუსტად მეორდება მუხლების ფორმულირებები და კონკრეტულ შემთხვევებში დადგენილი ვადები თუ რაოდენობები.[316] აგრეთვე

---

[315] იხ. იქვე, მუხლი 14 - 45.

[316] იხ.:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2014505?publication=8 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.

2. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 03 სექტემბრის N124/ნ ბრძანება. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2008751?publication=8 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.

3. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანება.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2014535?publication=4 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.
4. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 09 სექტემბრის N132/ნ ბრძანება.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2012727?publication=8 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.
5. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის №05/91 ბრძანება.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2381294?publication=2 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.
6. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის N1106 ბრძანება.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/74326?publication=13 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.
7. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის №05/90 ბრძანება.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2382073?publication=2 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.
8. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 03 სექტემბრის N122/ნ ბრძანება.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2008791?publication=4 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.
9. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 16 მაისის №05/84 ბრძანება.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2345053?publication=6 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.
10. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2012709?publication=5 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.
11. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №123/ნ ბრძანება.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2008772?publication=5 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოხსენებული ნორმები, ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, კანონი მხოლოდ მათ უდგენს სტრუქტურას, განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებებს და არჩევის წეს, ხოლო ,,კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, გარდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული დაწესებულებებისა, მათი შინაარსის გათვალისწინებით, არ ვრცელდება ამ კანონის IV, V (გარდა 32-ე–35-ე მუხლებისა) და XIV თავებით გათვალისწინებული ნორმები.“[317] ვფიქრობთ აღნიშნული არასწორია და დისკრიმინაციის ნიშნებს შეიცავს. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმარლეს საგანმამათლეო დაწესებულებების სტრუქტურა და მათი ფუნქციები არ უნდა იყოს რეგულირებული უმაღლესი განათლების კანონით, მითუმეტეს მაშინ, როდესაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა განისაზღვრება დაწესებულების წესდებით, ხოლო საქართველოს კონსტიტუციით ,,უმაღლესი საგანმანათლებლო

---

12. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის №52/ნ ბრძანება.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2344196?publication=3 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.

13. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანება.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2008729?publication=6 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.

14. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N131 ბრძანება.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2012745?publication=3 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.

15. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანება.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1523724?publication=2 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.

[317] იხ. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/12/2004. მუხლი 12, მე-3 პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=75 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.

დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია“[318] და ,,საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია“.[319]

4.3.3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია და აკრედიტაცია

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის VIII[1] და X თავები არეგულირებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის შინაარსს, პროცედურებს, შედეგებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს[320], აღნიშნულ საკითხებს ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის კვლევისას შევეხებით.

4.4. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი

საქართველოში მოქმედი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2010 წლის 21 ივლისს[321], ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული სამართლებრივი ნორმები შეეხება: კანონის მიზანს; განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; ტერმინთა განმარტებას; საჯარო სამართლის იურიდიულ პირს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ცენტრის სამართლებრივ სტატუსი, ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ცენტრის ქონებასა და დაფინანსებას; საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას;

---

[318]იხ. საქართველოს კონსტიტუცია, 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.

[319] იხ. ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, 02/05/2014, მუხლი 2, პირველი პინქტი. https://matsne.gov.ge/document/view/2339687?publication=1 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.

[320] იხ. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/12/2004. VIII[1] და X თავები. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=75 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019.

[321] იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.07.2019.

ავტორიზაციის მიზანს და შინაარსს; ავტორიზაციის სტანდარტებს; ავტორიზაციას დაქვემდებარებულ დაწესებულებებს; სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებას; ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს; გადაწყვეტილებას ავტორიზაციის თაობაზე; გადაწყვეტილებას ავტორიზაციის შესახებ; ავტორიზაციის სამართლებრივ შედეგს; გადაწყვეტილებას ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ; ავტორიზაციის პირობების შემოწმებას და ავტორიზაციის გაუქმებას; ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების სამართლებრივ შედეგებს; საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას; მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდას; აკრედიტაციის მიზანს და შინაარსს; აკრედიტაციის სტანდარტებს; აკრედიტაციის ჩატარებას; აკრედიტაციის მაძიებლის თვითშეფასებას; აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს; გადაწყვეტილებას აკრედიტაციის თაობაზე; აკრედიტაციის პირობების შემოწმებას და აკრედიტაციის გაუქმებას; აკრედიტაციაზე უარის თქმის ან აკრედიტაციის გაუქმების სამართლებრივ შედეგებს; სააპელაციო საბჭოს; ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს; საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას; საქართველოში მიღებული განათლების აღიარებას; უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას; საჯარო სამართლის იურიდიული პირის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურს, ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდას, მომსახურებისათვის დაწესებულ ვადის ათვლას და გადახდილი საფასურის დაბრუნებას; გარდამავალ და დასკვნით დებულებებს.[322]

2010 წლის 21 ივლისიდან 2019 წლის 27 ივნისის ჩათვლით ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში 15 კანონით შესულია 108 ცვლილება და დამატება.[323]

---

[322] იხ. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/07/2010. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.07.2019.

[323] იხ. 2010 წლის 21 ივლისიდან 2019 წლის 27 ივნისის ჩათვლით ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში 15 კანონით შესული ყველა ცვლილება და დამატება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.07.2019.

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული სამართლის ნორმების უმრავლესობა მეორდება, როგორც სხვა კანონებში, ისე კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. რაც იწვევს დუბლირებას სხვადასხვა კანონის ნორმებს შორის და დიდია ალბათობა კანონშემოქმედების პროცესში დაშვებულ იქნას სამართლის ნორმათა კოლიზია.

4.4.1. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების სამართლებრივი საფუძვლები

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა[324], ხოლო განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა ხდება შიდა და გარე მექანიზმების საშუალებით, რომელსაც მიეკუთვნება ავტორიზაცია და აკრედიტაცია[325]. კანონის მიზნიდან გამომდინარე ავტორიზაციასა და აკრედიტაციას მიკუთვნებული სამართლებრივი საფუძვლები და რეგულაციაბი, ასახული უნდა იყოს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებში. მიუხედავად ამისა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამართლებრივი საფუძვლები და მასთან დაკავშირებული არაერთი რეგულაცია იდენტურად გხვდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში[326], ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში[327] და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში[328], რაც ვფიქრობთ არასწორია, იწვევს საკანონმდებლო აქტების რეგულაციათა სფეროს

---

[324] იხ. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/07/2010. პირველი მუხლი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.
[325] იხ. იქვე მუხლი 2.
[326] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 08/04/2005 https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.
[327] იხ. ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 20/09/2018. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4334842?publication=1 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.
[328] იხ. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/12/2004. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=75 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

გადაფარვას და საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით მიუღებელია, თუნდაც იმ კუთხით, რომ ავტორიზაცია-აკრედიტაციას მიკუთვნებული, რომელიმე სამართლებრივი ნორმის შეცვლის ან დამატების შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტი ვალდებული იქნება „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის პარალელურად ცვლილება შეიტანოს სხვა კანონებშიც.

გარდა აღნიშნული კანონებისა ავტორიზაციის და აკრედიტაციის მარეგულირებელი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მთელი რიგი ნორმები მეორდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სხვადასხვა ნორმატიულ აქტებშიც, კერძოდ:

- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოწესრიგებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანი, შინაარსი და ავტორიზაციის სტანდარტები[329], რაც მსგავსად არის დარეგულირებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-2 მუხლით[330];
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გაწერილია ავტორიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული საკითხები[331]. ანალოგიური შინაარსის ნორმა გვხვდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 24-ე მუხლში[332];

---

[329] იხ. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/07/2010. მუხლი 7. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[330] იხ. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მუხლი 2. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1031755?publication=40 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[331] იხ. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/07/2010. მუხლი 11. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[332] იხ. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მუხლი 24.

- ავტორიზაციის ვადასა და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევებს ანალოგიურად აწესრიგებენ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი[333] და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლი[334];
- ავტორიზაციაზე უარის თქმის/გაუქმების საფუძვლები და წესი მოცემულია როგორც „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14-მე-16 მუხლებში[335], ისე საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 25-ე და 28-ე მუხლებში[336];
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 16^1 მუხლი არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შემთხვევებს და წესს[337]. მსგავსი ნორმა გვხვდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 30^1 მუხლში[338];
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 16^2 მუხლში მოცემულია მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა ადგილების

---

https://matsne.gov.ge/ka/document/view/1031755?publication=40 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[333] იხ. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/07/2010. მუხლი 12. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[334] იხ. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მუხლი 25. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1031755?publication=40 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[335] იხ. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/07/2010. მუხლი 14-16. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[336] იხ. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მუხლი 25 და მუხლი 28. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1031755?publication=40 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[337] იხ. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/07/2010. მუხლი 16^1. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[338] იხ. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მუხლი 30^1. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1031755?publication=40 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებული ნორმები[339], რომლებიც ანალოგიურად მეორდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 34-ე მუხლში[340];

- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-IV თავი (მე-17-24-ე მუხლები) არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, აკრედიტაციის მიზანს და შინაარსს, აკრედიტაციის სტანდარტებს, აკრედიტაციის ჩატარების საკითხებს, აკრედიტაციის მაძიებლის თვითშეფასებას, აკრედიტაციის თაობაზე გადაწყვეტილებასთან, აკრედიტაციის პირობების შემოწმებასა და აკრედიტაციის გაუქმებასთან, აკრედიტაციაზე უარის თქმის ან აკრედიტაციის გაუქმების სამართლებრივი შედეგებთან დაკავშირებულ ნორმებს[341]. ეს საკითხები ანალოგიურადაა მოწესრიგებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებით[342];

---

[339] იხ. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/07/2010. მუხლი 16². https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[340] იხ. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მუხლი 34. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1031755?publication=40 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[341] იხ. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/07/2010. თავი IV. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[342] იხ. „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1320588?publication=19 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

4.4.2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი[343]. კანონის მე-5 მუხლი შეეხება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს[344], რომელიც შემდგომ განვრცობილია და დაკონკრეტებული ერთი მხრივ სხვა კანონებში, მეორე მხრივ კი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებულ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულებაში, კერძოდ:

- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 25-ე მუხლის მიხედვით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას[345]. იგივე უფლებამოსილებაა გაწერილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით[346];

---

[343] იხ. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/07/2010. მუხლი 4. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[344] იხ. იქვე, მუხლი 5.

[345] იხ. იქვე, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, მუხლი 25.

[346] იხ. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1003241?publication=24 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და 26-ე მუხლის მიხედვით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას[347], იგივე უფლებამოსილებაა გაწერილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-12 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით [348];
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ამოწმებს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის – განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ენობრივ სისწორეს[349], იგივე უფლებამოსილებაა გაწერილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის ,,ი“ ქვეპუნქტით და მე-12 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით [350];
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გაწერილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილებები განათლების

---

[347] იხ. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/07/2010. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, მუხლი 26
https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[348] იხ. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-12 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1003241?publication=24 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[349] იხ. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/07/2010. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[350] იხ. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი, მე-12 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1003241?publication=24 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით[351]. სამინისტროს ანალოგიური უფლებამოსილებები გვხვდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში[352] და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველ პუნქტში[353];

- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი აწესრიგებს ცენტრის ქონებასა და დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებს[354]. ანალოგიური შინაარსის სამართლებრივი ნორმები გვხვდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების 22-ე-23-ე მუხლებში[355].

ჩვენს მიერ გაკეთებული „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიმოხილვიდან ნათლად ჩანს იმის საჭიროება, რომ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობები, რეგულირდებოდეს ერთი საკანონმდებლო აქტით.

,,ზოგადი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ და ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონებში მათი მიღების დღიდან განხორციელდა მრავალი ცვლილება, რაც განპირობებული იყო იმით, რომ აღნიშნული კანონები განათლების სფეროს მარეგულირებელ ზედმეტად დეტალიზებულ ნორმებს ითვალისწინებს. ეს გარემოება კი

---

[351] იხ. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/07/2010. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[352] იხ. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/12/2004. მე-7 მუხლის პირველი პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=75 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[353] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 08/04/2005, 26-ე მუხლის პირველი პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[354] იხ. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/07/2010. მუხლი 6. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

[355] იხ. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მუხლი 22-23. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1003241?publication=24 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019.

საგანმანათლებლო სფეროების მართვას და განათლების უფლების რეალიზაციის საკანონმდებლო მექანიზმებს მოუქნელს ხდის. აღნიშნულ კანონებში განხორციელებულმა მრავალგზის ცვლილებებმა განაპიროება მათი ტექნიკური თუ შინაარსობრივი თვალსაზრისით გაუმართაობა და მოუქნელობა. ამასთან, ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთიდაიგივე საკითხი მოწესრიგებულია რამდენიმე კანონით ერთდროულად. შესაბამისად, ერთი საკითხის ირგვლივ სამართლებრივი ბაზა ან მიმოფანტულია სხვადასხვა კანონებში, ან იდენტურად არის დარეგულირებული სხვადასხვა ნორმატიული აქტებით. აღნიშნული მიუთითებს განათლების უფლების მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობის დახვეწის აუცილებლობაზე და თანამედროვე ქართულ კანონმდებლობას აყენებს ახალი გამოწვევების წინაშე.

თავი V განათლების უფლების მარეგულირებელი თანამედროვე ქართული კანონმდებლობის გამოწვევები

5.1. განათლების უფლება, როგორც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს განვითარების საფუძველი

„განათლების უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა, რომლის რეალიზაციაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული არა მხოლოდ პიროვნების, არამედ მთელი საზოგადოების განვითარება. პიროვნების მიერ სრული და შესაფერისი განათლების მიღებაზეა დამოკიდებული საზოგადოებაში ღირსეული ადგილის მოპოვება. რაც უფრო მაღალია მთლიანად საზოგადოების განათლების დონე, მით უფრო გარანტირებულია საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობა.“[356]

,,განათლების ფუძემდებლური უფლება ხელისუფლებისგან მოითხოვს გარკვეულ ქცევას თითოეული ადამიანის მიმართ. სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს, დაიცვას და შეასრულოს განათლების უფლება.“[357]

განათლების მიღება ადამიანს ეხმარება აიმაღლოს ცნობიერება მის სხვა უფლებებზე და გამოიყენოს ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში.

იუნესკოს (UNESCO) მიერ 2016 წელს ჩატარებული ბოლო სტატისტიკის თანახმად 263 მილიონი ბავშვი და ახალგაზრდა არის სკოლის მიღმა დარჩენილი. აქედან, 142 მილიონია 15-17 წლამდე, 61 მილიონი უნდა დადიოდეს დაწყებით სკოლაში, ხოლო 60 მილიონი (12-14 წლამდე ბავშვები) საშუალო სკოლაში.[358]

---

[356] იხ. რუხაძე ზ., ,,საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.11&d=HASH018e083605e388a0f0c0f1d1.6.8.19&gt=1 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.03.2019;

[357] იხ. ,,განათლების უფლება“ http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=samartal&cl=CL4.3&d=HASHfb846b36a6403d837daa38.11 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.03.2019;

[358] იხ. ,,right to education“ https://theirworld.org/explainers/right-to-education - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.04.2019;

განათლება ამცირებს სიღარიბეს, სოციალურ უთანასწორობას, აძლიერებს ქალებს და ეხმარება თითოეულ ადამიანს განავითაროს მისი პოტენციალი. იგი ასევე ქვეყნისთვის გამოიმუშავებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ მდგრადობას და ეხმარება საზოგადოებებს, მიაღწიონ მშვიდობას და განვითარებას. განათლება არის გასაღები ყველა ადამიანის უფლებების მისაღებად. [359]

განათლების უფლება თავის მხრივ ასევე გულისხმობს, მიიღო ხარისხიანი განათლება დისკრიმინაციის გარეშე, რაც გულისხმობს, იმას, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა ბავშვისთვის დაწყებითი განათლების დაფინანსება და უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა. იგი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებას და შესაბამისად ყველა ქვეყნის მთავრობა ვალდებულია უზრუნველყოს თავიანთი მოქალაქეებისთვის განათლების ხელმისაწვდომობა. მათ უნდა დაისახონ გეგმები, იმისთვის რომ უზრუნველყოფილ იქნეს თავისუფალი, სავალდებულო დაწყებითი განათლების მინიმალური სტანდარტის დაკმაყოფილება და შემდეგ მიიღონ ზომები ყველა ბავშვისთვის განათლების უფლების გასაგრძელებლად. ისევე როგორც მთავრობები, სხვა ორგანიზაციები და კერძო პირები მონაწილეობენ ყველა ბავშვისთვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. ესენი არიან მთავრობათაშორისი უწყებები, როგორიცაა იუნესკო, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, ბიზნესები, სამოქალაქო საზოგადოებები და მშობლები.[360]

განათლება არის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც დიდ როლს თამაშობს თანამედროვე, ინდუსტრიულ სამყაროში. ადამიანებს სჭირდებათ განათლება გადარჩენისთვის. საბედნიეროდ დღესდღეობით, უფრო და უფრო მეტი ადამიანი აანალიზებს რამდენად მნიშვნელოვანია განათლება მომავალი თაობისთვის. სახელმწიფოების მხრიდან, უფრო მეტი რესურსი და ფინანსები იხარჯება კარგი საგანმანათლებლო სისტემის შექმნაზე. ამავე დროს, საზოგადოება აქტიურად არის ჩართული მოიპოვოს დაფინანსება და გააგრძელოს სწავლა განათლების სხვადასხვა საფეხურზე. თითოეული ჩვენგანი ბავშვობიდან დიდ დროს უთმობს განათლების

[359] იხ. იქვე;
[360] იხ. იქვე;

მიღებას. ხალხს სჭირდება განათლების მაღალი დონე უკეთესი მომავლისთვის. განათლება არ აძლევს ადამიანს მხოლოდ წერა-კითხვის შესაძლებლობას ის ასევე აძლევს კარგი ცხოვრების შესაძლებლობას, უკეთესი კომუნიკაციის უნარს, ახალი ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობასა
და ეკონომიკურ მხარდაჭერას.[361]

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ განათლება სახელმწიფოს მთავარი მამოძრავებელი ძალაა. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს განვითარებაში განათლების როლის გააზრება, კერძოდ, თუ რას წარმოადგენს სახელმწიფოსთვის განათლებული, მოტივირებული და საკუთარ ძალებში დარწმუნებული მოქალაქე, რადგან პროგრესის და განვითარების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ განათლებული თაობის მეშვეობით. განათლების სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური დონის ამაღლება.

აღნიშნული დონის მისაღწევად პირველ რიგში უმნიშვნელოვანესია ყველასთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სისტემის დანერგვა, რომელიც იძლევა ისეთი განათლების მიღების შესაძლებლობას, რომ სახელმწიფომ შეძლოს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს შორის თავის დამკვიდრება. მხოლოდ განათლების მაღალი დონე არის პასუხი იმ გამოწვევებზე, რომლებიც დღესდღეობით დგას ქვეყნის წინაშე და მნიშვნელოვანია ქვეყნის სრულფასოვანი განვითარებისთვის. განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისთვის, რომლის ტერიტორიის ნაწილი გახლავთ ოკუპირებული და სიღარიბის დონე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ განახორციელოს მასშტაბური ინვესტიციები განათლებაში, რაც ქვეყანას ხელს შეუწყობს სწრაფ განვითარებაში.

განათლების უფლებას მყარი საფუძველი აქვს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალში. ის განმტკიცებულია ადამიანის უფლებების მრავალ უნივერსალურ და რეგიონულ დოკუმენტში.[362]

---

[361] იხ. http://www.educationviews.org/the-importance-of-education-in-our-society/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.03.2019;
[362] იხ. იქვე;

,,საერთაშორისო დონეზე განათლების უფლება აღიარებულ იქნა მთელ რიგ საყოველთაო და რეგიონალურ დოკუმენტებში, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიიღეს, სადაც ეს უფლება ასახავს ადამიანის უფლებათა როგორც ლიბერალურ, ისე სოციალისტურ კონცეფციას. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლი აცხადებს ყოველი ადამიანის უფლებას უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებაზე და თანაბარ ხელმისაწვდომობას უმაღლეს განათლებაზე, ასევე მშობელთა უფლებას თავიანთი შვილებისათვის განათლების არჩევაზე. სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობისა და სახელმწიფოს პოზიტიურ ქმედებათა მოთხოვნის მსგავსი კომბინაცია არის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-13 მუხლში და გაეროს ბოლოდროინდელ დოკუმენტებში, თუმცა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ECHR) პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი ძირითად აქცენტს აკეთებს მშობლების უფლებაზე - აირჩიონ განათლება თავიანთი შვილებისათვის.“[363]

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული განათლების მიზნები და ამოცანები როგორც ზემოთ აღინიშნა, აღიარებულია ჯერ კიდევ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, რომლის 26-ე მუხლი აცხადებს, რომ: ,,1. ყველას აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი _ ერთნაირად ხელმისაწვდომი ყველასათვის უნარის შესაბამისად. 2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გაძლიერებისაკენ. იგი ხელს უნდა უწყობდეს ყველა ხალხის, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობას, მეგობრობას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას

[363] იხ. ნოვაკი მ. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები: განათლების უფლება“, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-1l--11-ka-00---10-en-50--00-3-about-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-1utfZz-8-10&cl=CL2.7&d=HASH01b75e94e1fa8d3d8337472a.2.7&gt=1&fbclid=IwAR2twPu_dY8PqZxKLoN6NUgkguM_JkoQV_XHxvxgG_5U5S5zjlkSPGDKMa0 - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.04.2019;

მშვიდობის შესანარჩუნებლად. 3. მშობლებს აქვთ უპირატესი უფლება აირჩიონ, თუ რა სახის განათლება სურთ თავიანთი შვილებისათვის.[364]“

,,განათლების უფლების მიზნებისა და ამოცანების ყველაზე დეტალური დებულებები საერთაშორისო სამართალში შეიძლება მოვიძიოთ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 29(1)-ე მუხლში, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ 1989 წლის ნოემბერში იქნა მიღებული, უკვე თითქმის 190-ზე მეტი ქვეყნის მიერ არის რატიფიცირებული[365] და აქედან გამომდინარე, იგი შეიძლება ჩაითვალოს როგორც ყველაზე უფრო ფართოდ აღიარებული სტანდარტი ამ სფეროში. მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ბავშვის განათლება მიმართული უნდა იყოს:

ა) ბავშვის პიროვნების, ნიჭის და გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების სრული პოტენციალით განვითარებაზე;

ბ) ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი და აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით აღიარებული პრინციპებისადმი პატივისცემის განვითარებაზე;

გ) პატივისცემის განვითარებაზე ბავშვის მშობლებისადმი, მისი კულტურული თვითმყოფადობისადმი, ენისა და ღირებულებებისადმი, იმ ქვეყნის ეროვნული ღირებულებებისადმი, სადაც ბავშვი ცხოვრობს, საიდანაც ის შეიძლება წარმოშობით იყოს და საკუთარისგან განსხვავებული ცივილიზაციებისადმი;

დ) ბავშვის მომზადებაზე თავისუფალ საზოგადოებაში შეგნებული ცხოვრებისათვის, ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, მამაკაცისა და ქალის თანასწორობის და ყველა ხალხთა, ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ ჯგუფებს, ასევე მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით;

ე) ბუნებრივი გარემოს მიმართ პატივისცემის განვითარებაზე.“[366]

---

[364] იხ. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ 60 წლისთავი სპეციალური გამოცემა 1948-2008 , http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.04.2019;

[365] იხ. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია (1989 წლის 20 ნოემბერი) https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.04.2019;

[366] იხ. ნოვაკი მ. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები: განათლების უფლება“, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-1l--11-ka-00---10-en-50--00-3-about-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-1utfZz-8-

,,სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს საერთაშორისო სამართლით დადგენილი პირობების დაცვა, როგორიცაა, სავალდებულო და უფასო დაწყებითი განათლება ან საშუალო განათლებაზე საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა, მაგალითად საკანონმდებლო ღონისძიებების, სახელმწიფო ზედამხედველობისა და სუბსიდიების მეშვეობით. ამის შედეგად განხორციელდება სახელმწიფოს მიერ განათლების უფლებით სარგებლობის ვალდებულების დაცვა ჰორიზონტალურ დონეზე.“[367]

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ფუნდამენტური ცვლილების თანახმად, სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებად განისაზღვრა რომ ,,სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე.“[368] აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ განათლების განვითარებაზე ზრუნვა არის როგორც კონსტიტუციით აღიარებული უფლება, ასევე ქვეყნის ძირითადი მიმართულება.

შედეგზე ორიენტირებული განათლების მიღება შესაძლებელია, მხოლოდ თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, რაც ასახული უნდა იყოს ქვეყნის განათლების სისტემაში. მნიშვნელოვანია თაობების ცვლასთან ერთად დაინერგოს თანამედროვეობასთან შესაბამისი განათლების სისტემა, რომელიც განიცდის ცვლილებებს და ორიენტირებულია ახალ გამოწვევებზე.

,,ბოლო წლებში განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმირებაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ქვეყანამ გაატარა რიგი რეფორმები, რომლებიც მიმართული იყო პოსტ-საბჭოთა განათლების სისტემის გარდაქმნისა და ახალი სისტემის შექმნისკენ, რაც შესაბამისობაში მოვიდოდა სწრაფად ცვლად მსოფლიო მოთხოვნებთან და საერთაშორისო სარბიელზე კონკურენტუნარიანი იქნებოდა.

10&cl=CL2.7&d=HASH01b75e94e1fa8d3d8337472a.2.7&gt=1&fbclid=IwAR2twPu_dY8PqZxKLoN6NUgkguM_JkoQV_XHxvxgG_5U5S5zjlkSPGDKMa0 - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.04.2019;

[367] იხ. იქვე.

[368] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5, პუნქტი 6, საქართველოს პარლამენტი 24/08/1995, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.03.2019;

სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, კვლავ რჩება ბევრი გამოწვევა განათლების და გადამზადების სერვისების ხარისხთან და თანასწორ ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში. ასევე, გამოწვევებს შორის არის განათლების კავშირი შრომის ბაზართან, მეცნიერებისა და კვლევების განვითარების ხელშეწყობა.“[369]

,,განათლებასა და მეცნიერებას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისათვის. მაღალი ხარისხის განათლება და მეცნიერება არის სოციალური კონსოლიდაციის გარანტი. მაღალი ხარისხის განათლება ხელს უწყობს კეთილდღეობის ამაღლებას რაც პიროვნული, სოციალური და პროფესიული განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ამ მიზნების მისაღწევად, საგანმანათლებლო სისტემა უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და ქვეყნის ყველა მოქალაქე უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მდგრადი შედეგების მიღწევის შესაძლებლობით. განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, ქართული საგანმანათლებლო სისტემა ჯერ კიდევ დგას გარკვეული გამოწვევის წინაშე. სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, კვლავ რჩება ბევრი გამოწვევა განათლების და გადამზადების სერვისების ხარისხთან და თანასწორ ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში. გამოწვევებს შორისაა განათლების კავშირი შრომის ბაზართან, სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება განათლების ყველა საფეხურზე, ასევე, მეცნიერებისა და კვლევების ხელშეწყობა. სამართლებრივ რეგულირებას და სისტემის გარკვეულ ცვლილებას საჭიროებს განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო ჩიხების აღმოფხვრა.“[370]

,,განათლების უფლება ყველა თვალსაზრისით განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორია. ვერც ერთი ქვეყანა ვერ მიაღწევს მდგრად ეკონომიკურ სიძლიერეს ადამიანურ რესურსებში კაპიტალის დაბანდების გარეშე. განათლება ამაღლებს ადამიანის თვითშეგნებას და მსოფლმხედველობას, აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს, სოციალურ ყოფას, ზრდის მათ პროდუქტიულობასა და ტექნოლოგიურ

---

[369] იხ. ,,განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 (პროექტი)“ http://www.mes.gov.ge/uploads/სტრატეგია/განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია.pdf - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.03.2019;

[370] იხ. იქვე;

მიღწევებს, რაც დადებითად აისახება ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე.“[371]

,,განათლება ადამიანის უფლებების განხორციელების წინაპირობაა. მრავალი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებით სარგებლობისათვის, როგორიცაა - ინფორმაციის, გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, ხმის მიცემის უფლება და უფლება იქნეს არჩეული, ან საჯარო სამსახურზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება, სულ ცოტა, განათლების მინიმალურ დონეზეა დამოკიდებული, წერა-კითხვის ცოდნის ჩათვლით. ანალოგიურად, მრავალი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლება, როგორიცაა შრომის არჩევის, თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურების, პროფესიული კავშირების შექმნის, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის, მეცნიერული პროგრესის შედეგებით სარგებლობისა და მათი გამოყენების და შესაძლებლობის საფუძველზე უმაღლესი განათლების მიღების უფლებების გონივრული განხორციელება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც მიღწეულია განათლების მინიმალური დონე.“[372]

,,განათლება შეიძლება განისაზღვროს როგორც პროცესი და აგრეთვე როგორც ამ პროცესის კონკრეტული ფაზა. პროცესთან დაკავშირებით ჩვენ უნდა გავმიჯნოთ სხვადასხვა სუბიექტები, რომლებსაც შესაძლოა სხვადასხვა (ზოგჯერ კონკურენტული) მოთხოვნები ჰქონდეთ თავიანთი განათლების უფლების მიმართ: ერთი, რომელიც უზრუნველყოფს განათლებას (მასწავლებელი, საგანმანათლებლო დაწესებულების მეპატრონე, მშობლები), მეორე, რომელიც ღებულობს განათლებას (ბავშვი, მოსწავლე, სტუდენტი), და მესამე, რომელიც კანონიერადაა პასუხისმგებელი იმ პირებზე,

---

[371] იხ. Ozturk I., ,,The role of education in economicdevelopment: a theoretical perspective“, 2001, https://mpra.ub.uni-muenchen.de/9023/1/MPRA_paper_9023.pdf - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.04.2019;

[372] იხ. ნოვაკი მ. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები: განათლების უფლება“, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-1l--11-ka-00---10-en-50--00-3-about-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-1utfZz-8-10&cl=CL2.7&d=HASH01b75e94e1fa8d3d8337472a.2.7&gt=1&fbclid=IwAR2twPu_dY8PqZxKLoN6NUgkguM_JkoQV_XHxvxgG_5U5S5zjlkSPGDKMa0 - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.04.2019;

რომლებიც ღებულობენ განათლებას (მშობლები, კანონიერი მეურვეები, საზოგადოება და სახელმწიფო).“[373]

განათლების უფლებაზე, როგორც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს განვითარების საფუძველზე მსჯელობისას საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის სიტყვები - „თუ ჩვენი ხალხის ბედნიერება გვინდა, უნდა ვეცადოთ, რომ იმისი მდგომარეობა გავაუმჯობესოთ: სწავლაც შევძინოთ და უკეთესის ცხოვრების ღონეც მივსცეთ. ეს ისეთი ნათელი ჭეშმარიტებაა, რომ ვინც ამას უარყოფს, ან სრულებით ბნელში უნდა დადიოდეს, ან სინათლეს თვალებახვეული უცქეროდეს.“[374]

წინა თავებში, განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტების, მათი იმპლემენტაციის საქართველოს კანონმდებლობაში განხილვამ და განათლების უფლების მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობის სამართლებრივმა კვლევამ იურიდიული ტექნიკის კუთხით გვაჩვენა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტები და ამ ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებები განათლების უფლების დაცვის კუთხით იმპლემენტირებულია საქართველოს კანონმდებლობაში, მაგრამ განათლების უფლების დაცვის საკანონმდებლო მექანიზმები დახვეწას საჭიროებს და თანამედროვე ქართული კანონმდებლობა დგას ახალი გამოწვევების წინაშე. განათლების უფლების დაცვის ყველაზე პროდუქტიული მექანიზმი კი სრულყოფილი და დახვეწილი განათლების უფლების მარეგულირებელი კანონმდებლობაა.

აღსანიშნავია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ,,უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმას, რომ მოქმედი ნორმები ყველას მიერ იქნეს დაცული და შესრულებული, არამედ თვით ამ ნორმების შინაარსსაც. ნორმათა შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზოგადსაკაცობრიო და მორალურ ღირებულებებს, არ უნდა იყოს დისკრიმინაციული, არ უნდა ლახავდეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.”[375]

---

[373] იხ. იქვე;

[374] იხ. თეთრუაშვილი ზ. ,,ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის გონებრივი განვითარების, ზნეობრივი განწმენდისა და ქონებრივი გაღონიერების შესახებ (აზრების კრებული)“ გორი 22.02.12 – 15.10.14, გვ. 93;

[375] იხ. ზურაბ ნაცვლიშვილი ,,ნორმატიული აქტის შედგენის ტექნიკა” სამართლის ჟურნალი ,,სარჩევი”, თბილისი 2010, 7გვ.

,,იმისათვის, რომ კანონი სახელმწიფოში მტკიცე ავტორიტეტით სარგებლობდეს და ქმედითი იყოს, აუცილებელია, რომ იგი თანამედროვე საკანონმდებო ტექნიკის მოთხოვნებს უპასუხებდეს. საკანონმდებლო ტექნიკა არის პრინციპების, კრიტერიუმების განსაზღვრული სისტემა, რომელთა დაცვაც აუცილებელია საკანონმდებლო და კანონქვემბდებარე აქტების შექმნის პროცესში. კანონშემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკური მხარის მაღალკვალიფიციურად შესრულება სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა."[376]

მხოლოდ ფორმალური სამართალშემოქმედების პროცესი ვერ უზრუნველყოფს განათლების უფლებების რეალიზაციას. აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია საქართველოში განათლების უფლების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების სისტემატიზაცია და მოქნილობის უზრუნველყოფა, ასევე მნიშვნელოვანია საკანონმდებლო აქტებში გაიმიჯნოს განათლების უფლების დაცვისა და აღსრულების ელემენტები.

5.2. საქართველოში განათლების უფლების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების სისტემატიზაცია და მოქნილობის უზრუნველყოფა

წინა თავში, განათლების უფლების მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობის, კერძოდ: ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის; ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის; ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მიმოხილვისას ვნახეთ, რომ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებს (მაგ. სწავლების ენა, ძირითადი გარანტიები, ავტორიზაცია, აკრედიტაცია და ა.შ.) არეგულირებს ყველა ზემოხსენებული კანონი და სიტყვა-სიტყვით იმეორებს სამართლებრივი ნორმის შინაარსს, აღნიშნული ზრდის სამართლებრივი ნორმებს შორის შესაძლო კოლიზიის რისკს. გარდა ამისა განათლების უფლების

[376] იხ. ლევან ბეჟაშვილი ,,საკანონმდებლო ტექნიკა" სამართალშემოქმედების მეთოდური სახელმძღვანელო, თბილისი 2012, 10გვ.

მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები არასისტემატიზირებულია და ისინი გადანაწილებულია ოთხ კანონში.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მდგომარეობაა ბულგარეთში, ესტონეთში, ირლანდიაში, ლატვიაში, ლიეტუვაში, პოლონეთში, უნგრეთში, შვედეთში, ფინეთში, ჩეხეთში, ხორვატიაში, ჰოლანდიაში, სადაც ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების შესახებ მოქმედებს სხვადასხვა კანონები. აქედან, ქვეყნების ერთ ჯგუფში (ირლანდია, პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი), განათლების კანონი/კანონთა ჯგუფი/კონსოლიდირებული ვერსია არეგულირებს ზოგადი და ასევე პროფესიული განათლების საკითხებს, თუმცა აღნიშნული კანონი/კანონთა ერთობლიობა არ ეხება უმაღლეს განათლებას. ზოგიერთ ქვეყანაში კი (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი), ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების შესახებ სპეციალურ კანონებთან ერთად, მოქმედებს ზოგადი ხასიათის კანონი განათლების შესახებ, რომელიც მოიცავს როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული და უმაღლესი განათლების საკითხებს. დანარჩენ ქვეყნებში (ბულგარეთი, შვედეთი, ფინეთი, ხორვატია, ჰოლანდია) ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საკითხები ცალ-ცალკე კანონებით რეგულირდება.[377]

---

[377] იხ. **ბულგარეთი**

- კანონი სკოლამდელი და სასკოლო განათლების შესახებ (Pre-School and School Education Act) http://lll.mon.bg/uploaded_files/ZAKON_za_preducilisnoto_i_ucilisnoto_obrazovanie_EN.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- კანონი პროფესიული განათლებისა და მომზადების შესახებ (Vocational Education and Training Act) http://www.unesco.org/education/edurights/media/docs/46d8fa71cda79dfa5940a4b43f2408d274603937.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (Higher Education Act) http://lll.mon.bg/uploaded_files/zkn_visseto_obr_01.03.2016_EN.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- Eurydice. Bulgaria. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-9_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

ესტონეთი

- ესტონეთის რესპუბლიკის კანონი განათლების შესახებ (Republic of Estonia Education Act) https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/529012018007/consolide უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- კანონი სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურების შესახებ (Basic Schools and Upper Secondary Schools Act) https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/530102013042/consolide უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- კანონი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ Vocational Educational Institutions Act https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/517062014003/consolide/current უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (Higher Education Act) https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/Riigikogu/act/529082019022/consolide უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

➢ Eurydice. Estonia. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-20_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

ირლანდია

➢ 1998 წლის განათლების კანონი (კონსოლიდირებული ვერსია) EDUCATION ACT 1998 REVISED http://revisedacts.lawreform.ie/eli/1998/act/51/revised/en/html#SEC39 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

➢ 1930 წლის კანონი პროფესიული განათლების შესახებ (VOCATIONAL EDUCATION ACT, 1930) შესაბამის ცვლილებებთან ერთად. http://www.irishstatutebook.ie/eli/1930/act/29/enacted/en/html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

➢ 1997 წლის კანონი უნივერსიტეტების შესახებ (UNIVERSITIES ACT, 1997) http://www.irishstatutebook.ie/eli/1997/act/24/enacted/en/html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

➢ 2006 წლის კანონი ტექნოლოგიური ინსტიტუტების შესახებ (INSTITUTES OF TECHNOLOGY ACT 2006) http://www.irishstatutebook.ie/eli/2006/act/25/enacted/en/html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

➢ Eurydice. Ireland. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-31_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

ლატვია

➢ განათლების შესახებ კანონი (Education Law) https://likumi.lv/ta/en/en/id/50759-education-law უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

➢ კანონი ზოგადი განათლების შესახებ (General Education Law) https://likumi.lv/ta/en/en/id/20243-general-education-law უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

➢ კანონი პროფესიული განათლების შესახებ (Vocational Education Law) https://likumi.lv/ta/en/en/id/20244-vocational-education-law უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

➢ კანონი უმაღლესი საგანმანათლებლო უწყებების შესახებ (Law on Higher Education Institutions) https://likumi.lv/ta/en/en/id/37967-law-on-institutions-of-higher-education
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

➢ Eurydice. Latvia. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-34_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

ლიეტუვა

➢ ლიეტუვის რესპუბლიკის განათლების კანონი REPUBLIC OF LITHUANIA LAW ON EDUCATION https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/07c2ecf0168711e6aa14e8b63147ee94?jfwid=q8i88lumk
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

➢ ლიეტუვის რესპუბლიკის კანონი პროფესიული განათლების შესახებ (REPUBLIC OF LITHUANIA LAW ON VOCATIONAL EDUCATION) https://e-seimas.lrs.lt/rs/legalact/TAD/TAIS.404611/format/ISO_PDF/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

➢ ლიეტუვის რესპუბლიკის კანონი უმაღლესი განათლებისა და კვლევის შესახებ (REPUBLIC OF LITHUANIA LAW ON HIGHER EDUCATION AND RESEARCH) https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/548a2a30ead611e59b76f36d7fa634f8?jfwid=rp9xf47k7
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

➢ Eurydice. Lithuania. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-38_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

პოლონეთი

➢ 2016 წლის 14 დეკემბრის კანონი სასკოლო განათლების შესახებ (The Act of 14 December 2016, the Law on School Education) და 2016 წლის სასკოლო განათლების შესახებ კანონის დამნერგავი დებულებები (The Provisions introducing the Law on School Education of 2016). http://prawo.sejm.gov.pl/isap.nsf/DocDetails.xsp?id=WDU20170000059 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

➢ 1991 წლის სასკოლო განათლების შესახებ კანონი (The School Education Act of 1991) http://prawo.sejm.gov.pl/isap.nsf/DocDetails.xsp?id=WDU19910950425 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
➢ კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (the Law on Higher Education) http://prawo.sejm.gov.pl/isap.nsf/DocDetails.xsp?id=WDU20051641365 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
➢ European Agency for Special Needs and Inclusive Education. Country information for Poland - Legislation and policy https://www.european-agency.org/country-information/poland/legislation-and-policy უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
➢ Eurydice. Poland. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-50_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

უნგრეთი

➢ კანონი ეროვნული საჯარო განათლების შესახებ (Act CXC of 2011 on National Public Education) http://www.ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/106832/131356/F-1702001629/act_national_education.pdf
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
➢ კანონი სასკოლო განათლებისთვის სახელმძღვანელოების უზრუნველყოფის შესახებ (Act CCXXXII of 2013 on Textbook provision for school education) https://mkogy.jogtar.hu/jogszabaly?docid=a1300232.TV
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
➢ კანონი პროფესიული განათლების შესახებ (Act CLXXXVII of 2011 on Vocational Education) (modified by Act LXVI of 2015) https://net.jogtar.hu/jogszabaly?docid=A1100187.TV უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
➢ კანონი ზრდასრულთა განათლების შესახებ (Act LXXVII of 2013 on Adult Education) (modified by Act LXVI of 2015) https://net.jogtar.hu/jogszabaly?docid=A1300077.TV უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
➢ კანონი პროფესიული განათლებისთვის რესურსების გამოყოფისა და სწავლების განვითარების შესახებ Act CLV of 2011 on the contribution to VET and on the support for the development of training https://net.jogtar.hu/jogszabaly?docid=A1100155.TV უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
➢ კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (Act CCIV of 2011 on Higher Education) http://www.mab.hu/web/doc/hac/regulations/Ftv2012_Eng.pdf
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
➢ Eurydice. Hungary. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-29_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

ფინეთი

➢ კანონი საბაზო განათლების შესახებ (Basic Education Act). http://www.finlex.fi/en/laki/ajantasa/1998/19980852 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
➢ კანონი ზოგადი განათლების მაღალი საფეხურის შესახებ (General Upper Secondary Schools Act). http://www.finlex.fi/fi/laki/ajantasa/2018/20180714 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
➢ კანონი პროფესიული მომზადების შესახებ (Vocational Training Act). http://www.finlex.fi/fi/laki/ajantasa/2017/20170531 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
➢ კანონი უნივერსიტეტების შესახებ (Universities Act) http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/2009/en20090558 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
➢ Eurydice. Finland. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-21_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

შვედეთი

➢ კანონი განათლების შესახებ (The Education Act) https://www.riksdagen.se/sv/dokument-lagar/dokument/svensk-forfattningssamling/skollag-2010800_sfs-2010-800 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
➢ კანონი უმაღლესი პროფესიული განათლების შესახებ (Higher Vocational Education Act) https://www.riksdagen.se/sv/dokument-lagar/dokument/svensk-forfattningssamling/lag-2009128-om-yrkeshogskolan_sfs-2009-128 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ,,ზოგადი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ და ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონებში, როგორც წინა თავებში ავღნიშნეთ, მათი მიღების დღიდან განხორციელდა მრავალი ცვლილება, რაც

- კანონი შვედეთის უმაღლესი განათლების შესახებ (The Swedish Higher Education Act) https://www.uhr.se/en/start/laws-and-regulations/Laws-and-regulations/The-Swedish-Higher-Education-Act/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- Eurydice. Sweden. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-71_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

ჩეხეთი

- კანონი განათლების შესახებ (2004 წლის 24 სექტემბრის #561 კანონი სკოლამდელი, საბაზისო, საშუალო და უმაღლესი პროფესიული და სხვა სახის განათლების შესახებ - ACT No. 561 of 24th September 2004 on Pre-school, Basic, Secondary, Tertiary Professional and Other Education (the Education Act) http://www.msmt.cz/uploads/soubory/IMzakon561ponovelach.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- კანონი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ (Act on Higher Education Institutions) http://www.msmt.cz/file/43791_1_2/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- Eurydice. Czech Republic. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-17_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

ხორვატია

- კანონი დაწყებითი და საშუალო განათლების შესახებ https://www.zakon.hr/z/317/Zakon-o-odgoju-i-obrazovanju-u-osnovnoj-i-srednjoj-%C5%A1koli უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- კანონი სამეცნიერო საქმიანობისა და უმაღლესი განათლების შესახებ https://www.zakon.hr/z/320/Zakon-o-znanstvenoj-djelatnosti-i-visokom-obrazovanju უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- კანონი უმაღლეს განათლებასა და მეცნიერებაში ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ https://www.zakon.hr/z/321/Zakon-o-osiguravanju-kvalitete-u-znanosti-i-visokom-obrazovanju უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- კანონი პროფესიული განათლების შესახებ https://www.zakon.hr/z/383/Zakon-o-strukovnom-obrazovanju უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- Eurydice. Croatia. Overview. https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/croatia_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- Eurydice. Croatia. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-11_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

ჰოლანდია

- Eurydice. Netherlands. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-47_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- კანონი დაწყებითი განათლების შესახებ (The Primary Education Act) https://wetten.overheid.nl/BWBR0003420/2017-01-01 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- კანონი ზოგადი განათლების ზედა საფეხურის შესახებ (The Secondary Education Act) https://wetten.overheid.nl/BWBR0002399/2017-01-01 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- კანონი პროფესიული განათლების შესახებ (The Adult and Vocational Education Act) https://wetten.overheid.nl/BWBR0007625/2013-09-01#Opschrift უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.
- კანონი უმაღლესი განათლებისა და კვლევის შესახებ (The Higher Education and Research Act) https://wetten.overheid.nl/BWBR0005682/2017-01-01 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

განპირობებული იყო იმით, რომ აღნიშნული კანონები სფეროს მარეგულირებელ ზედმეტად დეტალიზებულ ნორმებს ითვალისწინებდა. ეს გარემოება კი როგორც საკანონმდებლო ჩარჩოს, ასევე საგანმანათლებლო სფეროების მართვას მეტად მოუქნელს ხდის. აღნიშნულ კანონებში განხორციელებულმა მრავალგზის ცვლილებებმა განაპიროება მათი ტექნიკური თუ შინაარსობრივი თვალსაზრისით გაუმართაობა და მოუქნელობა. ამასთან, ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთიდაიგივე საკითხი მოწესრიგებულია რამდენიმე კანონით ერთდროულად. შესაბამისად, ერთი საკითხის ირგვლივ სამართლებრივი ბაზა ან მიმოფანტულია სხვადასხვა კანონებში, ან იდენტურად არის დარეგულირებული სხვადასხვა კანონებით.

პრაქტიკაში ნორმათა ინტერპეტაციის არაერთგვაროვნებით გამოწვეული კოლიზიების თავიდან აცილების, სრულყოფილი საკანონმდებლო მექანიზმის შექმნის და კონკრეტული ინსტრუმენტების მოქნილობის მიზნით, მიზაშეწონილია განათლების უფლების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების ზოგადი ფორმულირების მეთოდიკით ჩამოყალიბება. რაც საშუალებას მოგვცემს კანონქვემდებარე აქტების მიღებით, მოქნილი მექანიზმით დროულად მოხდეს გამოწვევებზე რეაგირება

5.3. საკანონმდებლო აქტებში განათლების უფლების დაცვისა და აღსრულების ელემენტების გამიჯვნა

საქართველოში განათლების უფლების სრულყოფილად რეალიზაციის მიზნით, ერთ-ერთ გამოწვევად შეგვიძლია მივიჩნიოთ საკანონმდებლო აქტებში განათლების უფლების დაცვისა და აღსრულების ელემენტების გამიჯვნა. განათლების უფლების დაცვის ელემენტები ასახული უნდა იყოს განათლების უფლების მარეგულირებელ კანონებში, რომლის მიღება საქართველოს პარლამენტის კომპეტენციაა, ხოლო აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა აღასრულოს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები და შექმნას, აღსრულების მექანიზმები. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება არ უნდა იჭრებოდეს ერთმანეთის კონპეტენციაში, რაც დღეს მოქმედ, განათლების უფლების მარეგულირებელ ქართულ კანონმდებლობაში,

კერძოდ: ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში; ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში და ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში იკითხება.

წინა თავში, ზემოხსენებული კანნების მიმოხილვისას ვნახეთ, რომ ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი; ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი დეტალურად აწესრიგებს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებს, ისე დეტალურად რომ თითქმის კანონები დაყვანილია ინსტრუქციებამდე. კანონის თითოეულ ნორმაში გვხვდება, როგორც პარლამენტის მიერ განსაზღვრული განათლების უფლების დაცვის ელემენტები, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის კონკრეტული სამართლის ნორმის აღსრულების მიზნით დადგენილი მექანიზმები.

განათლების უფლების რეალიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანია ხელისუფლების დანაწილების პრინციპის სწორად განხორციელება და საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას შორის ფუნქციების მკაფიოდ გამიჯვნა. ვინაიდან ,,კანონების შემუშავებისას ჩნდება შემდეგი კითხვა: დეტალურად უნდა აწესრიგებდეს თუ არა კანონი ყველა ცალკეულ საკითხს, რომელნიც თავს იჩენენ კანონის გამოყენებისას? საკმარისია, რომ კანონმა მოაწესრიგოს მხოლოდ ძირითადი საკითხები და ფართო დისკრეციული უფლებამოსილება მიანიჭოს ადმინისტრაციულ ორგანოებს კანონის შესრულებისას?”[378]

განათლების უფლების დაცვისა და აღსრულების პროცესში ,,ოპტიმალურად სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას წარმოადგენს ის გარემოება, როდესაც გადაწყვეტილებები იმ ორგანოს მიერ არის მიღებული, რომელიც თავისი ორგანიზაციით, ფუნქციით, უფლებამოსილებითა და პროცედურული წესებით ყველაზე მეტად აკმაყოფილებენ შესაბამის წინაპირობებს. ეს პრინციპი არა მარტო ხელისუფლების სამი შტოს ფუნქციონალური დაყოფისთვის არის აუცილებელი, არამედ თავად

[378] იხ. თომას ვიუთენბერგერი, საკანონმდებლო ინიციატივის პროცედურული ასპექტები, ქართული სამართლის მიმოხილვა 7/2004-2/3, გვ. 258

ხელისუფლების ერთი შტოს ფარგლებშიც პროცესების რაციონალური რეგულირებისთვის არის მნიშვნელოვანი“.[379]

ვფიქრობთ, საქართველოში არსებული პრაქტიკა, პარლამენტმა დეტალურად მოაწესრიგოს კანონით ყველა ცალკეული საკითხი, რომლებიც თავს იჩენს კანონის გამოყენებისას, ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების პრინციპსა და განათლების უფლების დაცვისა და აღსრულების ელემენტების გამიჯვნას. ვინაიდან საკანონმდებლო ხელისუფლების ძირითადი ფუნქციაა საკნონმდებლო ხელისუფლების განხორციელებით განსაზღვროს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებები. ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი ფუნქციაა აღასრულოს კანონები, მართოს ქვეყანა და აღასრულოს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ანუ საკანონმდებლო ხელისუფლებამ კანონებში უნდა განსაზღვროს პოლიტიკა, ხოლო აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა აღასრულოს ის და შექმნას მისი აღსრულების მექანიზმები.

მას შემდეგ, რაც განათლების უფლების მარეგულირებელი ქართული კანონებით, გაიმიჯნება განათლების უფლების დაცვისა და აღსრულების ელემენტები, განათლების უფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა მოქნილი გახდება და აღარ იქნება საჭირო სისტემატურ რეჟიმში ცვლილებების შეტანა, რაც დიდ დროს მოითხოვს. ნაცვლად იმისა რომ საქართველოს პარლამენტმა მეტი დრო დაუთმოს განათლების უფლების დაცვის მექანიძმების შექმნას და მის საკანონმდებლო უზრუნველყოფას, ის ხშირ შემთახევაში დაკავებულია განათლების უფლების მარეგულირებელ კანონებში ტექნიკური ცვლილებების შეტანით და განათლების უფლების აღსრულების უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნით, რისი ნათელი მაგალითიც არის ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, 2005 წლის 8 აპრილიდან 2019 წლის 27 ივნისის ჩათვლით, 75 კანონით შესული 983 ცვლილება-დამატება[380], ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, 2004 წლის 21 დეკემბრიდან 2019 წლის 27 ივნისის ჩათვლით 73

[379] იხ. ლევან იზორია ,,თანამედროვე სახელმწიფო და თანამედროვე ადმინისტრაცია”, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი 2009 , გვ. 195.
[380] იხ. წინამდებარე ნაშრომის IV თავი.

კანონით შესულია 1427 ცვლილება-დამატება[381] და ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში, 2010 წლის 21 ივლისიდან 2019 წლის 27 ივნისის ჩათვლით 15 კანონით შესულია 108 ცვლილება-დამატება.[382]

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, ასევე საქართველოში განათლების უფლების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების სისტემატიზაციის და მოქნილობის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საფრანგეთის მსგავსად (სადაც განათლების საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობა განათლების კოდექსშია გაერთიანებული. აღნიშნულ დოკუმენტშია მოცემული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები საფრანგეთის ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების შესახებ, კერძოდ:

I თავი - განათლების ზოგადი პრინციპები: განათლების უფლება, მიზნები და მისია, სასკოლო განათლების ვალდებულება, უფასო სწავლება ბაღსა და დაწყებით კლასებში[383], საჯარო განათლების სეკულარული (არარელიგიური) ხასიათი, განათლების თავისუფლება;

II თავი - განათლების ადმინისტრირება: ძალაუფლების განაწილება სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების უწყებებს შორის, განათლების ადმინისტრირების სერვისების ორგანიზება, განათლების ეროვნული და ადგილობრივი უწყებები, განათლების დონის შემოწმება და შეფასება;

III თავი - სწავლების ორგანიზება სკოლაში: სწავლების ზოგადი ორგანიზება, დაწყებითი განათლება, საშუალო განათლება, აგრარული და საზღვაოსნო განათლება, სასწავლო კურსები სახელოვნებო და სპორტული პროფესიებისთვის;

IV თავი - სასკოლო დაწესებულებები: სკოლები, კოლეჯები და ლიცეუმები, პროფესიული სასწავლებლები, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები, ფრანგული საგანმანათლებლო დაწესებულებები საზღვარგარეთ, სახელოვნებო და სპორტული სასწავლებლები;

---

[381] იხ. იქვე.

[382] იხ.იქვე.

[383] დაწყებითი კლასები მოიცავს 1-5 კლასებს (6-10 წელი).

V თავი - სასკოლო ცხოვრება: მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები, სასწავლო დროისა და სივრცის ორგანიზება, სასკოლო დახმარება, ჯანმრთელობა სკოლაში, კლასგარეშე, სპორტული და კულტურული ღონისძიებები;

VI თავი - უმაღლესი განათლების ორგანიზება: სწავლების ზოგადი ორგანიზება, ზოგადი საუნივერსიტეტო კურსები (მაგ. პოლიტიკური მეცნიერებები, იურიდიული, ფილოლოგიური და სხვ.) და მასწავლებელთა გადამზადება, სამედიცინო მომზადება, ტექნოლოგიური მომზადება, სასწავლო კურსები უნივერსიტეტებს გარეთ არსებულ დაწესებულებებსა და სკოლებში, მასწავლებელთა მოსამზადებელი უმაღლესი სასწავლებლები (კოლეჯები) და მსხვილი დაწესებულებები, საუნივერსიტეტო კვლევა, სწავლება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

VII თავი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები: სამეცნიერო, კულტურული და პროფესიული ხასიათის საჯარო დაწესებულებები, უნივერსიტეტები, საგანმანათლებლო და მასწავლებელთა მოსამზადებელი დაწესებულებები, კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, უმაღლესი განათლების მინისტრის დაქვემდებარებაში არსებული ადმინისტრაციული ხასიათის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სპეციალიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;

VIII - საუნივერსიტეტო ცხოვრება: უმაღლესი განათლების საჯარო მომსახურებების მომხმარებელთა უფლება-მოვალეობები, სტუდენტთა დახმარება და აკადემიური ნამუშევრები, სტუდენტთა ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა, სპორტული და კულტურული ღონისძიებები;

IX - საგანმანათლებლო პერსონალი: ზოგადი დებულებები (დასაქმება, სამუშაო პირობები და სხვ.), საგანმანათლებლო, დამხმარე და ხელმძღვანელი პოზიციები, შემოწმება და მართვა, უმაღლესი საგანმანათლებლო პერსონალი, სპეციალიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალი.)[384] საქართველოში მიღებულ იქნას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების კოდექსი, რომელშიც გაერთიანდება,

[384] იხ. საფრანგეთის განათლების კოდექსი (The code de l'éducation) https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006071191 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019.

განათლების უფლების დაცვისა და მარეგულირებელი, საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ნორმები (მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების კოდექსი დაიყოს ხუთ წიგნად, კერძოდ წიგნი I - დაეთმოს ზოგად დებულებებს; წიგნი II - ზოგად განათლებას; წიგნი III - პროფესიულ განათლებას; წიგნი IV - უმაღლეს განათლებას; წიგნი V - განათლების ხარისხის განვითარებას; წიგნი VI - მეცნიერებას, ტექნოლოგიების და ინოვაციების), ამავე დროს ეს ნორმები განსაზღვარავს ძირითად მიმართულებეს, პოლიტიკას და შექმნის საკანონმდებლო საფუძველს, რომ განათლების უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგდეს კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით.

დასკვნა

XXI-ე საუკუნეში საქართველო, ისე როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, დგას ისეთი გამოწვევის წინაშე, როგორიცაა ნანოტექნოლოგიების განვითარება და ინტელექტუალური რესურსის შექმნა, რომელიც ქვეყნის მთავარი კაპიტალი და სახელმწიფოებრიობის განვითარების საფუძველია. ზემოხსენებული გამოწვევების დაძლევა განათლების უფლების დაცვის გარეშე წარმოუდგენელია. შესაბამისად მნიშვნელოვანია დიდი ყურადღება დაეთმოს განათლების უფლების მარეგულირებელი თანამედროვე ქართული კანონმდებლობის გამოწვევებს.

ვფიქრობთ, საქართველოში დემოკრატიულმა საზოგადოებამ მიაღწია განვითარების იმ საფეხურს, როდესაც შესაძლებელია განათლების უფლების მარეგულირებელი დეტალური საკანონმდებლო აქტებით რეგულირებიდან, გადავიდეთ შინაარსობრივად პრინციპების და პოლიტიკის ამსახველ საკანონმდებლო აქტებზე. რაც შექმნის გარანტიებს ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტებით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად.

იმისათვის, რომ სამართალშემოქმედების პროცესი მოგვევლინოს განათლების უფლების დაცვის პროდუქტიულ მექანიზმად, საჭიროა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებმა შეიმუშაონ აღსრულების მექანიზმები და აღასრულონ

საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული განათლების უფლების მარეგულირებელი კანონები. ასევე საკანონდებლო ხელისუფლებამ ეფექტურად უნდა გამოიყენოს მთავრობის კონტროლის ფუნქცია და აკონტროლოს, რამდენად სწორად აღასრულებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, მის მიერ კანონებით განსაზღვრულ, განათლების სფეროში ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

ვფიქრობთ, საქართველოში განათლების უფლების მარეგულირებელი დეტალური საკანონმდებლო აქტების ნაცვლად, შინაარსობრივად პრინციპებისა და პოლიტიკის ამსახველი საკანონმდებლო აქტის, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების კოდექსი მიღება:

- შექმნის იმ სამართლებრივ გარანტიებს და საფუძველს, რომელიც დაამკვიდრებს საქართველოში საკანონმდებლო პროცესის მაღალ სტანდარტს და განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანს საკანონმდებლო პროცესში ჩართულ სუბიექტებს.
- განათლების სფეროში გამიჯნავს უფლებამოსილებებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, კერძოდ განსაზღვრავს თუ რომელი საკითხები უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო აქტით, და რომლის დელეგირება უნდა მოხდეს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებზე (მთავრობა, სამინისტრო), კერძოდ გაიმიჯნება განათლების უფლების დაცვისა და აღსრულების ელემენტები.
- გამოიწვევს იმ საკითხების განსაზღვრას, რომლებიც უნდა რეგულირდებოდეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.
- საგანმანათლებლო სფეროების მართვის და განათლების უფლების რეალიზაციის საკანონმდებლო მექანიზმებს მოქნილს გახდის.
- თავიდან აგვარიდებს განათლების უფლების მარეგულურებელი სამართლის ნორმათა კოლიზიას.
- განათლების უფლების მარეგულურებელი კანონები იქნება სისტემური და არაწინააღმდეგობრივი.

- თავიდან აგვარიდებს კანონის ტექსტის გადატვირთვას და მასში ცვლილებების ხშირად შეტანის საჭიროებას.
- პირებისათვის, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან საქართველოს განათლების სისტემის გაცნობით, შეიქმნება ერთიანი საკანონმდებლო დოკუმენტი, რომელიც სრულად ასახავს განათლების უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბზიანიძე გ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: (XIX საუკუნის პირველი ნახევარი)" 1969 წელი, http://www.el.ge/article/?id=152 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 30.01.2019;
2. ანჩაბაძე ზ.; გუჩუა ვ.; ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევები : ტომი III-ტომი III: საქართველო XI-XV საუკუნეებში" 1979 წ. http://www.el.ge/article/?id=144 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.01.2019;
3. აშორტია თ. ელიზბარაშვილი თ. ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია", ,,კონსტიტუციის შესახებ", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა 2014;
4. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია" 60 წლისთავი სპეციალური გამოცემა 1948-2008 , http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.04.2019;
5. ,,ადამიანის უფლებები" თავისუფლების ინსტიტუტი 2005;
6. ,,ადამიანის უფლებების განვითარების ძირითადი ეტაპები" https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-12 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.01.2019;
7. ბარამიძე ა. იმედაშვილი გ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი II: (XII-XIII სს.)", 1966 წ, http://www.el.ge/article/?id=151 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.01.2019;
8. ბეჟაშვილი ლ. ,,საკანონმდებლო ტექნიკა" სამართალშემოქმედების მეთოდური სახელმძღვანელო, თბილისი 2012;
9. ,,განათლების უფლება" http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=samartal&cl=CL4.3&d=HASHfb846b36a6403d837daa38.11 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.03.2019;

10. ,,განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 (პროექტი)“ http://www.mes.gov.ge/uploads/სტრატეგია/განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია.pdf - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.03.2019;
11. დემეტრაშვილი ა. ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი, ავტორთა კოლექტივი, ,,კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო”, გამომცემლობა „ჰოლივუდი “, თბილისი 2005;
12. დიუი ჯ. ,,გამოცდილება და განათლება“ https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/jon-diui.pdf , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.10.2018;
13. დიუი ჯ. ,,დემოკრატია და განათლება”, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2010 წელი;
14. დუმბაძე მ. ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევები: ტომი IV-ტომი IV: საქართველოს XVI საუკ. დასაწყისიდან XIX საუკ. 30-იან წლებამდე“ 1973 წ.; http://www.el.ge/article/?id=145 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.01.2019;
15. ეიდე ა. „კულტურული უფლებები, როგორც ადამიანის ინდივიდუალური უფლებები“, ,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები“ მე-16 თავი. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4----4---0-1l--11-ka-00---10-en-50--00-3-about-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-1utfZz-8-10&a=d&c=samartal&cl=CL2.7&d=HASH01b75e94e1fa8d3d8337472a.2.9 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 28.10.2018;
16. ვიუთენბერგერი თ. საკანონმდებლო ინიციატივის პროცედურული ასპექტები, ქართული სამართლის მიმოხილვა 7/2004-2/3;
17. ,,თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა სამთავრობო პროგრამა 2018–2020“, ივლისი 2018, http://gov.ge/files/68_67099_111823_2018-2020.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.10.2018;
18. თეთრუაშვილი ზ. ,,ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის გონებრივი განვითარების, ზნეობრივი განწმენდისა და ქონებრივი გაღონიერების შესახებ (აზრების კრებული)“ გორი 22.02.12 – 15.10.14;

19. იზორია ლ. ,,თანამედროვე სახელმწიფო და თანამედროვე ადმინისტრაცია", გამომცემლობა „სიესტა", თბილისი 2009;

20. კაჭარავა ი. ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევები: ტომი VII-ტომი VII: საქართველო XX საუკუნის 20-30-იან წლებში", 1976წ. გვ. http://www.el.ge/article/?id=148 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.02.2019;

21. კეკელიძე კ. ,,ქართული ლიტერატურის ისტორია-ტომი I: კ. კეკელიძის ძველი მწერლობა" საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, §4 ,,სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში" http://www.el.ge/article/?id=150 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019

22. კორკელია კ. ,,ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია: მოკლე მიმოხილვა", ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით", სამოსამართლო სწავლების ცენტრი, კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე, 2004 წლის თებერვალი;

23. მესხი შ. ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევები: ტომი II", 1973 წ., http://www.el.ge/article/?id=143 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.01.2019;

24. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ. ,,საქართველოს ისტორია", ,,ტომი 2 - საქართველო ქრისტიანობის მიღებიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე", გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012;

25. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ. ,,საქართველოს ისტორია ტომი 3 - ლაშა-გიორგის მეფობიდან საქართველოს ანექსიამდე" გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012;

26. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე

მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ. ,,საქართველოს ისტორია ტომი 4 - საქართველოს ანექსიიდან საბჭოთა კავშირიდან გამოსვლამდე“ გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012;

27. ნანეიშვილი გ. მიერ 1918 წლის 7 აგვისტოს კომისიის წევრთათვის შემუშავებული დებულება - „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი“, ,,საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921) მასალები და დოკუმენტები“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ტომი I, თბილისი 2015;

28. ნოვაკი მ. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები: განათლების უფლება“, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-0l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.2&d=HASH01b75e94e1fa8d3d8337472a.2.7 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.10.2018;

29. პაპუაშვილი გ. ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან“, მომზადდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, ბათუმი 2011;

30. რუხაძე ზ. ,,საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, ბათუმი 1999;

31. რუხაძე ზ. ,,საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.11&d=HASH018e083605e388a0f0c0f1d1.6.8.19&gt=1 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.03.2019;

32. სმელზერი ნ. ,,განათლება“ http://www.socium.ge/downloads/socshesavali/ganatleba_smelzeri.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.10.2018;

33. სმიტი რ. კ.მ. ,,ადამიანის საერთაშორისო უფლებები”, 20. განათლებისა უფლება და განათლება ადამიანის უფლებათა სფეროში, 20.1 განათლების უფლება. 2006 წ. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-

10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.2&d=HASH013ff4c7373719a90e547cec.23 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 28.10.2018;

34. სტურუა მ., ნათმელაძე ნ. ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევები : ტომი VIII“, 1980 წ. http://www.el.ge/article/?id=149 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.02.2019;

35. სურგულაძე მ., (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი), ჩხიკვაძე ნ., შათირიშვილი ლ., კარანაძე მ., ჟღენტი ნ., ედიშერაშვილი ე. ,,ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა (გამოკვლევა, ტექსტები)“, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი 2018;

36. ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ. ,,ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი 2013;

37. ფეიქრიშვილი ჟ. ,,ძველი ქართული საგანმანათლებლო და კულტურული კერები საქართველოსა და უცხოეთში”, ,,ქართული ენის ისტორია“ პროფესორ ტ. ფუტკარაძის საერთო რედაქციით სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი 2006, §2.4 http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/enis%20istoria.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019;

38. ქანთარია ბ. ,,განათლების უფლება, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ელემენტი”, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი” გამომცემლობა შპს „პეტიტი”, თბილისი, 2013;

39. ქანთარია ბ. ,,განათლების უფლება ქართულ კონსტიტუციონალიზმში”, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი” გამომცემლობა შპს „პეტიტი”, თბილისი, 2013;

40. ყაუხჩიშვილი ს. ,,ქართლის ცხოვრება ანა დედოფლისეული ნუსხა“, საქართველოს ისტორიის ორიგინალური წყაროები A. ისტორიკოსები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა თბილისი 1942;

41. ცანავა ლ. „სოციალურ–ეკონომიკური უფლებები 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით“, ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია“ I ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში მოხსენებების კრებული, თბილისი 2013;

42. ჯავახიშვილი ივ. ,,ქართველი ერის ისტორია“, პირველი ტომი, თავი მეხუთე ,,საქართველოს კულტურა I-VII ს. ს. ქრ. შ.“, §2; http://www.amsi.ge/istoria/ij/qei1/T5.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019;

43. Claude R. P. ,,The right to education and human rights education“; http://www.scielo.br/scielo.php?pid=S180664452005000100003&script=sci_arttext&tlng=en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 28.10.2018;

44. Dawood A. and Bulmer E. ,,Social and Economic Rights“ International IDEA Constitution-Building Primer 9, 2017;

45. Discrimination in Education, https://civilrights.findlaw.com/discrimination/discrimination-in-education.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.05.2019.

46. Discrimination in schools, https://www.stephensons.co.uk/site/individuals/education/discriminationasagroundforappeal, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.05.2019;

47. ,,ECONOMIC AND SOCIAL RIGHTS IN THE COURTROOM”, A Litigator’s Guide to Using Equality and Non-Discrimination Strategies to Advance Economic and Social Rights, London, December 2014;

48. ,,Education For Peace: Top 10 Ways Education Promotes Peace“, https://centralasiainstitute.org/top-10-ways-education-promotes-peace/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019;

49. ,,Frequently Asked Questions on Economic, Social and Cultural Rights“ Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, Fact Sheet No.33;

50. Ozturk I., ,,The role of education in economicdevelopment: a theoretical perspective“, 2001, https://mpra.ub.uni-muenchen.de/9023/1/MPRA_paper_9023.pdf -უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.04.2019;

51. Racial Discrimination in Education, https://law.freeadvice.com/government_law/civil_rights_law_ada/race-discrimination-education.htm 01.05.2019;

52. Rashika Sharma, Sylila Monteiro, Creating Social Change: The Ultimate Goal of Education for Sustainability, International Journal of Social Science and Humanity, Vol. 6, No. 1, January 2016, http://www.ijssh.org/vol6/621-CH381.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.10.2018;

53. ,,right to education“ https://theirworld.org/explainers/right-to-education - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.04.2019;

საერთაშორისო აქტები:

54. ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“ რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი (www.matsne.gov.ge, 11/05/1994, 000000430.00.003.000297);

55. ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ 1948 წლის 10 დეკემბერი;

56. ,,ბავშვის უფლებების შესახებ” კონვენცია, 1989 წლის 20 ნოემბერი https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.04.2019;

57. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019;

58. Convention against Discrimination in Education, http://www.unesco.org/education/pdf/DISCRI_E.PDF უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.11.2018;

59. ,,European Convention on Human Rights“, Council of Europe, https://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 28.11.2018;

ნორმატიული მასალა:

60. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციის რატიფიცირების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 12 მაისის №1940–IIს დადგენილება, (www.matsne.gov.ge, 12/05/1999, სსმ, 24(31), 23/05/1999);

61. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/07/2010. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.07.2019;

62. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში 2010 წლის 21 ივლისიდან 2019 წლის 27 ივნისის ჩათვლით 15 კანონით შესული ყველა ცვლილება და დამატება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.07.2019;

63. ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, 02/05/2014, https://matsne.gov.ge/document/view/2339687?publication=1 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019;

64. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019;

65. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2005 წლის 8 აპრილიდან 2019 წლის 27 ივნისის ჩათვლით 75 კანონით შესული ყველა ცვლილება და დამატება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019;

66. ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, 22/10/2009, https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=28 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.05.2019;

67. ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 20/09/2018. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4334842?publication=1 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.07.2019;

68. „პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი, 30/05/2019. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4574709?publication=0 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.07.2019;

69. ,,საქართველოს კონსტიტუცია“, საქართველოს პარლამენტი 24/08/1995 (პირველადი სახე), https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=0 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.02.2019;

70. ,,საქართველოს კონსტიტუცია“, საქართველოს პარლამენტი 24/08/1995, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 04.03.2019;

71. ,,საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, №2597-რს, თბილისი 2003 წლის 23 ივლისი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/12778?publication=0 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.02.2019;

72. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი, 27/06/1996, https://matsne.gov.ge/ka/document/view/31504?publication=46 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019;

73. ,,საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია“ (ძირითადი კანონი) თბილისი 1937. ,,საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978)“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1983;

74. ,,საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია“ (ძირითადი კანონი) თბილისი 1978, ,,საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978)“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1983;

75. ,,საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია“ ტბილისი 1922; ,,საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978)“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1983;

76. ,,საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუცია (1927)"; ,,საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978)", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1983;

77. ,,საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი, 13/12/2018. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4419670?publication=0 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019;

78. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონი. https://matsne.gov.ge/document/view/19204?publication=25 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019;

79. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, 21/12/2004. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=75 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019;

80. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში 2004 წლის 21 დეკემბრიდან 2019 წლის 27 ივნისის ჩათვლით 73 კანონით შესული ყველა ცვლილება და დამატება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=75 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019;

81. ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილება, https://www.matsne.gov.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019;

82. „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების" დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებით დამტკიცებული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, https://www.matsne.gov.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019;

83. 2013-2014 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოცულობებისა და ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის №66 დადგენილება, https://www.matsne.gov.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019;

84. 2014-2015 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №248 დადგენილება, https://www.matsne.gov.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019;

85. 2015-2016 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის №180 დადგენილება, https://www.matsne.gov.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019;

86. 2016-2017 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №158 დადგენილება, https://www.matsne.gov.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019;

87. 2017-2018 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის №359 დადგენილება, https://www.matsne.gov.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019;

88. 2013-2014 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობისა და ოდენობების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების განსაზღვრის, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასა და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებას შორის გრანტის წლიური მოცულობის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისათვის გამოყოფილი

სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის განაწილების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 თებერვლის №65 დადგენილება, https://www.matsne.gov.ge_ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019;

89. 2014-2015 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობისა და ოდენობების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების განსაზღვრის, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასა და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებას შორის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის განაწილების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №163 დადგენილება, https://www.matsne.gov.ge_ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019;

90. 2015-2016 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობისა და ოდენობების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების განსაზღვრის, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასა და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებას შორის, სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის განაწილების შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის №85 დადგენილება, https://www.matsne.gov.ge__ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019;

91. 2016-2017 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობისა და ოდენობების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების განსაზღვრის, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასა და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებას შორის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის განაწილების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №97 დადგენილება, https://www.matsne.gov.ge_ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019;

92. 2017-2018 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობისა და ოდენობების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების განსაზღვრის, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასა და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებას შორის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის განაწილების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 მარტის №131 დადგენილება, https://www.matsne.gov.ge__ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019;

93. „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3285991?publication=8 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019;

94. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/61480?publication=361 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019;

95. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანება. https://matsne.gov.ge/document/view/4363684?publication=2 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019;

96. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1031755?publication=40 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019;

97. „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1320588?publication=19 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019;

98. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 09 სექტემბრის N132/ნ ბრძანება. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2012727?publication=8 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019;

99. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის N1106 ბრძანება. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/74326?publication=13 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019;

100. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანება. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1523724?publication=2 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019;

101. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1003241?publication=24 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019;

102. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N229/ნ ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1548498?publication=10 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019;

103. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანება. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2008729?publication=6 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019;

104. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 16 მაისის №05/84 ბრძანება. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2345053?publication=6 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019;

105. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის №05/90 ბრძანება. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2382073?publication=2 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019;

106. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 03 სექტემბრის N124/ნ ბრძანება. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2008751?publication=8 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019;

107. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 03 სექტემბრის N122/ნ ბრძანება. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2008791?publication=4 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019;

108. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2014505?publication=8 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019;

109. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანება. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2014535?publication=4 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019;

110. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნებისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/ნ ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2658204?publication=6 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019;

111. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რეორგანიზაციისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N225/ნ ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1548252?publication=7 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019;

112. ,,<u>საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ</u>“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს 74/ნ ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1026523?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019;

113. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის №52/ნ ბრძანება. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2344196?publication=3 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019;

114. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება.

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2012709?publication=5 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019;

115. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის №05/91 ბრძანება. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2381294?publication=2 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019;

116. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №123/ნ ბრძანება. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2008772?publication=5 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019;

117. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N131 ბრძანება. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2012745?publication=3 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.07.2019;

118. „საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №30 ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/62638?publication=14 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.06.2019;

119. განათლების შესახებ კანონი (Education Law) https://likumi.lv/ta/en/en/id/50759-education-law უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

120. ესტონეთის რესპუბლიკის კანონი განათლების შესახებ (Republic of Estonia Education Act) https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/529012018007/consolide უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

121. კანონი განათლების შესახებ (The Education Act) https://www.riksdagen.se/sv/dokument-lagar/dokument/svensk-forfattningssamling/skollag-2010800_sfs-2010-800 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

122. კანონი განათლების შესახებ (2004 წლის 24 სექტემბრის #561 კანონი სკოლამდელი, საბაზისო, საშუალო და უმაღლესი პროფესიული და სხვა სახის განათლების შესახებ - ACT No. 561 of 24th September 2004 on Pre-school, Basic, Secondary, Tertiary Professional and Other Education (the Education Act) http://www.msmt.cz/uploads/soubory/IMzakon561ponovelach.pdf_ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

123. კანონი დაწყებითი განათლების შესახებ (The Primary Education Act) https://wetten.overheid.nl/BWBR0003420/2017-01-01 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

124. კანონი დაწყებითი და საშუალო განათლების შესახებ https://www.zakon.hr/z/317/Zakon-o-odgoju-i-obrazovanju-u-osnovnoj-i-srednjoj-%C5%A1koli უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

125. კანონი ეროვნული საჯარო განათლების შესახებ (Act CXC of 2011 on National Public Education) http://www.ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/106832/131356/F-1702001629/act_national_education.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

126. კანონი ზოგადი განათლების ზედა საფეხურის შესახებ (The Secondary Education Act) https://wetten.overheid.nl/BWBR0002399/2017-01-01 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

127. კანონი ზოგადი განათლების მაღალი საფეხურის შესახებ (General Upper Secondary Schools Act). http://www.finlex.fi/fi/laki/ajantasa/2018/20180714 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

128. კანონი ზოგადი განათლების შესახებ (General Education Law) https://likumi.lv/ta/en/en/id/20243-general-education-law უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

129. კანონი ზრდასრულთა განათლების შესახებ (Act LXXVII of 2013 on Adult Education) (modified by Act LXVI of 2015) https://net.jogtar.hu/jogszabaly?docid=A1300077.TV უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

130. კანონი პროფესიული განათლების შესახებ (Act CLXXXVII of 2011 on Vocational Education) (modified by Act LXVI of 2015) https://net.jogtar.hu/jogszabaly?docid=A1100187.TV უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

131. კანონი პროფესიული განათლების შესახებ https://www.zakon.hr/z/383/Zakon-o-strukovnom-obrazovanju უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

132. კანონი პროფესიული განათლების შესახებ (The Adult and Vocational Education Act) https://wetten.overheid.nl/BWBR0007625/2013-09-01#Opschrift უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

133. კანონი პროფესიული განათლებისა და მომზადების შესახებ (Vocational Education and Training Act) http://www.unesco.org/education/edurights/media/docs/46d8fa71cda79dfa5940a4b43f2408d274603937.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

134. კანონი პროფესიული მომზადების შესახებ (Vocational Training Act). http://www.finlex.fi/fi/laki/ajantasa/2017/20170531 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

135. კანონი პროფესიული განათლებისთვის რესურსების გამოყოფისა და სწავლების განვითარების შესახებ Act CLV of 2011 on the contribution to VET and on the support for the development of training https://net.jogtar.hu/jogszabaly?docid=A1100155.TV უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

136. კანონი პროფესიული განათლების შესახებ (Vocational Education Law) https://likumi.lv/ta/en/en/id/20244-vocational-education-law უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

137. კანონი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ Vocational Educational Institutions Act https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/517062014003/consolide/current უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

138. კანონი საბაზო განათლების შესახებ (Basic Education Act). http://www.finlex.fi/en/laki/ajantasa/1998/19980852 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

139. კანონი სამეცნიერო საქმიანობისა და უმაღლესი განათლების შესახებ https://www.zakon.hr/z/320/Zakon-o-znanstvenoj-djelatnosti-i-visokom-obrazovanju უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

140. კანონი სასკოლო განათლებისთვის სახელმძღვანელოების უზრუნველყოფის შესახებ (Act CCXXXII of 2013 on Textbook provision for school education) https://mkogy.jogtar.hu/jogszabaly?docid=a1300232.TV უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

141. კანონი სკოლამდელი და სასკოლო განათლების შესახებ (Pre-School and School Education Act) http://lll.mon.bg/uploaded_files/ZAKON_za_preducilisnoto_i_ucilisnoto_obrazovanie_EN.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

142. კანონი სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურების შესახებ (Basic Schools and Upper Secondary Schools Act) https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/530102013042/consolide უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

143. კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (Higher Education Act) http://lll.mon.bg/uploaded_files/zkn_visseto_obr_01.03.2016_EN.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

144. კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (Higher Education Act) https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/Riigikogu/act/529082019022/consolide უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

145. კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (the Law on Higher Education) http://prawo.sejm.gov.pl/isap.nsf/DocDetails.xsp?id=WDU20051641365 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

146. კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (Act CCIV of 2011 on Higher Education) http://www.mab.hu/web/doc/hac/regulations/Ftv2012_Eng.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

147. კანონი უმაღლესი განათლებისა და კვლევის შესახებ (The Higher Education and Research Act) https://wetten.overheid.nl/BWBR0005682/2017-01-01 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

148. კანონი უმაღლეს განათლებასა და მეცნიერებაში ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ https://www.zakon.hr/z/321/Zakon-o-osiguravanju-kvalitete-u-znanosti-i-visokom-obrazovanju უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

149. კანონი უმაღლესი პროფესიული განათლების შესახებ (Higher Vocational Education Act) https://www.riksdagen.se/sv/dokument-lagar/dokument/svensk-forfattningssamling/lag-2009128-om-yrkeshogskolan_sfs-2009-128 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

150. კანონი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ (Act on Higher Education Institutions) http://www.msmt.cz/file/43791_1_2/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

151. კანონი უმაღლესი საგანმანათლებლო უწყებების შესახებ (Law on Higher Education Institutions) https://likumi.lv/ta/en/en/id/37967-law-on-institutions-of-higher-education უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

152. კანონი უნივერსიტეტების შესახებ (Universities Act) http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/2009/en20090558 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

153. კანონი შვედეთის უმაღლესი განათლების შესახებ (The Swedish Higher Education Act) https://www.uhr.se/en/start/laws-and-regulations/Laws-and-regulations/The-Swedish-Higher-Education-Act/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

154. ლიეტუვის რესპუბლიკის განათლების კანონი REPUBLIC OF LITHUANIA LAW ON EDUCATION https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/07c2ecf0168711e6aa14e8b63147ee94?jfwid=q8i88lumk უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

155. ლიეტუვის რესპუბლიკის კანონი პროფესიული განათლების შესახებ (REPUBLIC OF LITHUANIA LAW ON VOCATIONAL EDUCATION) https://e-seimas.lrs.lt/rs/legalact/TAD/TAIS.404611/format/ISO_PDF/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

156. ლიეტუვის რესპუბლიკის კანონი უმაღლესი განათლებისა და კვლევის შესახებ (REPUBLIC OF LITHUANIA LAW ON HIGHER EDUCATION AND RESEARCH) https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/548a2a30ead611e59b76f36d7fa634f8?jfwid=rp9xf47k7 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

157. საფრანგეთის განათლების კოდექსი (The code de l'éducation) https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006071191 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

158. 1930 წლის კანონი პროფესიული განათლების შესახებ (VOCATIONAL EDUCATION ACT, 1930) შესაბამის ცვლილებებთან ერთად. http://www.irishstatutebook.ie/eli/1930/act/29/enacted/en/html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

159. 1991 წლის სასკოლო განათლების შესახებ კანონი (The School Education Act of 1991) http://prawo.sejm.gov.pl/isap.nsf/DocDetails.xsp?id=WDU19910950425 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

160. 1997 წლის კანონი უნივერსიტეტების შესახებ (UNIVERSITIES ACT, 1997) http://www.irishstatutebook.ie/eli/1997/act/24/enacted/en/html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

161. 1998 წლის განათლების კანონი (კონსოლიდირებული ვერსია) EDUCATION ACT 1998 REVISED http://revisedacts.lawreform.ie/eli/1998/act/51/revised/en/html#SEC39 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

162. 2006 წლის კანონი ტექნოლოგიური ინსტიტუტების შესახებ (INSTITUTES OF TECHNOLOGY ACT 2006) http://www.irishstatutebook.ie/eli/2006/act/25/enacted/en/html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

163. 2016 წლის 14 დეკემბრის კანონი სასკოლო განათლების შესახებ (The Act of 14 December 2016, the Law on School Education) და 2016 წლის სასკოლო განათლების შესახებ კანონის დამნერგავი დებულებები (The Provisions introducing the Law on School Education of 2016). http://prawo.sejm.gov.pl/isap.nsf/DocDetails.xsp?id=WDU20170000059 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

სტატიები:

164. ლომინაშვილი დ. ,,კონვენცია „განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ UNESCO, ქ. პარიზი, 1960 წლის 14 დეკემბერი. იუნესკოს კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში“, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ორენოვანი სამეცნიერო ,,სამართლის ჟურნალის" 2019 წლის N1 ქართულენოვანი გამოცემა. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/2019-1-LAWJOUR-GEO.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 30.03.2020;

165. ლომოური გ. ,,ქართული განათლების სისტემის ისტორიული საწყისი“ https://giorgilomouri.wordpress.com/ქართული-განათლების-სისტე/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019;

166. მშვილდაძე ა. ,,განათლება და მისი როლი ადამიანის ცხოვრებაში“, 2016, 30 აგვისტო, http://intermedia.ge/სტატია/77344-განათლება-და-მისი-როლი-ადამიანის-ცხოვრებაში/89/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.10.2018;

167. ნაცვლიშვილი ზ. ,,ნორმატიული აქტის შედგენის ტექნიკა” სამართლის ჟურნალი ,,სარჩევი”, თბილისი 2010;

168. *ფირცხალაიშვილი ა.* ,,საგანმანათლებლო კერები - თბილისი“, გაზეთი ,,ახალი განათლება“ 2010-06-12; http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=24 ; უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2019;

169. ქიტესაშვილი ქ. ,,განათლების ისტორია საქართველოში (სტატია ვიკიპედიიდან)“ 29.01.2013; http://edc21.blogspot.com/2013/01/blog-post_29.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 30.01.2019;

170. ყრუაშვილი ნ. ,,განათლების კერები მესხეთში“, გაზეთი ,,ახალი განათლება“ 2011-04-14; http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=74; უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 30.01.2019;

171. ჭკუასელი ქ. ,,განათლების სოციალური ფუნქციის საკითხის განსაზღვრისათვის”, GESJ: Education Science and Psychology 2018 | No.2(48), http://gesj.internet-academy.org.ge/en/prv_issues_en.php?b_sec=edu უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.10.2018;

დამატებითი ინფორმაცია

172. განმარტებითი ბარათი ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით, https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/187509 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.07.2019;

173. ,,განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/188186?, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019;

174. ,,განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე ,,პროფესიული განათლების შესახებ", https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/183686? უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019;

175. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის მ. შუხოშვილის 2018 წლის 27 ნოემბრის N MES61801523368 წერილი;

176. ,,საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/150069? უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.02.2019;

177. European Agency for Special Needs and Inclusive Education. Country information for Poland - Legislation and policy https://www.european-agency.org/country-information/poland/legislation-and-policy უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

178. Eurydice. Bulgaria. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-9_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

179. Eurydice. Croatia. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-11_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

180. Eurydice. Croatia. Overview. https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/croatia_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

181. Eurydice. Czech Republic. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-17_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

182. Eurydice. Estonia. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-20_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

183. Eurydice. Finland. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-21_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

184. Eurydice. Hungary. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-29_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

185. Eurydice. Ireland. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-31_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

186. Eurydice. Latvia. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-34_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

187. Eurydice. Lithuania. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-38_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

188. Eurydice. Netherlands. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-47_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

189. Eurydice. Poland. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-50_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

190. Eurydice. Sweden. Legislation and Official Policy Documents https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/legislation-71_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.10.2019;

სასამართლოს გადაწყვეტილებები:

191. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1968 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე ,,ბელგიაში განათლების სფეროში ენების გამოყენების შესახებ კანონების გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებით";
192. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე ,,ფოლგერო და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ", (განაცხადი N15472/02);
193. ევროსასამართლოს გადაწყვეტილება: „Savez crkava "Rijec Zivota" and others v. Croatia" (განაცხადი #7798/08, 2010 წლის 09 დეკემბერი);
194. რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსეღიანი და ლენა ბარსეღიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება №2/3/540, 2014 წლის 12 სექტემბერი, ქ. ბათუმი. https://matsne.gov.ge/ka/document/download/2519949/0/ge/doc უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019;
195. საქართველოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N2ბ/5499-17;

ელექტრონული რესურსები:

196. http://inclusion.ge/geo/static/19 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.05.2019;
197. http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/130 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 28.11.2018;
198. https://ka.wikipedia.org/wiki/სამოქალაქო_უფლებების_აქტი_(1964), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 13.06.2019;
199. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=0 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 13.06.2019;
200. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=0 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.07.2019;

201. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4334842?publication=0 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.07.2019;

202. https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.07.2019;

203. http://unesco.ge/?page_id=534 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.05.2019;

204. http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.05.2019;

205. http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/ilia_chavchavadze/leksebi/kartvlis%20dedas.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.04.2020;

206. http://www.educationviews.org/the-importance-of-education-in-our-society/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.03.2019;

207. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6322 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.05.2019;

208. http://www.parliament.ge/uploads/other/115/115526.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.05.2019;

209. https://www.right-to-education.org/page/united-nations-instruments უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.05.2019.